

# ლიტერატურული გაზეთი

№8 (288) 18 - 24 ივნისი 2021

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



## პროზა

ზაალ სამადაშვილი

### სიყვარულის ახსნა

წვიმა შებინდებისას დაიწყო და ღამე გაძლიერდა... ჩვენი სახლი კრამიტით იყო გადახურული და ყოველთვის, როცა მაგრად გაავრდებოდა, მე და მამა სხვენში ავიდოდით, რათა ღრიჭობის ქვეშ ტაშტები შეგვედგა, წყალს ჭერიდან რომ არ დაეწყო დენა.

იმ საღამოსაც ასე მოვიქეციით, მაგრამ ნაშუალამევს იატაკზე დაცემული წვეთების ტკაპა-ტკუპმა გაგვალღვიძა. ტაშტები სულ ზევით გვქონდა აზიდული და დედამ ქვაბები გამოარბენინა. მე სწრაფად შევიბრუნე ძილი, მშობლებს კი ღამის გათენება მოუწიათ წყლების ღვრაში — სწრაფად ივსებოდა თურმე ქვაბები. თვალები რომ გავახილე, ჭერზე ჩამოყოფილი წვიმით გაჩენილი უზარმაზარი ყვითელი ლაქები დავინახე. მამაჩემი უკვე სხვენში იყო, მისი ნაბიჯების ხმა ისმოდა, ტაშტებს ცლიდა სამერცხლურიდან.

II

გაგა ნახუცრიშვილი

### ფოტოსურათი

ახლაც სულ მასთან იყო ის პატარა ქალაქი. არასდროს სტოვებდა, ხშირად ესიზმრებოდა კიდეც — ხან უკაცრიელი, იდუმალი, მისტერიული; ხანაც მხიარული ხმებით გაჯერებული, ხალისიანი, ფერადი. მზე რომ მთებიდან ამოიწვევებოდა, ცაზე წრიალს იწყებდა, ქალაქს ცნობისმოყვარე სიყვარულით ათვალიერებდა და მერე ნელ-ნელა ზღვაში ჩაყვინთავდა, რადგან ისევ დაბრუნებულიყო.

III

ზაზა ბიბილაშვილი

### ზღაპარი

ანტიზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კეთილი, ალალი და მორიდებული ბიჭი ზაქრო. იფიქრებდი, ასეთი რომ არის, ზაქროც მაგიტომ ჰქვიაო. თქვენ, რა, სხვანაირი ზაქრო გინახავთ?

მაგრამ ერთხელაც მოსწყინდა ასე ცხოვრება და თქვა — ღარიბად, პრინციპში უმეგობროდ და არც თუ ისე მხიარულად ცხოვრება მომწყინდაო.

ალბათ იმასაც გულისხმობდა, მისგან ყველა თავისებურ გამორჩენას რომ ეძებდა და პოულობდა: სოფლის მამასახლისი — პოლიტიკურს, გზაჯვარედინის უსაქმური საზოგადოება — მორალურს, სახლისა თუ ბაღ-ვენახის მეზობლები — მატერიალურს... დანარჩენებიც ყოველი შემთხვევისთვის ატყუებდნენ რალაც-რალაცებს და ეგ იყო. მხოლოდ ყველაზე დადებითები არ ეკარებოდნენ — მაგას წარამარა რალაც გაუჭირდება, ჩვენ კიდეც საკუთარი თავებისთვის ვერ მოგვივლიაო.

ხვდებოდა ზაქრო ამ ყველაფერს, მაგრამ როცა კეთილი, ალალი და მორიდებული ხარ, მიხვდი და იყავი. მოსწყინდა კი.

VI

მაკა ცხვედიანი

### მოთხრობები

XI

დაბიუტი

ამირან ფაჩუაშვილი

XVI



## პოეზია

ლია სტურუა

დედა



დეკემბერი, ცივი, დაბალი, ორმეტრნახევრიანი ჭერივით მადევს თავზე. დედა შემოდის, სახე უვარდება, ნეტა არ გატყდეს! რაც მე ჭურჭელი მიმტვრევია! სახე, ეტყობა, სხვა ფაიფურია, თუ კომპენსაცია მწირი გემოების: მოხვეული ქადა, მახრჩობელა ფშატი, ტრადიციული უღელი კისერზე, ზედ შემომჯდარი ჩემი ჯირკვლებიანი ბავშვობა, მამაჩემი, კალენდრის ყველა დღით ალისფერი, ღვინო, კარაქი და ბევრი სიგარეტი ხმაში... დეკემბერზე ამიტომ მიაბა?

— შავი ფლომასტერით დავხატე, მაგრამ გრაფიკა ვერ მოიხდინა-მეთქი, დედა! პირთან ორი ბზარი უჩნდება, ნეტა, რამდენად მართალია მისი ქვეყანა ჩემს მატყუარაზე? რომელსაც ვწერდი მისი მოციმციმე მაჯების შუქზე, რომელიც მამაჩემის ალისფერი კალენდარით იყო და ვერ გავაგებინე, ისე წავიდა, ჩემი ნევროზიდან იმდენად მარჯვნივ, რომ მიჭირს მასთან ლაპარაკი ატალახებულ კუკუის სასაფლაოზე...

IV

პაკუნა ფირცხალაიშვილი

V

მარი სადლობელაშვილი

VIII

ბადრი სულაძე

IX




## რეცენზია

ანი ჯავახიშვილი

შორენა ლებანიძის, დიანა ანფიმიადის, ზურაბ გურულის, უილიამ ფოლკნერის, გუსტავ ფლობერისა და ჯონ სტაინბეკის წიგნებზე

XIV



შემდეგი ნომერი გამოვა ერთ კვირაში — 25 ივნისს

დასაწყისი პირველ გვერდზე

სკოლაში რომ წავედი, ისევ წვიმდა. ნა-შუაღღევს მენწყებოდა გაკვეთილები. უფროსები — მერვედან მეთათე კლასის ჩათვლით — მეორე ცვლაში ვიყავით. ქუჩებში ნიაღვრები მოედინებოდა. ხტუნვა-ხტუნვით ვიარე, გუბებზე ვერდიდებოდი, ერთი-ორჯერ მაინც მომიწია გატოპვა. სკოლამდე რომ მივალნიე, წყალს ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა ფეხსაცმელებში. გოგოები ბიჭებზე ნაკლებად იყვნენ გალუმპულეები, მათ გამჭვირვალე სანვიმრების ჩაცმა და ქოლგების დაჭერა არ ერცხვინებოდათ ჩვენსავით...

ყველაზე სველი ვახო იყო, ჩემი ძმაკაცი... იმიტომ, რომ სკოლიდან შორს ცხვრობდა, კუკიაზე, საიდანაც მარჯანიშვილის მოედნისკენ მომავალი ავტობუსი დიდი შუალედებით მოძრაობდა. თუ გამოგასწრებდა, დალოდებას აზრი აღარ ჰქონდა, საათი-საათნახევარი უნდა გაგეტარებინა ცდაში.

შვიდი წელი გვერდიგვერდ ვისხედით ერთ მერხთან. მერვე კლასში რომ გადავედით, ადგილი გამოიცვალა, იმ გოგოსთან გადაჯდა, ვისაც სიყვარულში გამოუტყდა ზაფხულის მინურულს, სწავლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და ვისგანაც დამამიძებელი ღმილი მიიღო პასუხად.

ამბავი, მტკვრის სანაპიროსთან მდგარი სახლების ეზოები დაიტბორაო, დიდ შესვენებაზე გავიგეთ. წყალდიდობა კინოში გვექონდა ნახაზი და წარმოვიდგინეთ, როგორ ფარავდა ხანგრძლივი წვიმით ადიდებული, ჯებირებიდან გადმოსული მდინარე იმ ადგილებს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ მანქანები და ადამიანები.

აურიამულეულ დერეფანში სიჩუმე ჩამოვარდა. დამფრთხალმა გოგოებმა იმის გარკვევა დაიწყეს, ვის სახლთან მისასვლელი გზა დაიტბორებოდა. სანაპიროზე, მტკვართან ყველაზე ახლოს, ვახოს შეყვარებულის კორპუსი იდგა.

ზარი რომ დაირეკა და საკლასო ოთახისკენ დავიძარით, ვახო, მანამდე ფანჯრიდან რომ გაჰყურებდა წვიმის მიერ ჩამოყრილი ფოთლებით მოფენილ ქუჩას, გვერდით ამომიღდა, იდაყვი გამკრა და წამოდგო, მითხრა.

გაკვეთი. დანინაურდა, გაიარა დერეფანი, კიბის უჯრედში შევიდა და ჩასვლა რომ დაიწყო ქვევით, მაშინდა მომიბრუნდა და გაყოლის მიზეზის სათქმელად, ჩემთან უნდა ავიდეთ სახლში რაღაცის ჩამოსატანადო. რა „რაღაცის“-მეთქი, ვკითხე. ავალთ და ნახავო, მიპასუხა ნაბიჯის შეუნელებლად.

ჩანაფიქრთა გასაიდუმლოების დიდი მოყვარული იყო ვახო. სულ უბრალო რამეს, ისეთსაც კი, როგორც ახალი საფოსტო მარკების ან ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტოების ჩვენება გახლდათ, წინასწარ არ გაგიმხელდა. დაგიძახებდა, მიგიყვანდა თავისთან, დაგსვამდა, გაუჩინარდებოდა და ისეთი გამომეტყველებით შემოგიტანდა სასურველ გვერდზე გადაშლილ კლასიერს, ანდა ამსტერდამის „აიაქსის“ ფერად სურათს, თითქოს მასაის ტომის მეომრის შუბის, ანდა იოჰან კრუფის მაისურის მფლობელი გამხდარიყოს.

მიუხედავად ამისა, სკოლიდან ფართხაფურთხით გამოვარდნილები, თავებზე პიჯაკებზე ფარებულები, ჩულურეთის აღმართებში რომ მიეკაქანებდით, მაინც არ ვისვენებდი, ვეკითხებოდი, რის ჩამოსატანად მივდივართ-მეთქი. ის კი, ყოველ ჯერზე პასუხად ხელს მიქნევდა, არ ჩამომჩიეო და დუმდა კრიჭაშეკრულივით. მივდევი რაც ძალი და ღონე მქონდა, გუბებზე და ნიაღვრებს აღარ ვერიდებოდი. წვიმა ლამის ფარდებდა ეშვებოდა ციდან და ჩვენს გარდა, მგონი, არავინ იყო ქუჩაში.

სულის მოსათქმელად ორჯერ შევჩერდით. ერთხელ ქვის განიერი აივნის ქვეშ, მეორედ გვირაბში, რომლის თავზე რკინიგზა გადადიოდა. რკინიგზის გადაღმა უკვე ვახოს სახლი იყო, ფერდობზე შეფენილ სხვა სახლებივით აგურით ნაშენი, ერთსართულიანი, პატარა ეზოთი.

გრძელი გზის ბოლო მონაკვეთიც სირბილით დავფარეთ, ეზოს მივადექით. ვახო სახლისკენ არ გაქცეულა, ფარდულის კარს ეცა, გააღო და შევიდა. მეც შევეყვი. იქაურობა გარაჟიც იყო და საკუჭნაოც, მას ძველი, პირველი გამოშვების „მოსკვიჩის“ დასაყენებლადაც იყენებდნენ, კო-



ზაალ სამადაშვილი

სიყვარულის ახსნა

მპოტების და მწნილების შესანახადაც და ათასი საჭირო ნივთის — ბრტყელტუჩების, სახრახნისების, ცარიელი გალიების, უწყლო აკვარიუმების, ბარების, ფოცხების, ანკესის ჯოხების დასაბინავებლად.

ვახომ სწორედ იმ კუთხეში დაიწყო ქექვა, სადაც ეს ნივთები ეწყო. მე სიცივემ ამიტანა. სანამ მოვბოდი, ვერ ვგრძობდი, დავდექი თუ არა, ტანზე შემოტმანსილმა სველმა ტანსაცმელმა შემანუხა და კანკალმაც, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებდი, კბილს კბილზე ვაცემინებდი. არც ვახო იყო უკეთეს დღეში, ვხედავდი, ჩემგან ზურგშექცევით ჩაცუქტულს როგორ უძაგბებდა იდაყვები.

აუ, სად ყოფილა შეგდებულიო, რომ დაიძახა და რაღაც, საძილე ტომრის თუ კარვის მსგავსი, საგულდაგულოდ დაქეცილი ნივთი გამოაჩოჩილა ფარდულის შუაში, მამამისის მიერ დილით გაყვანილი „მოსკვიჩის“ ადგილას; დაამატა, ცოტა ხანში ისე გაგხურდებით, ტანსაცმელი შეგვაშრება ტანზეო. მერე ქექვა განაგრძო და

რასაც ეძებდა, მალე იპოვა — საბურავების დასაბერი ტუმბო ხის სახელურიანი დგუშით.

გულმა რეჩხი მიყო, მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო მანამდე მოძიებული ნივთი. გამახსენდა, რომ ვახოს მამა თავგადაკლული მეთევზე იყო, მდინარეებშიც თევზაობდა და ტბებშიც. ტბაში შესასვლელად ნავი ჰქონდა, რეზინის, გასაბერი, ორნიჩიანი ნავი. მე და ვახოს ეს ნავი უნდა ჩაგვეტანა სკოლაში, რომ მერე, როცა გაკვეთილები დამთავრდებოდა, მისი შეყვარებული გადაგვეყვანა დატბორილ ეზოზე.

გავშალეთ დაჩუტული ნავი და შევუდექით საქმეს. რიგრიგობით ვდგებოდით დგუშთან, ვცდილობდით, სწრაფად გვემუშავა. გავხურდით რომელია, ბეჭები გავვიოფლიანდა. ხალიჩასავით გაფენილ ნავს მოცულობა დაეტყო და შესამჩნევად აინა სიმალეში. ბევრი რომ აღარ აკლდა სრულად გაბერვას, მაშინ გაგვიჭირდა. ჩამოწყვეტაზე გვექონდა მკლავები, ხელისგულები გვეწვოდა. კანი რომ არ გადაგვ-

ყვლეფოდა, ცხვირსახოცები გადავიჭირეთ და ისე გავაგრძელეთ ბერვა.

დრო უნდა გაგვეგო, რომელი საათი იყო, ამის მიხედვით დავადგენდით, უნდა გვერბინა, თუ ჩვეულებრივი ნაბიჯით გვევლო. სკოლიდან რომ წამოვედით, სამი საათი გვექონდა მარაგად. რაკი მშობლები სამსახურში იყვნენ, ვახო შინ ვერ შედიოდა. გზად უნდა გვეკითხა ვინმესთვის, წელანდელივით ცარიელი თუ არ იქნებოდა ქუჩები, ისევ თავსხმა იყო, მაგრამ ეს ნაკლებად გვანალვლებდა ამჯერად. ტვირთი ისე მოხერხებულად მოგვექონდა, რომ წვიმა ვერაფერს გვაკლებდა. ამოტრიალებული ნავი თავებზე გვექონდა გადმომხობილი, ფსკერს კინკრისობით ვებჯინებოდით, რის გამოც ხელებზე ნაკლები ძალა გვადგებოდა საკმაოდ მძიმე ტვირთის ზიდვისას.

თავდაღმართში დაშვებულებმა, სანამ არ დავადგინეთ, რომელი საათი იყო, შეძლებისდაგვარად სწრაფად, ხმისამოუღლებლად ვიარეთ. ვახო წინ მიაბიჯებდა, მე — უკან. დაძაბულები ვიყავით, დავვიანების გვეშინოდა. საშველი არდონის ქუჩის თონესთან დაგვადგა. ნახევრადშემინულ კარს მიღმა მდგარ მეპურეს მავებზე ხელების დიდებით ვანიშნეთ, რა დროაო, და იმანაც თითები გაგვიშალა, ხუთიო.

გაკვეთილები ექვსზე მთავრდებოდა, თავისუფლად ვასწრებდით. სრული ერთი საათი გვექონდა იმისათვის, რომ საბჭოს მოედნის, მერკვილაძის, კიევის, პლენანოვის, მენჩიკოვის ქუჩების გავლით დროულად, ცოტა ადრეც კი მივსულიყავით სკოლასთან.

ავლაპარაკდით, ქება დავუწყეთ ერთმანეთს. მე — სწრაფი გადანყვებილება, ნავის ჩამოსატანად შინ გაქცევა მოვუწონე ვახოს, იმან ერთგულება დამიფასა, ნამდვილი ძმაკაცები შესწავით იქცევიანო, მითხრა...

შევთანხმდით, რომ სკოლის წინ, მთავარ შესასვლელთან, დაველოდებოდით გოგოს... რომ გამოვიდოდა, შუაში ჩაიყენებდით, ნავის ქვეშ და დატბორილ ეზომდე ისე მივიყვანდით, რომ წვეთი არ დასცემოდა თავზე...

ასეც მოვიქეცი, უფრო სწორად, მან მოგვცა უფლება, ასე მოვექცეულიყავით, გოგომ, რომლის მოლოდინში ნავი თავებიდან ჩამოვიღეთ, კედელზე მივაყუდეთ და კისრებთან ერთად ხელებიც დავასვენეთ.

ისევ წვიმდა, პირი არ უჩანდა გამოდარებას, კვლავ ტყვიისფერი ღრუბლები დაჰყურებდნენ სახურავებს და ქუჩებს...


ზარი რომ დაირეკა, ჩვენი კლასელები ჩვეულებისამებრ ერთბაშად არ გამოშლილან გარეთ. საითაოდ გამოდიოდნენ, ბიჭები მაშინვე თავქუდმოგლეჯილებით გარბოდნენ სხვადასხვა მიმართულებით, გოგოები უფრო მშვიდად ირჯებოდნენ, გაშლილი ქოლგებით ეშვებოდნენ კიბეზე და ცდილობდნენ, ფრთხილად ევლოთ გუბებზე შორის...

ქოლგის არსებობა დავინყებულ გვექონდა, თუმცა, ვახომ იხტიბარი არ გაიტყხა, არა უშავს, გვერდით გავყვებითო, მითხრა და მივიდა გოგოსთან, რომელიც მასავით ქოლგის თანაკლასელთან ერთად კიბის თავში იდგა.

შორს ვიყავი და არ მესმოდა, დავინახე, რომ ჩემმა ძმაკაცმა რაღაც უთხრა „თავის გოგოს“. იმან უპასუხა, მოკლედ არა, გრძლად. მათ საუბარში თანმხლები გოგო ჩაერთო, რაღაცის ახსნა დაუწყო ვახოს. ამან მხრები აიჩეჩა და მზერა „თავის გოგოს“ მიაპყრო. თანმხლებმა კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ „ჩვენმა“ შეაჩერა, მხარზე ხელი დააღო და მოუბოდიშასავით, თითქოს. მერე სამივემ ერთად ჩამოიარა კიბე, ერთი ცალკე ნავიდა, ორმა კი ჩემსკენ აიღო გეზი.

ნავი რომ ავნიეთ მე და ვახომ და რო გვეგონა, გვერდით გამოგვეყვებო, გოგომ ქოლგა დაკეცა და თავი შემოყო შუაში, მე სად დავდგეო. ჩავინიეთ ორივე ბოლოებისკენ მეტი ადგილი რომ გავვეთავისუფლებინა მისთვის და დავიძარით. მე ბეჭებზე მცემდა წვიმა, ვახოს — სახეში, მაგრამ რას დავეძებდით, მთავარი ის იყო, ვინც შუაში გვედგა, ვისზედაც ვზრუნავდით... მოკლე-მოკლე ნაბიჯებს ვდგამდით, სიარულში ხელი რომ არ შეგვეშალა ერთმანეთისთვის. შორიდან ალბათ მოძრავ ფანჩატურს ვგავდით, „კაბუქის“ თეატრის მსახიობებივით რომ გადაადგილდებოდა.

ორი მისასვლელი ჰქონდა გოგოს სახლს, ხუთსართულიან, ხუთსადარბაზოიან



სახლს, ქვედა — სანაპიროს მხრიდან და ზედა — მისი მეორე სართულის სიმაღლეზე გამავალი ქუჩიდან. ჩვენ ზევიდან მივადექით. სანაპიროდან შემოვარდნილი წყლით დაფარული ვრცელი ეზო ტბასავით გამოიყურებოდა. „ტბამდე“ მისაღწევად ცოტა ქვევით უნდა ჩავსულიყავით, ყველაზე ნაკლებად დამრეცი ადგილი შევარჩიეთ ამისათვის, ნავი ჩამოვიღეთ, ფრთხილად, ისე, რომ სველ ბალახზე ფეხი არ აგვსრიალებოდა, ლამის ჩაცუცქულვებმა ჩავიტანეთ, წყლის ზედაპირზე ავავიტივით და გოგოსაც მივებმარეთ ჩამოსვლაში.

გადაბიჯების დროს რომ არ აგვიყრავებოდა, ვახო ნელამდე შევიდა წყალში, ნავი გვერდულად დააყენა და მეორე გვერდს ორივე ხელით დაებლაუჭა. ამის მერე აღარც გოგოს გასჭირვებია ნავის ძირზე მოკალათება და აღარც მე. ვახოც ამობობლდა როდის-როდის.

სიგრძეზე, კორპუსის გასწვრივ, უნდა გაგვეცურა, სულ განაპირა სადარბაზოსკენ. ჩვენ „მგზავრს“ გაშლილი ქოლგა ორივე ხელით ეჭირა და ისეთი მშვიდი სახით შემოგვეყურებდა, თითქოს ნამდვილი მენავეები ვიყავით, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე რომ გადაჰყავთ ხალხი ყოველ ცისმარე დღეს...

ჩვენ კი ნიჩბები არ გვექონდა... საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოვაჩინეთ რომ ნამოლევა დაგვაინყდა. საყვედურების დაყრის დრო არ იყო, ენას კბილი დაეჭირეთ, სახელოები იდაყვებამდე ავიკაპინეთ და ნიჩბების მაგივრად ხელები ავამუშავეთ. დამდგარ წყალში მიმართულების „დაჭერა“ არ გაგვძნელებია, მცირე ბიძგებით მივინვედით წინ...

სადარბაზოებიც დატბორილი იყო. „ჩვენსას“ რომ მივუახლოვდით, მხოლოდ ცალ მხარეს გავაგრძელეთ მოსმა, რათა ნელ-ნელა მოგვეხვია და ნახევრად საესე ღიობში შევეცურებულიყავით. მოვახერხეთ და პირველი სართულის კიბის ბაქნამდე მშრალად გადაარჩინილ საფეხურებს მივადექით ცხვირით.

აქ იოლი იყო ნავიდან გადასვლა, მოპკიდებდი ხელს კიბის მოაჯირს, წყლიდან ამოხრილივით რომ მიიკლაკნებოდა ზედა სართულებისკენ, ჩაეჭიდებოდი ნამოსადგომად, წონასწორობის შესანარჩუნებლად და გადადგამდი ნაბიჯს. მე არ გადავსულვარ, ვახო იჯდა ცხვირთან და ის გადავიდა — გოგო რომ გაეტარებინა და მაინც შეეშველებინა ხელი დასაზღვევად...

ნავი იქამდე არ გავგიტოვებია, ვიდრე მესამე თუ მეოთხე სართულიდან საკეტის გაჩხაკუნების, კარის გაღების ხმა და ქალის შეძახილი არ გავიგონეთ, როგორ მოხვედი, გოგოო!..

თურმე არ ელოდებოდნენ შინ. წყლის მოვარდნის და დატბორვის ამბავს რომ დაუზაფრავს მთელი სკოლა, თავად დაურეკავს სამასწავლებლოდან მშობლებისთვის, გაკვეთილების შემდეგ კლასელს გაყვებში, იმასთან გავითვქვამდეთ... ეს უთქვამს ვახოსთვის, მე რომ სკოლის მოპირდაპირე მხარეს, კედელზე აყუდებული ნავის გვერდით ვიდექი და მათი ლაპარაკი არ მესმოდა. იმ გოგოსაც გამოუდია თავი, ვისთანაც აპირებდა წასვლას — რა ნავი, რის გადაცურვა, იქნებ კიდევ მოიმატა წყალმაო...

მთელი გზა, ეზოს ხელახლა გადალახვით დანყებული, დასრულებული კუკიამდე კარგა გვარიანად დამძიმებული ნავის თრევით, იმის გარკვევას მოვანდომეთ, რამ გამოიწვია გოგოს გადაწყვეტილების შეცვლა...

ბევრი ვილაპარაკეთ და რაც კი რამ ვთქვით, ყველაფერმა ერთი რამ გვაფიქრებინა, რომ ვახომ, თავისი მოულოდნელი გაუჩინარებით გაკვეთილებიდან და ასეთივე გამოცხადებით სკოლის წინ, ჩემთან და ნავთან ერთად, კიდევ ერთხელ აუხსნა სიყვარული გოგოს და მას ეს გაცხადებით უკეთ, გაცხადებით დამაჯერებლად გამოუვიდა, ვიდრე ზაფხულის მინურულს, სწავლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე...

ჰო, მართლა... თავლისფერთვალეობა, ფრანგ მომღერალ მიზევი მატყისავით თმაშეჭერილ გოგოს — რომელმაც ტბორადქცეული ეზოს გადაცურვისას გვითხრა, მთელი სახლი ჩვენ გვიყურებს ფანჯრებიდანო, მოხდენილად ასწია ნიკაპი და სავარაუდოდ ტომ სოიერსა და ჰაკ ფინს შორის დასკუპებულ ბეკი თეტიერად წარმოიდგინა თავი — ნუსცა ერქვა...

დასაწყისი პირველ გვერდზე

\*\*\*

ყოველ ზაფხულს ოჯახთან ერთად გავრამი ისვენებდა. დღეებიც გრძელი იყო და ბედნიერი — როდესაც არ უფიქრდები, რომ ბედნიერი ხარ. აბა, დაფიქრება თუ დასჭირდა, რაღა ბედნიერებაა. მაშინ მსუბუქად, ყოველგვარი დაღლის გარეშე ღამდება. ღამდება, რომ ისევ გათენდეს. მას შემდეგ ბევრმა დღე-ღამემ ჩაიარა, დიდი დრო გავიდა. დრო, რომლის დახატვაც ასე უნდოდა მოუწყს.

\*\*\*

სანაპიროზე მოხუცი ხატავდა. შიგადაშიგ ჰორიზონტს გახედავდა. მალევე ტილოს უბრუნდებოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანის იყო. ხშირი თმა გათეთრებოდა. კარგად მოვლილი ჭალარა უღვაშნვერი ჰქონდა. უხეში სახის ნაკვეთები, მაგრამ ეს სიუხეშე თვალს არ აშინებდა. პირიქით რაღაცნაირ კეთილშობილურ დაძველებასა და სანდომიანობას სძენდა. ოდნავ გულუბრყვილოდ იმზირებოდა ჭროლა, სევდიანი თვალებით.



გაგა ნახუცრიშვილი  
ფოტოსურათი

შორიახლოს ბიჭი მოუსვენრად ტრიალებდა. ხუჭუჭა ნაბლისფერი თმითა და მოკლე შარვლით. დაინტერესდა მოხუცი. უნდოდა, გაეგო რას ხატავდა, მაგრამ მისვლა ვერ გაეხდებოდა. ერიდებოდა, ხელი რომ არ შეეშალა.

მოხუცმაც შეამჩნია ბიჭი. გაუღიმა და თავისთან მოიხბო. ბიჭმაც უმალ მიიხრბინა.

— მე ლუკა მქვია, — გამოეცნაურა.  
— რა კარგი სახელია, მე ახრიკი, — გაცნო მოხუცი და ხელი ჩამოართვა.  
— ზღვას და გემებს ხატავთ? — ბიჭი მალევე გაუშინაურდა.  
— ჰო, ლუკა, ამ ბოლო დროს სულ ზღვას და გემებს ვხატავ.  
— ხატვას მასწავლით? — ჰკითხა მოხუცს და ტილოს შეაჩერდა.  
— იცი, ძალიან მინდა, რაღაც ხხვაც დაეხატა, — უთხრა მოხუცმა.  
— რა?  
— მიხვდები, დრო რომ მოვა, — მიუგო ახრიკმა და თვალი ჩაუპაჭუნა.  
— ძალიან მინდა, ვისწავლო ხატვა.

მოხუცმა ბიჭს თავი დაუკრა. ტილოს დახედა, ცალი თვალი მაგრად მოხუჭა, ჰორიზონტი დაკვირვებით შეათვალიერა და ჩიბუხსაც ღრმა ნაფაზი დაარტყა.

\*\*\*

ახრიკი აფხაზი იყო. ქართულად ბევრ ქართველზე უკეთესად ლაპარაკობდა. ნელა და დინჯად. თითოეულ სიტყვას დაფიქრებით სწონიდა, ზედმეტი რომ არაფერი ეთქვა, არაფერი შეშლოდა ან ნამოცდენოდა.

ქალაქის პირას ცხოვრობდა. დიდი აღმართის ბოლოს იდგა ახრიკის თეთრი, პატარა, მყუდრო სახლი. სულ ორი ოთახი ჰქონდა, სასტუმრო და საძინებელი. სახლის მიღმა მხოლოდ მთები მოსჩანდა, შორის, დაბლა კი — ზღვა.  
ბიჭსაც ყოველდღე მასპინძლობდა.

\*\*\*

ლუკა ნელ-ნელა სწავლობდა ხატვას. დაუზარელი, ნიჭიერი შევირდი გამოდგა. მოხუცსაც ბავშვით უხაროდა. თითქოს თვალსა და ხელს შუა ახალგაზრდავდებოდა, წლებსაც იფერთხავდა.

— იცი, რა მინდა, მერე დახატო? შენ ძალიან კარგად გამოგდის და მალე დახატავ.  
— მაღლობა, ახრიკ ბაბუ. რაა?..  
— დრო, ბიჭო...

— დროო?.. როგორ უნდა დაეხატო?! — ბიჭს გაუკვირდა.  
— თვითონ მიხვდები, — თქვა მოხუცმა და თვალიც ჩაუკრა, — მე მინდოდა და ვერ დაეხატე... ვერაფრით დაეხატე. უკვე გვიანია... მაგის დროც სადღა მაქვს.

\*\*\*

საღამოობით ისხდნენ მოხუცის სასტუმრო ოთახში და ალბომებს ათვალიერებდნენ. აღორძინება, იმპრესიონიზმი, ფიროსმანი... ფიროსმანი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა ახრიკს.  
— იცი, რატომ მიყვარს ფიროსმანი?  
— აბა, რატომ?  
— შენც ხომ მოგეწონა...  
— აბა, რა. მეც შემეყვარდა.  
— აი, მოახერხა და ბავშვად დარჩა. არასდროს დაკარგო შენი ბავშვობა, ბიჭო.

მერე ლუკას სასტუმრომდე აცილებდა. ახლადამოსული მთვარით განათებულ სანაპიროს მიუყვებოდნენ და გემრიელად მასლაათობდნენ.  
— ხედავ, როგორი მთვარეა, ფიროსმანის დახატული გეგონება, — ეუბნებოდა მოხუცი.

\*\*\*

— მერე გაგასინჯებ. ჯერ ადრეა შენთვის, არც მოგეწონება, — ახრიკმა ბიჭს ისევ ჩაუკრა თვალი და თავის გამოხდელი მანდარინის არაყი გადაჰკრა.  
— ახრიკ ბაბუ, ომის ამბებს რატომ არ მიაბობოთ?

— უვარგისია, შვილო, ომი. ცუდი სიზმარივით მინდა, დავივინყო. ცუდი სიზმრის გახსენება უვარგისიაო, ჩვენი წინაპრებიც ხო ასე ამბობდნენ. მართლებიც იყვნენ, ნურასდროს გაიხსენებ ცუდ სიზმარს.  
— აბა, რო მახსენდება ხოლმე?  
— შენც შეეცადე, დაივინყო და ეგრევე თავისით დაგავიწყდებოდა.  
— მართლაც?  
— აბა, როდის მომიტყუებხარ, — ჩაეცინა მოხუცს და თეფშზე ნამცხვრის ნაჭერი გადაუღო.  
— ესეც შენი საყვარელი ნამცხვარი, მისი უდიდებულესობა ნაპოლეონი. ისე, ომი კი უყვარდა მაგ ბეშურაზს. ეგეც კი უვარგისი იყო.  
ახრიკი სიტყვა უვარგისს ხშირად იყენებდა, როდესაც რამე ძალიან უარყოფითს გამოხატავდა უნდოდა.

\*\*\*

სასტუმრო ოთახის კედელზე სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი ქალის ფოტო ეკიდა. ბიჭიც გრძნობდა, რომ დიდ საიდუმლოს, დიდ ტკივილს ინახავდა ეს ფოტოსურათი. სულ უნდოდა, ახრიკ ბაბუსთვის ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა, ამოუცნობი შიში ენახა მომდგარ სიტყვას უკან, სადღაც გულის სიღრმეში უბრუნებდა. იქნებ ეს ფოტოსურათი იყო ამ მოხუცის აუხსნელი მარტოობის მიზეზი.

\*\*\*

ბედნიერი დრო კი გარბოდა. ზაფხული ზაფხულს ენაცვლებოდა. ბიჭიც გაიზარდა, დაკაცდა. უკვე მარტო, მშობლების გარეშე ჩადიოდა გავრამში. სასტუმროც აღარ ჭირდებოდა. მოხუცის აივანზე ისხდნენ, მანდარინის არაყს აჭაშნიკებდნენ, მთებსა და ზღვას გაჰყურებდნენ.  
— ლუკა, ხომ ხატავ ხოლმე?  
— აბა, რა, ახრიკ ბაბუ. აკადემიაშიც ხო ჩავაბარე...  
— აკადემიაში? — ჩაეცინა ახრიკს, მანდარინის არაყი ჩამოსახსა და უთხრა, — ფრთხილად, არავის უსმინო, შენით ხატე.  
— ასეც ვაკეთებ.  
— ჰოდა, ძალიანაც კარგი, დროის და-

ხატვას აღარ ფიქრობ? თუ დაგავიწყდა...  
— ეგ როგორ დამავიწყდება, სულ ვფიქრობ. მინდა, მაგრამ ჯერ ვერ დავინახე ვერაფრით!  
— ეჰ, მეც ამას ვუცდიდი... ხო ხედავ, როგორ გარბის, ვერასდროს დაინახავ, უნდა წარმოიდგინო.

\*\*\*

— ეს ლამაზი ქალი ვინ არის, ახრიკ ბაბუ? — ერთ ნელსაც გაბედა, დიდი გაჭირვებითა და სიფრთხილითაც იკითხა.  
ორივე გაჩუმდა. რამდენიმე წამი დუმდნენ, მაგრამ აუტანლად გაინელა ეს წამები. დუმილი მოხუცმა გატეხა.  
— უნდა დაოჯახდე, ბიჭო, უვარგისი რამეა მარტოობა. ზამთარშიც ჩამო, ჭინჭყლია ზღვის ზამთარი, მაგრამ ერთად გადავიტანთ.

\*\*\*

მერე ომი დაიწყო. ქართველები და აფხაზები ერთმანეთს დაეჯახნენ. აისრულა რუსეთის იმპერიამ წაღლი, რასაც დიდხანს, დაუზარლად, გულმოდგინედ ცდილობდა. „დაყავი და იბატონე!“ — ეს იყო და არის მსოფლიოში ამ ყველაზე ველური და ჩამორჩენილი იმპერიის დევიზი, რომელიც ხშირად კაცობრიობის საუბედუროდ მოქმედებს. ადამიანში ხომ ძალიან იოლია შურის, ბოღმის, მტრობის გაღვივება?! ერთმანეთის სიყვარული ყოფილა უფრო ძნელი. ბანალური ჭეშმარიტებაა. ყველა ჭეშმარიტება ხომ ბანალურია, მაგრამ რატომღაც მიუწვდომელი.

\*\*\*

დაეცა გაგრა, გაცამტვერდა. სისხლის ნიაღვრებმა დატბორა ეს მყუდრო პატარა, თვალწარმტაცი ქალაქი. არადა, ყველა ქალაქი ხომ სიყვარულისთვის შენდებდა, ყველა ქალაქს ხომ სიყვარული აშენებს.  
ამაზე ფიქრობდა ბიჭი გვიან ღამით, როცა ტელეფონმა დარეკა. ახრიკ ბაბუ ურეკავდა.

— იცოდე, არ ჩამოხვიდე, — უჩვეულოდ ჩახლქილი ხმით უთხრა და ყურმილი დაკიდა.  
ლუკა ომში წასვლას აპირებდა. იგრძნო ახრიკმაც. ბიჭიც წლებს მერე მიხვდა, თურმე ამ ჩახლქილმა ხმამ გადაარჩინა.

\*\*\*

გამოხდა ხანი. ისევ გვიანი ღამე იყო. ბიჭსაც ისევ არ ეძინა. ნახატს შემორჩა. ტელეფონმა დარეკა. ისევ ჩახლქილმა, ოღონდ ქალის ხმამ ამცნო.  
— ახრიკ ბაბუ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მთხოვა, რომ თქვენთვის დამერეკა, უკაცრავად, რომ შეგანუხეთ, — უთხრა ქალმა და ყურმილი სწრაფადვე დაკიდა.

\*\*\*


გამშვებ პუნქტზე აღარ უშვებდნენ. ნათესავი რომ იყოს — კი, ბატონო, მაგრამ არ შეიძლება — უხსნიდა კალამნიკოვიანი რუსი ბომჟი, იაფფასიანი არყით დასიებული, გადმოკარკლული თვალებით.  
იგრძნო, რომ ამ ბომჟს თავისუფლად მოკლავდა, ყოველგვარი სინანულისა და განცდის გარეშე. მერე ტანში გასცრა. საშინელი ზიზღი დაეუფლა, საკუთარი თავისაც გვარიანად შეეშინდა.

\*\*\*

ღამით თბილისში არ დაბრუნებულა. განმუხურის სანაპიროზე საძილე ტომარაში დაათენდა. განმუხური ენჯურის გადაღმა და აფხაზების სურნელიც ტრიალებს. ზღვაც კრიალა, სხვანაირად გამჭვირვალე და ლურჯი. მიხვდა, რატომ იყო მოხუცი სულ მარტო: უეჭველად საყვარელი ადამიანების დაკარგვის ეშინოდა. მარტოობაში კი ვერაფრის დაკარგვა... საკუთარი თავის გარდა.

გრძნობდა, რომ რაღაც უნდა შეეცვალა. დაოჯახებულიყო, ანდა დრო დაეხატა. დაოჯახება უფრო ადვილი ჩანდა, მაგრამ შეყვარებული არ ჰყავდა.  
ჭინჭყლია ზღვის ზამთარი და უვარგისია მარტოობა.

მერე ის გრძნობა შემოანვა, რომელიც ქალაქებს აშენებს და რომლისთვისაც ქალაქები შენდებდა. უკვე იცოდა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა. ახრიკის საფლავსაც იპოვნინა, მოუვლიდა, მოეფერებოდა. იმ ფოტოსურათსაც მოძებნიდა და სამუდამოდ შეინახავდა.



ლია სტურუა

**დანავაშლის კომალიასი**

ლაპარაკობ გახეული ქალაღდის პირით,  
მუსიკა გადაგიკეტეს?  
მარტო ქრომატიული გამების ნემსები  
თითებში — პატარა სისხლი.  
მდინარეები არც იმათ სდიოდან,  
ქრესტომათიულ პოეტებს,  
ზრდილობიანად გართმულებს ერთმანეთთან,  
მოკლულებს უფრო:  
ქვეცნობიერის წიაღიდან  
ამოდიოდა მათი სირცხვილი  
და თავზე ვარსკვლავს იკეთებდა,  
ამ შუქით ჩანდი...  
„და იყო დღე და იყო ღამე  
და კარგი იყო“.  
ლირიკა ვისთვის? ხალხისთვის?  
მათხოვარი პოეტებისთვის?  
გამომცემლობებს უჭირთ,  
თავისი მჭლე ხორცი რომ აჭამონ,  
მხრებზე შეიდგან, — ესეც შენი გოტიკა!  
შეიძლება, აალებულიც,  
როცა ეროვნული პილპილი!  
იქაც ლექსების კრებულები  
ქალაღდის პირებში!  
გაზეთები ისედაც არის...

\*\*\*  
სახლი — ციხე, მარტოხელა საკანი,  
კარცერი არ ეთქმის, თუნდაც,  
სამმეტრიანი ჭერის გამო,  
კედლებსაც არ მიჭერს,  
ჰუმანურებს ამდენი ნახატისგან...  
რომელი მათგანიდან ამოყოფ ხელს  
და სიცივეზე ამაფარებ?  
აკვარელის ნელთბილობას რას უზამდი  
და ზეთის ფერებისგან  
მზეს დააგუნდავებ ჩემთვის,  
ესეც შეგიძლია, ტყუილად კი არ შეგადგინე  
ზმნებისა და ზედსართავებისაგან!  
გრამატიკა მენხმარებოდა, ლიტერატურის თეორია,  
მაგრამ იმდენად კანონიერი იყო ორივე,  
ცოტა სიგიჟე ჩემგან დაუშობა...  
მერე ჩვენმა მარტოობებმა  
გარსი შემოივლეს, ჯავშანივით,  
ჩემმა — კვადრატული, შენმა მრგვალი,  
მომენატრებოდი, რომელიმე კუთხიდან  
გამოვყოფავდი,  
შენ იდეალური სიმრგვალიდან — ვედარ,  
ერთი ქვეყნით დავმორდი ერთმანეთს,  
მერე ტკივილი იყო...

**ჰიმნობრაზია**

მაღალი სიცხე, არეული ლექსი,  
სიახლოვე ეკლესიის, როგორც ზღვის,  
იმსიგრძე ყელით მოდის  
(სხვები მკვრივი მენჯ-ბარძაყით,  
ან ოქროს ხახვებით),  
რომ აქცენტი სახვით მხარეზე!  
ლექსს რაც შეეხება (მუსიკის თემას),  
მშვიერი მრევლი ვიტრაჟებს ჭამს —

ფერადი პარტიტურა ანგელოზებისთვის!  
ჰიმნოგრაფია რომ ვთქვა,  
უკვე ლიტერატურაა  
და დაუშვებელი სიცხადე შემოაქვს,  
იმასაც, ნიაღს რაც ერთმებოდა:  
ეროტიკულ ნოტებს, ამაო სიტყვებს,  
როცა მაღალი ტემპერატურა,  
დამტვრეული ლექსი,  
თუ ანყე, დაბუფებული ფეხებიდან  
ნემსები, ისევე, გულთან ადიან,  
ინფარქტი? არა!  
შეტყობინება, რომ ვილაც მოგნონს?  
ნარსული? ანმყო?  
რა მნიშვნელობა აქვს?  
მთავარია, ჩხვლეტები იგრძნო...

**გასსოვს?**

ამბავი ბოლოდან თუ დაიწყე,  
რამდენი „გახსოვს“ შეგიძლია!  
მაგ. სიზმარში სისხლი, ცხადში  
მზის გროტესკი, ჩამავალის,  
ზღვის ილუსტრაცია რომელილაც  
უვარგის ნიგნში, რომ შეეხო,  
ხელზე ლურჯი საღებავი დაგრჩება,  
ნამდვილი გახსოვს?  
თითქოს, ლაჟვარდში ამოველე —  
ნახევრად ძვირფასი პაუზა  
დედა — თიხამდე  
პოზა მანერული, მერე რა,  
სამხრეთს უხდობა!  
გახსოვს, შენთან რომ ამოვედი  
და ყური კარებზე დავტოვე,  
რასაც ვერ დაინახავდი,  
სუნით კი მიცანი და დამირეკე?  
მაშინ, კიდევ, ტრამვაი დადიოდა  
ჭაჭაჭაძეზე, როგორ მიყვარდა!  
მერე რეზოს ფეხი მოაჭრა,  
მერე შენ ნახვედი...  
ამიტომ ბოლოდან ვინყებ ამბავს,  
რომ ზოგჯერ დაგელაპარაკო...

**ზედსართავი**

ტკივილი ქალაღდზე რომ გადაიტანო,  
მართი კუთხეები გამოგივა ბევრი,  
შუბლი კვადრატებად დაიშლება,  
თავიც თუ მიაყოლე, კუბებად,  
საკუთარი თავის დემონტაჟს უყურებ  
და სანამ გაჟირილებს, ანუ სახეზეა  
ჭიანჭველების ეფექტი,  
იცი, რომ ამ უმეტაფორო დროში,  
რომლისთვისაც არც ერთი მთვარე  
არ მიგიშუქებია, ნგრევის მერე დალაგებულზეც,  
ლექსს დანერ, კუთხეებიან ტკივილს დახატავ,  
როიალების თეთრ კილომეტრებს  
გამოხვეტავ სცენაზე, მორიგ ტკივილამდე,  
აბრეშუმზე გასმულ დაკნენილ ფრჩხილებამდე,  
რაც სულ გესმის, რაგინდ, კონსერვატორიები  
ჩაიდგა ყურებში. ამისთვისაც არც ერთი  
მთვარე არ მიგიშუქებია, აბა, საიდან  
იმ კაცის სილუეტი? ჭიანჭველების ეფექტი

მის დანახვაზე, ზედსართავი,  
ნორმალური ფილოლოგების ტერიტორიიდან  
ნამოყოლილი, მეტყველების ნაწილი,  
მორფოლოგიის,  
შენ რომ მარტო კაშკაშით გახსოვს?

\*\*\*

სიცივისგან თვალები მიმკვეთრდება:  
საგანს შეეხედავ, მოხაზულობას ჩამოვაცლი,  
შიგთავსი უჩანს,  
როგორც კურკა ატამს.  
კურკა და კურკა!  
მთლიანად ვარდისფერი რომ ყოფილიყო,  
სიხარბე დამახრჩობდა,  
ან უკმარისობის ჭია,  
მერე სინანული, თითქოს,  
საკუთარი ბავშვობა შემომეჭამა...  
კურკა აფხიზლებს, უფმური ფერის,  
დაღარული, მოფიქრალი შუბლივით,  
კი, ზღვარი, მაგრამ არა ოქროს ტიხარი  
განბილებული მინანქრის სამშობლოსი,  
იმავე ნაივური ნარსულიდან,  
რომელზეც ფიქრი, „მივტირი“-ს მოტივებზე,  
არ გამოდის, მეფუარები  
ჩემი საქმე არაა,  
ჰერაკლიტეს ცეცხლზე ვითობ ხელებს  
და ლექსს ვნერ და მარტო ვარ...

**მენიერი**

სიტყვას რომ ბევრჯერ გაიმეორებ,  
და მალა, შენს თავბრუსხვევაზე მალა,  
ზარი დარეკავს, ეს, ვითომ, დიაგნოზია?  
დადგენენ, არკვიონ, რეალისტი ხარ,  
თუ დეკადენტების გადმონაშთი,  
როცა მიმი თანხმობენები  
ყელში ილექებიან  
— კიდურებზე იყო ნათქვამი ლურსმნები  
და არა გლანდებზე! გახსოვს?  
მაგრამ შენი ხელობის რეალიზმიც ესაა:  
ყოყმანი ნალდ ჭიებსა  
და ჰიპოთეტურ ცას შორის,  
დროის გასაგნება ხის ყუთში,  
ან ბრინჯაოს ბაროკოში,  
თუ ესთეტი ხარ.  
სივრცესთან ასეთი თამაშები არ გამოდის,  
წვიმა, თოვლი, ქარი, რომელი იყავი?  
არცერთი, დედა გყავდა,  
ყურები ვარდისფერი გქონდა,  
მზეზე როცა იდექი,  
სტიქიებს სახლიდან უყურებდი,  
სანამ უსახლკარობა არ აჩემე,  
სიტყვით, რა თქმა უნდა,  
და იმ სიღრმიდან ამოიგლიჯე,  
(სისხლძარღვები, ხერხემლის ასლი),  
რომ ყველა შემთხვევაში, უტიფრად წითელი!  
რამდენი ტონით მაღალი  
იმ უმწეო ვარდისფერზე?  
რამდენი ალესილი სამართებლით  
ეპითეტიდან მეტაფორამდე?  
ავადმყოფობაც ხომ მეტაფორაა,  
სანამ ძალაში შევა...

**ვაბრკელა თამაშს**

ზამთარში ვიფიქრე:  
— მე რალა მოთამაშე ვარ?  
თეთრ ქალაღდზე მანქანები დადიან,  
როგორც არმოსულ თოვლზე...  
რადიატორიდან ცხენიც რომ ამოვიყვანო —  
სიმბოლო, დროშა (პათოსი უკვდავია),  
ნერვებს, მაინც, შემეჭამენ,  
სისხლის მიმოქცევას მომიშლიან  
— მათხოვეთ სისხლძარღვები!  
სიტყვები, გულის გარდა, შუბლისაცაა:  
გავისხენებ, რომლები ენყობიან ერთმანეთს,  
რომლები ანგრევენ, წებო ჩემზეა,  
მაგრამ შაქრიანი წყლიდან  
რა თაფლი გამოვა?  
გაზაფხულიც ისეთი გამხდარი მოდის!  
ბუტკოები სათბურის ყვავილებისთვის  
ამოაცალეს, სინათლე გამოუნუნეს  
უფრო ყოჩაღებმა, პოეტებს,  
ჰიპერბოლებით გატენილი რაქიტული თავები  
ფანჯრებში გაეჩხირათ, ვადა რატომ არ აწერიათ?  
ვარგისია ამ წლიდან ამ წლამდე  
და არავითარი მეტაფორულ-ჰიპერბოლური  
გარყვნილება! ენა ურთიერთობის საშუალებაა,  
შიგადაშიგ, ნამდერებისაც და მორჩა!  
მაგრამ მე რომ სახლიდან გავალ  
ამ გამხდარ გაზაფხულში,  
ჰაერს ფეხს ნამოვკრავ  
და მოსახვევში ერთი ქვეყანა  
სიმწვანე გამოჩნდება,  
ან ზღვა, თვალისმომჭრელად ელვარე...  
ეს რომ არა, ხომ დავბრმავდებოდი...



**პაპუნა ფირცხალაიშვილი**

**უზაუური**

მზე რომ ამოდის, მე ჩაედივარ. მამის საფლავი თავს ზემოთ მრჩება. კიდევ უფრო ზემოთ შვილები. ასეთი არის ნესტიანი ჩემი ამბავი. ქარის გარეშე. ხშირი სუნთქვით და შეშლილებით.

თავზე ჩაფხუტი. ზედ ფარანი. ხელში წერაქვი. გვერდით ღარიბი. შავი გრიმი და ხელთათმანი ხელზე და ფიქრი მეგობარზე, რომ მოირაგვა შარშან და ზემოთ მიწაში, რომ მისი მართალი

ხორცია. მერე მიაღებე ურტყი და ურტყი... ცოლი ლოცულობს და არასდროს შემესიჯება, მიწაში ვარ და ცაში მახლევებს, ურჩი და უტყვი. შვილებს მამა და მე კი მუდამ მზე მესიზმრება, როგორ მაბრმავებს.

**ნარილი ღელას**

ადრე, როდესაც შენი კალთა ისე მეხურა, რომ ქარს ახლოსაც არ უშვებდი. კალთით მიცავდი. რა ტკბილი იყო კეჟურა და მჭადი გლეხურად.

რა კარგი იყო (სანამ გზები არ გავიცანი), ჩემი სოფელი. შობის ღამე. დილით ღვეხელი. სახლთან ლეღვის ხე, ლეღვის ხეზე ჭრელი ციკარი.

ახლა კი შორს ვარ და ზიზღიან ხმაში შეხედილ ლექსით გავუხსნი დაჟანგულ გულს ცოდვის საკეტებს. შენ არ ინაღვლო, ჩემთვის რამე თუ ვერ შეძელი.

არც მე ვიდარდებ, თუ ვერაფერს ვერ გავაკეთებ კარგად ამ ქვეყნად. შემეყოლა ქალის თამაშმა, ბევრჯერ დავმარცხდი, თუმცა მაინც არ ჩავახედე

გულის სარკეში. ეშმაკმა რომ დალი დამასვა მხარზე, ხედავდა, ზუსტად ვიცი, ამას იესო. ღორიც ვიყავი და მიყვარდა ხშირი ჭამა-სმა,

და არ მახსოვდა ჩემი, მწვანე, ლამაზი, ეზო დიდი ვაშლებით. რა გაიმბო, როგორ დავმალე ჩემივე თავი. სული გზაში დამანიეს, ომს

როცა ვაგებდი. დავივინყე დილით მამა, რომ ბებოს კოცნიდა. ქარი მამრობს ისევ სახურავს და ჩამოვდნები მალე, როგორც შაქრის მამალო.

ვიცი დაჩოქილს რომ შენს კალთას ნამომახურავ და ამ ლექსს როგორც აღსარებას ისე მიიღებ. სანამ ხერხემალს, მშვილდის მსგავსად, ტვირთი გაღუნავს

და გადატყდება საბოლოოდ გადახრილი ხე. ერთიც მიმღერე. გამაგონე შენი ხმა ტკბილი. ბავშვობა ისევ მშვიდ ნაპირზე გამომირიყე.

სანამ ვარსებობ, უშედეგოდ. ვხობავ მატლივით და სანამ გამჭყლტეს ეს ცხოვრება, მინდა მადლობა გითხრა ათასჯერ. ჩემთვის არის დიდი პატივი

შენი შვილობა. შენი შვილის უსინათლობა და უვიცობა შეავედრე უფლის შეგირდებს. არ მიფიქრია არასოდეს სულის დათმობა.

გამომელია ოცნებაც და სანამ შეგიტევს ასაკი, გთხოვ რომ არ მიდარდო დამარცხებულ შვილი, ცხოვრებას ცეცხლივით რომ ვერ ნავეკიდე,

რომ დაიღვევინა საჩინო და უფრო მეფური მხრებიც, ზვავივით რომ ჩამოწვა დაბლა, მინისკენ, რომ დაიღალა ხორცი — სულთან მირონცხებული,

რომ ვერ გავმდიდრდი, ვერ ვივარგე, რომ ვერ ვიცისკრე და ვერ აგენთე, სანთელივით ისე ჩამოვდნი, რომ ვერ ავდექი, ერთხელ ხელი როცა მიბიძგეს

და ნავიქეცი და სიცოცხლე თუ არ გამომდის, მაშინ მამყოფე შენს ბუდეში, როგორც ბელურა, როგორც ეს ლექსი დანერვილი ამ საღამოთი.

\*\*\*  
 არასდროს მითქვამს ღმერთზე უარი, თუმცა შევხარი დღესაც ფილაქანს... და ჩემი გულის რეზერვუარი ათას ზიზღსა და სითბოს ინახავს. ხელთათმანივით ტყავს რომ ვიძრობდი ხელებზე პირჯვრის გამოსასახად, მაშინ ვიცოდი, ზუსტად ვიცოდი, თუ არ ვიცოდი, ვგრძობდი ცალსახად, რომ შეფუთული გულის სანაცვლოდ არ მიშველიდა ხელის სიშიშველე და რომ ვადექი რწმენის არასწორ გზას სიყვარულში და ამ შიშისვე მონად ვიქეცი. თუმცა მონობა ხშირად ალაგებს და არ აგირევს ცხოვრებას. დროა ჭკუის კოლოფად და სიყვარულის მოჯამაგირედ ვიქეცი. შევხარი თუმცა ფილაქანს და ვცდილობ არ ვთქვა ღმერთზე უარი, და ათას ზიზღს და სითბოს ინახავს დღეს ჩემი გულის რეზერვუარი.

\*\*\*  
 აღარ მჭირდება თმების გაშრობა, წვერი ჩემს ასაკს კარგად ციტირებს, გთხოვთ, დამიბრუნეთ ჩემი ბავშვობა, თორემ ვიტყვებ.

\*\*\*  
 დიდი ტკივილი, დაო, წინ არის, ბედნიერებაც აწი ახლოა, ჭრიალებს მუხლი და ოწინარი. მე ოწინარის ხმამ დამაღონა.

რკინას დრო შეჭამს, კაცი გამძლეა, თვითმფრინავების მაფრთხობს გუგუნე.

რა სიბანძეა. რა სიმძლერეა, რას ილანძლება ეს საუკუნე.

ისევ შავია გარეუბნები, უბანს უჭირავს მთელი ქალაქი, შენ რომ არაფერს არ მეუბნები, ამიტომ არ ღირს დღეს ლაპარაკი.

**გონა ჯიზლაქის**

ერთად ვისხდებით, როცა ნავა ცხელი კამათი, ბუხართან ღვინით, გულში დარდით, ხელში კამათლით,

სისულელეზე და ღიმილი ბებერ სახეზე ნაგვიშლის რუკას, როგორც გრიმი დროის ნახაზებს

და ვერ შენიშნავს ნარსულს ჩვენსას ნამსვლელ-მომსვლელი. და ისრიალებს სახე, როგორც ტრასა ბობსლეის,

რომ არ შეეძლოს მოჭიდება არცერთ უცხო თვალს. ვერ ნაიკითხოს, რას იტანდა და რას უწყოდა,

როგორ დამძიმდა ამ ცხოვრებით ანუ არაფრით. ბუხრის კიდზე ჩამოფერთხავ, მერე კანაფით

გატენი ჩიბუხს. გააბოლებ და გააყოლებ ღიმილს, ტკივილებს, ქალის ალერსს, ქალის საყურეს.

ერთიც გაიქნევა გამეტებით მოქნილ კამათელს. ორ ჩარს ინატრებს, ინატრებს და თან გაამართლებს.

მეტი რა გინდა ცხოვრებაში კაცს და დარდიმანდს. ნარდი აქაა, კარადაში კიდევ კარტი მაქვს.

ბუხარი უტევს ზეცის კიდეს და შრეს ოზონის ნაჩვევი რიტმით, ემოციის ზუსტი მოზომვით.

ცეცხლიც მილულავს წითელ თვალებს. ცეცხლიც დაცხრება, და თუ ნავაგებ, ნუ იგლოვებ ჩემს დამარცხებას.

\*\*\*

მე შენს სხეულთან ყოველდღე მძინავს, ყოველდღე შენს სულს შევეხო, ვცდილობ, ვაგროვებ ფრთხილად შენს ყოველ წვრილმანს, წვიმაში ქოლგას, გვალვაში ჭილოფს ვაფარებ, ვიცავ. ვავედრებ უფალს შენს ყველა ტკივილს და ყველა ღიმილს, გექცევი კარგად, ზოგჯერ კი ყულფად და მზე რომ ქვრება და როცა წვიმის რიგია, მაშინ ვიქეცი ქოლგად, გვალვაში ჭილოფს ვაფარებ მინდერის, მე შენთან მუდამ განვიცდი ორგაზმს, შენ სულ მოდიხარ, სხვა კი სულ მიდის და ვრჩებით ორნი და ჩვენს ორ სხეულს ვუყოფთ ერთმანეთს და თავებს ვკარგავთ, ოღონდ შენ მყავდე და სხვა კი წყეულ იყოს და არის. ვიქნებით კარგად.

**ირაკლი კუნჭულიას**

ხედავ, ჭაობში იძირება შენი ქალაქი, მაინც აქ არის ყველა, ვინც კი ასეთს აგიტანს, სადაც ვერ სუნთქავ და ჰაერის მცირე დანაკლისს არ უღმავდები და იზოგავ. ამ ქალაქიდან

შემოგთავაზეს არაერთხელ და არ ნახვედი, შეიძლებოდა რაღაცისთვის ხელის გამოკვრაც, მაგრამ დარჩი და ყოველ ღამით წვრილად გახვრეტილ ბოთლიდან ცუდად მოცეკვავე ჯინი ამოგყავს.

**ირინე ოზანაქის**

შენ ანგინა გაქვს. როგორ მიყვარს, როცა ბავშვური სირთულეები თავს იჩენენ მოზრდილ ასაკში, თუმცა ბავშვობა ბედნიერი და შესაშური, კარგად ვიცი, რომ არ გქონია, რამე გასაკვირს ალბათ არ ყვენი არავისთვის, ერთხელ კიდობანს ნაყევი, ნახე გასაჭირი, სევდა ამ სოფლის, შენ ბავშვობაში მოგინია რადგან დიდობა, ახლა დიდი ხარ, ამიტომაც დროა ბავშვობის. დროა, რომ თმები აიწიო, ორი კიკინა რომ გაიკეთო, რომ დაიწყო ვაშლის მოპარვა გალმა მთის ბაღში. დედას უთხრა, რომ შეიგინა უფროსმა ძმამ და მეზობლის ბავშვს, რომ სახლობანა ან ექიმობა ეთამაშო, თუმცა არ გინდა (ლექსის ბოლოშიც გავედი და დროა ავრიო), ექიმი ახლა შენ გჭირდება, რათა ანგინა დროზე მოგიჩვენოს, მერე სადმე ლუდი დავლიო.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ასეთ დროს ადამიანი ან ასე იქცევა ხოლმე, ან — ისე, ან — ვერანაირადაც ვერა. ზაქრომ, მოულოდნელად, ასე (თუ ისე?) მოქცევისთვის ივარგა და გადაწყვიტა — ნავალ, ქვეყანას ვნახავ — ბედს თუ ვერ ვენევი, იმაში ხომ მაინც დავრწმუნდები, რომ ჩემისთანების საშველი არსად არის და იქნებ ცოტა გულზე მომეშვასო.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ჭადარტან შემოაღამდა (ზუსტად იქ რანაირად შემოაღამდა, ზღაპრულ ტრადიციებს მოჰკითხეთ). ეტყობა, ზაფხული იდგა, რაკი — ბარემ აქვე დავიძინებო — გაიფიქრა. ხოლო თუ ეს იმიტომ გაიფიქრა, რომ ახლომახლო იმ ჭადარზე უკეთესი თავშესაფარი არაფერი მოიძებნებოდა, მაშინ — იმედია, ზაფხული იდგა.

ეგ არის, გაფიქრება და დაძინება ყველა შემთხვევაში სხვადასხვა მოქმედებაა. ზაქროსნაირ ბიჭს კი — გეკითხებით — რა უფრო ექნებოდა თან — ბუმბულის საბანგობანი თუ კაი ჯანმრთელი ნევროზი?

რაც უნდა მიპასუხოთ, სამი ქაჯი რომ მოფრინდა და ხეზე ბუსავით შემოჯდა, ზაქროს მაინც ჭოტივით ეღვიძა (ან პირიქით — ჭოტივით ისინი მოფრინდნენ და ამას ეღვიძა ბუსავით). ესენიც რა სულ სამსამად დაფრინდნენ, ამათი ვითომსაკრალისტი ასე და ისეო, — გაიფიქრა ზაქრომ. და თუ ეს განაფიქრი გეხამუშათ — კეთილი, ალალი და მორიდებული ბიჭი მაგას როგორ იზამდაო — გამოდის, რომ კეთილ, ალალ და მორიდებულ ბიჭებზე ძალიან ზედპირული წარმოდგენა გქონიათ.

თუმცა ვიდრე ჩვენ აქ ზაქროს თვისებებისა და ფიქრების ურთიერთშესაფერისობას ვარკვევთ, პირველმა ქაჯმა იქ უკვე კაი გამართული ადამიანურით იკითხა:

— რა ვქნათ ახლა, რა მოვუგონოთ ამ პატიოსან კაცს, თავ-ბედი უარესად როგორ ვანყევინოთო?

თან ტოტზე ისე აცმუკდა, იფიქრებდი, პასუხის რამდენიმე ვარიანტი თვითონვე უტრიალებს თავში და სწორედ არჩევნის სიუხვე რომ არ უშლიდეს ხელს, რომელიმეს ჩამოარაკრავდა კიდევცო.

დანარჩენებმა შეხმინება არ იჩქარეს. იქნებ იმიტომ — დაუფიქრებლად პირის მომლებები ანუ სცენარით განერილი რეპლიკების უბრალო დეკლამატორები არავის ვეგონოთო. თუმცა რა ვიცი — ბოლოს და ბოლოს გამომეტებულ პასუხს მოყოლებული მთქნარება დროისა და ენერჯის დანახვას უფრო გამოხატავდა. თქმით კი მეორე ქაჯმა ეს ამოამთქნარა:

— რა რა უნდა ვქნათ — ახლავე ჩვენი საქმიანი პარტნიორი გიურზა მივუქსიოთო.

— და მაინცდამაინც ეგ რადა ვქნათო? — პირველი ქაჯის მორიგი კითხვის შინაარსმა და ტონმა ცალ-ცალკე გააშფავენა, რომ მისი მრავალი იდეიდან ვერცერთისთვის გაერტყათ.

— მისიამი პარტნიორად სწორედ ზემოხსენებული ქვეწარმავალი გვიწერია და ან სხვანაირად როგორ უნდა გამოვიყენოთ, ან გვიან რატომ უნდა გამოვიყენოთ, როცა შეგვიძლია, ახლავე გამოვიყენოთო, — არგუმენტები დაახვავა მეორემ. ნუ, თვითონ ასე ეგონა.

— მერე მაგით რა გამოვაო?! — არგუმენტები იცოტავა თუ იუხარისხოვა პირველმა.

— მეტი რადა უნდა გამოვიდეს. კაცი რომ ერთ დღეს ბედის საძებრად წავა და იმავე დღემს გველი დაგველაგოს, არ უნდა მოკვდეს სიცილით, ჰა-ჰა-ჰაო?! — ან ისე გაიცინა, თითქოს დაამთქნარაო, ან ისე დაამთქნარა, თითქოს გაიცინაო, მეორემ.

— ფანტაზიის რა სიმწირეაო! — უკვე გალიზანდა პირველი, — მითხარი, სად გეჩქარება და მაგას რომ კლავ, უარესს ვის ტოვებ. არ ჯობია, იაროს, ინანნალოს, არავინ შეიფაროს, ლუკმა და ყლუპი არავინ გაუყოს, გამვლელმაც თავში უტყაპუნოს და გამოვლელმაც, ისეთ დღეში ჩავარდეს, სიკვდილსა ნატრობდეს და იმისიც ემინოდეს? აი, ჩვენი სიცილი და მხიარულება მერე ნახეთო.

— არ ვიცი, გენაცვალეო, — მხრები აიჩქარა მეორემ, — ამ ზაქროს თუ გადავყევით, სხვა მილიარდობით გასაუბედურებელს ვინდა მიხედავსო?

— ჯერ ერთი, მიფიქრებული საქმე ღვთისაა, და მეორეც, მგონი, სტატისტიკას აყალბებო, — მიერეკებოდა პირველი.

— ჩვენ რადა მოგვარიგებს და იქნებ დროა, მესამე ქაჯიც ამეტყველდეს, სანამ ვინმეს უფიქრია — მესამე ქაჯად წამოუყვანიათ, ამათი ვითომსაკრალისტი ასე და ისეო, — კამათი ხომ თავიდანვე ეზარებოდა და, მგონი, ღვთის ხსენებაც არ ეამა მეორე ქაჯს.

— მართლა, მართლა, შენ რატომ არაფერს იტყვი და, თუ იტყვი კიდევ, აბა, რას იტყვიო? — მესამეს მიუბრუნდა პირველი.

— იმას ვიტყვი, რომ მაგარი ქაჯები ხართო, — არ ალოდინა მესამემ.

— აუ, მართლაო?! — გაიხარა პირველმა.

— ნუ გიხარია — დაგვცინისო, — არ გაახარა მეორემ.

— რატომ დაგვცინიო? — იკითხა პირველმა.

— აბა, მაშ, როგორ მოვიქცეო? — იკითხა მესამემ.

— აბა, მაშ, როგორ მოვიქცეთო? — მეორემაც იკითხა.

— ნელან ისეთები მასმინეთ, ახლა პირდაპირ რომ გიპასუხოთ, მეშინია, ჯერ მოკში არ ჩავეცივდეთ და მერე — ხიდანო, — ირიბი პასუხი წამოიწყო მესამემ.

— კარგია, ჩვენზე რომ ზრუნავო, — დაუფასა პირველმა.



— თუ რა თქმა უნდა, სინამდვილეში, იმ ბიჭზე არ ზრუნავ — ქაჯები თავზე არ დავეცეთ და ანგელოზები არ დავუფეთოთო, — არ დაუფასა მეორემ.

— სიმართლე გითხრათ, დარდით არცერთი მედარდებით და ჩემი საზრუნავი მარტო საქმეაო, — თქვენ რა უნდა დამიფასოთო, მესამემ.

— საქმეზე მაინც თუ ზრუნავ, რატომ პირდაპირ არ გვეტყვი, რასაც პირდაპირ არ გვეტყვი და თუ პირდაპირ არ გვეტყვი, აბა, როგორღა გვეტყვიო? — პირველი იყო. თუმცა მეორესაც აინტერესებდა.

— როგორ და, შორიდან მოვუვლი. მაგალითად, ჯერ ვიკითხავ — ახლა სადა ვართო? — პრინციპში, ახლა სადა ვართო, უკვე იკითხა მესამემ.

— ეგ რა შორიდან მოვლაა, როცა აქა ვართო? — ხელფრთა გაუპარჭყა პირველმა.

— სად აქო? — ჩაეძია მესამემ.

— ხეზეო, — მიუხვდა პირველი და ნარმატებით ნაქეზებულმა მეტი მოინდომა, — სახელდობრ, ჭადარზეო.

— და ჭადარი სად არიო? — ისეთი ჩალიმებით იკითხა მესამემ, თითქოს „ს“, დიალოგის მინაურულობამ კი არა, რთიმის საცდურმა გამოატოვებინაო.

— გზის პირასო.

— და გზა სად არისო? — რა ვთქვი — რითმამ რომ აღარ მოითხოვა, „ს“ აღარ გამოტოვა მესამემ.

— ერთ სოფელსა და მეორე სოფელს შორისო.

— და ეგ სოფლები სად არისო? — აჰა, არც აქ.

— სახელმწიფოშიო.

— სახელმწიფო? — ნუ, აქ უკვე სხვა ვითარებაა.

— დედამინაზეო.

და მალე ალბათ ასტრონომიაში ქაჯების ცოდნისა თუ უმეცრების დღემდე ბუნდოვან საკითხსაც მოეფინებოდა ნათელი, ჩვენგან ორი ნომრით მონიშნულ ავსულს ჭადარზე გაჩაღებული ვიქტორინა ისედაც გაჯანჯლებულად რომ არ მოსჩვენებოდა

და მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი კოსმოსური ექსპედიცია თავისი ტემპერამენტისთვის შეუფერებელი მონდომებით არ ჩაეშალა:

— ზღაპარში ვართ, ზღაპარში! წიგნში! ან — გახეთში! ან — ჟურნალში! ან — ელექტრონულ საიტზე! ან — ჯერჯერობით, მხოლოდ ლეპტოპში! კომპიუტერში! ქინდლში! იოტარდერში! ტელეფონში! ან — უბრალოდ, თაბახის ფურცლებზე! თუ კიდევ უფრო ძველი დრო არ არის და ბებია არ გვეყვება, შეილიშვილებით გარშემორტყმული!

ამის გამგონე მესამე ქაჯმა ცერზე ასხლექტილი შუათითი ცერისავე მსუქან ფუქზე გაიტკაცუნა, საჩვენებელი თითი კი მეორე ქაჯისკენ მიმართა. რაკი ამ შესტით ძირითადად მოწონება გამოიხატება, ორიდან ერთია: ავსულმა ან უნებურად გამოამჟღავნა წამიერი სისუსტე, ან სრულიად შეგნებულად შეამზადა მომდევნო ფრაზა:

— შენ ისიც გეცოდინება, ზღაპარი რომ კეთილად უნდა დამთავრდესო.

— რა უნდა მოხდესო? როგორო? რაიო? — წინ წამოიქანა პირველი ქაჯი. ეს ისეთი შემთხვევა იყო, როცა მიმართვის მინაარსი ერთხელ ნათქვამის გამეორებას მოითხოვს ხოლმე, ხოლო ინტონაცია —

იც ალბათ იმითვე გაალო, რაკი იქიდან აი, ეს გამოუშვა:

— მოიცა-მოიცა, მეჩვენება თუ ეგ შენი შორიშორ სიარული იმას გვიქადის, რომ ვიფიქრებთ, ვიმსჯელებთ, ფათერაკს ფათერაკზე გამოვიგონებთ და ბოლოს ამ გამოქლიავებულ ტეტიას ფეხებსაც ვერ მოვჭამთო?

— შეიძლება ეგრეც ითქვას. თუმცა უფრო მსუბუქადაც ითქმის და კიდევ უფრო მსუბუქად ისმინება, როცა იცი, რომ ნამდვილი ქაჯების ნამდვილი მიზანი, ზღაპრის გმირის კი არა, მისი წამკითხველის, ანუ ნამდვილი ადამიანის გაუბედურებააო, — აი, იმ რაღაც მნიშვნელოვანზე მინიშნება, როგორც იქნა, ერთიორად გაამკაფიოვა მესამემ.

— შენ თუ გისმინეთ, ზღაპრის გმირი ბედნიერი გვრჩება და ზღაპრის წამკითხველს როგორღა გავაუბედურებთო?! — ორ მინიშნებას მორის განსხვავება უფულე-ბელყო დაბნევას გადარჩენილმა პირველმა.

— უბრალოდ, უნდა დავაჯეროთ, რომ ქვეყანაზე სიკეთე, პატიოსნება და სიალალე იმარჯვებსო, — მოკლედ უპასუხა მესამემ. თუმცა არც ის გამოვრიცხვით, რომ ახალი გრძელი პასუხი დაიწყო.

— მერე მაგით რა გამოვაო? — დაწყებული თუ დაუნყებელი გრძელი პასუხი წაახალისა პირველმა.

— მერე თვითონვე შეეცდება, სწორედ ასე — კეთილად, პატიოსნად და ალალად იცხოვროს. მაგათ ბუნებას არ იცნობთ? კეთილობის, პატიოსნობის და ალალობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამარჯვება და კარგად ყოფნა კი ყველას უნდა. ხოლო თუ ადამიანმა მართლა მოინადინა კეთილად, ალალად, პატიოსნად ცხოვრება, აი, მაშინ კი ოოო-ო, — რეკლიკა ემოციურად დაავივირგინა მესამემ.

— ზღაპარს რომ გავლენიან რამედ მიიჩნევ — გავიგეთ და დავუშვათ, კიდევ დავიჯერეთ, მაგრამ დღეს ვინდა კითხულობს — ზღაპარი იქნება თუ სხვა რამეო? — იკითხა მეორემ.

— სულ არავინო? — მესამემ.

— ცოტაო, — პირველმა.

— თან, უფრო — ბავშვები — თუ მაინცდამაინც ზღაპრებზეა საქმეო, — მეორემ.

— ეგენიც იმიტომ, რომ მშობლები აკითხებენ ძალით, ან უარესი — ძალით უკითხავენო, — პირველმა.

— გამარჯობა თქვენიო, — მესამემ.

— გაგიმარჯოსო, — პირველმა.

— ნუ ესალმები — ისევ დაგცინებსო, — მეორემ.

— ამჯერად რატომღაო? — პირველმა.

— სიმბოლურად, გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნის მოგებით მოგვესალმო, — მეორემ.

— რაშიც რა იგულისხმაო? — პირველმა.

— ის, რომ გარემოებები, რომლებიც ახლა თქვენ ცხვირბაზუბებით წარმოადგინეთ, სინამდვილეში, სრულიად ხელსაყრელია ჩვენთვის, ქაჯური მიზნებისთვის, დიადი ბოროტი საქმისთვისო, — მესამემ.

— აჰა. ყველაფერი გასაგებიაო, — მეორემ.

— რა არის გასაგებო? — პირველმა

— არაფერი. ამჯერად მე დავცინე — იმისთვის, რომ სათქმელს განგებ აჭიანურებს, რათა გამოგვტყუოს მცდარი ვარაუდები, რომლებსაც მერე თვითონ დასცინებსო, — მეორემ.

— ჰმ, აშკარად კიდევ ბევრია სალაპარაკო, თქვენ კი დიალოგში საშისრობებას ხედავთ. ამიტომ შემოგთავაზებთ ურთიერთობის უფრო უსაფრთხო ფორმატს, რომელიც, ალბათ უფრო აკადემიურიც აღმოჩნდება, რაკი ჩემს მონოლოგს დაეფუძნებაო, — მესამემ, — მით უმეტეს, რომ რეპლიკების შემდეგ მერე რეპლიკათა მრავალფეროვნად მოხსენიება უკვე გაჭირდა, და იმასაც კი ვფიქრობ, პიესაზე ხომ არ გადავიდეთო.

— რაზეც გინდა, იმაზე და გადავიდეთო, — არ შედრკა პირველი.

მეორისგან ხელფრთის ჩაქნევა კი უსათუოდ იმას ნიშნავდა — რა მნიშვნელობა აქვს, რომელ უხარში შემანუხებთო.

მესამე ქაჯი ტოტებს უცბად, ანიმაციურად მიგლეჯ-მოგლეჯს, ამ ტოტებით წინ იმპროვიზაციულ კათედრას მოიწყობს და იქნებ ლექტორსაც კი დაემსგავსება.

მესამე ქაჯი

მოვლენათა თუ გარემოებათა სწორად შეფასება ყოველთვის მნიშვნელოვანია, ოღონდ არა — ყველასთვის ხელმისაწვდომი. მაგალითად, თუ არ მეჩვენება, აქ ვილაცას ისიც ეჩვენება, რომ ქაჯები ვაქცევთ ქვეყანას — მაშინ, როცა ჩვენი არსებობა ჯერ საყოველთაოდ აღიარებულიც კი არ არის და შემდგომ კვლევებსაც არ უჩანს მანცდამანც კარგი პირი. აი, ზღაპარი ხომ თითქოს ჩვენი მამულია და აქაც მართო ლამაზობით და ჯგუფ-ჯგუფადა ვართ თამაშები. ევგე, ლაქალბი და ბაქიბუქი არ გაჭირს, თორემ ერთი ბრიყვის იმქვეყნად გასტუმრება რომ მოვინდომოთ, ამისთვისაც ნაძირალა გიურზა უნდა გავალვიძოთ და გასამრჯელოდ მსუქან ბაყაყსაც შევპირდეთ — მერე რა, რომ დიდი შანსია, გადავადგოთ.

თუმცა, მგონი, დროა, შევჩერო ქვემსრბოლი ისრები თქვენი თვითშეფასების სკალეზე და გავიხსენო ქაჯების საჭირო, მნიშვნელოვანი, საპატიო ფუნქცია:

სადაც ხელი, ფრთა და წვევლა მიგვიწვდება, შევინარჩუნოთ და გავამყაროთ ყველა სტანდარტი, რომელიც კი ადამიანს ცხოვრებაში იმისთვის დაუდგენია, რომ ეს ცხოვრება სხვა ადამიანისთვის გაუსაძლისი იყოს!

იქნებ ზღაპრის წარმოშობასა და ევოლუციასზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს, მაგრამ უკვე მინიმუმ კარგა ხანია, რაც მისი კეთილი ფინალიც ზემოხსენებულ სტანდარტებში წერია. დიახ, თანამედროვე თავმოყვარე ზღაპრს ჰეფიენდი ისევე დაბეჯითებით მოეთხოვება, როგორც ის, რომ ბავშვებისთვის იყოს შექმნილი.

დამყნარდით — უკვე ვხსნი, თუ რატომ არის კარგი, ზღაპარს რომ ბავშვი, ან ბავშვი რომ ზღაპარს — სტანდარტულ, კეთილ, ჰეფიენდიან ზღაპარს — კითხულობს.

იმიტომ, რომ ბავშვი ნელა მასალა, სუფთა დაფა... და სხვა ასეთ ბანალურ და იაფ მეტაფორებს თავიც რომ ავარიდოთ, დამწყები ადამიანის თანდაყოლილი უმეცრებით დაჭყეტილ თვალებს მაინც ვერსად დავემალებით.

რა თქმა უნდა, ამ — დამწყებ ადამიანს წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ცხოვრება. მას, საერთოდ, არაფერზე აქვს წარმოდგენა და ამიტომ ყველაფერი აინტერესებს. შესაბამისად, ის ინფორმაციას პირდაპირ ისრუტავს, რათა სათანადო ცარიელი საცავები შეივსოს.

აი, სწორედ ამიტომ არის მისწრება მისი მშვიერი შემეცნებისკენ ანკარა დეზინფორმაციული წყაროს — ზღაპრის მიმართვა.

**კეთილი ზღაპარი** — ეს არის ტოქსიკური ძუძუ, რომელზეც ცხოვრების სახელმძღვანელოს ყალბი იარაღი მიუწვდებიან და რომლიდანაც, სინამდვილეში, შხამად მონანკარებს ცრუსწავლებები: „ცხოვრება მშვენიერია“, „კეთილი ამაოცხებს ბოროტს“, „ყოველი კარგი და იქნები კარგად“, „ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად“, „ჭირი იქა, ლხინი აქა“ და სხვა მრავალი.

ამ მავნე ნივთიერებით რაც უფრო კარგად ამოიტენება ბავშვის ცნობიერება, მით უკეთესი — რაკი მით უფრო ნაკლები ადგილი დარჩება სინამდვილისთვის, რისი იქ შელენვის საფრთხე ყოველთვის არსებობს. დროთა განმავლობაში ხსენებული ნივთიერება მთლიანად გადაგვარდება იმედგაცრუებად, რაც თავის მხრივ, თანდათან გადაიზრდება სხვადასხვა ხარისხისა და გამოსავლის მქონე დაავადებაში, ლეტალურის ჩათვლით. ალბათ იქნება შემეცნებიდან მისი გამოდევნის მცდელობებიც, მაგრამ ეს უმეტეს შემთხვევაში დაემსგავსება დაგვიანებულ ქირურგიულ ოპერაციას — თავისი ტკივილით, ფსიქიკური შოკით თუ იმ ფაქტორებით რეალობით, რომ ყველა მეტასტაზის მოხელთება უკვე შეუძლებელია.

იქნებ ჩვენი მეორე მეგობრის ფარული ოცნება ამეხდინა და ამ მხიარულ ნოტზე კიდევ მომემთავრებინა გამოსვლა, უცებ რომ არ გამხსენებოდა ჩვენი პირველი მეგობრის ნათქვამი — ზღაპრებს ბავშვები თავიანთი ნებით არ ენაფებან — მშობლები აკითხებენ ან სულაც უკითხავენო. მაგრამ რაკი ხსენებული ოცნებაც უდღეური გამოდგა, ბარემ ვისარგებლოთ შემთხვევით და აქვე განვაზოგადოთ ცნება „ზღაპარი“ — კერძოდ, გავიზოგოთ ის არა რო-

გორც ფოლკლორული ან წერილობითი პროდუქტი, არამედ როგორც ფენომენი, როგორც არსი, როგორც სისტემა.

შესაბამისად, მოგვიწევს სისტემის მეთაური სეგმენტის მოძიებაც და ამ სეგმენტად სწორედ იმ არსებების აღმოჩენა, რომლებიც მეორე ქაჯმა — ამას ნინათ, ხოლო მე — სულ ახლახან ვახსენეთ.

დიახ, მეგობრებო — **მშობლები** რომ არ არსებობდნენ, არ იქნებოდა ზღაპარი (ამ შემთხვევაში — საკუთრივ, ფოლკლორული ან წერილობითი ზღაპარი); არ იქნებოდნენ ბავშვები; და, შესაბამისად, აღარც ის ცხოვრება იქნებოდა, რომელსაც ეს ბავშვები მოგვიანებით თავიანთ ტყავზე მწარედ გამოსციდიან ხოლმე.

აჰ, მართო იმ ღვანლის გახსენება რად ღირს, რომლის გაღებაც მშობლებს არყოფნიდან ყოფნაში ბავშვების შემოტყუებისთვის უნევთ. რომ იცოდეთ, რა ჯაფა ადგებათ ამ დროს, რას არ სჩადიან და რას არ კადრულობენ ამისთვის! და არა მხოლოდ იმას, რაც ახლა წარმოიდგინეთ. თუმცა მაგის წარმოუდგენლობაც წარმოუდგენელია — რაკი, ზოგჯერ მაგის კადრებისას ლამის შეაწყვდნენ ხოლმე ერთმანეთს.

მაგრამ თუ ამით არაფერი გამოუვიდათ, თქვენ გგონიათ, ჩამოყრილი ყურებს, ხელებს და ასე შემდეგ? არა, ბატონებო! ისინი მიდიან ექიმებთან, მკითხავენთან, შემლოცავებთან, გამომლოცავებთან, დამლოცავებთან, მომლოცავებთან... იწყებენ ანათგავარი წამლით, იჩხვლიტებიან უამრავი ნემსით, ეძლევიან უთვალავ კვლევასა და პროცედურას... მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე ბავშვი არყოფნიდან ყოფიერ სამყაროში შემოიტყუონ!..

კიი, არის განსხვავებული შემთხვევებიც — როცა მომავალი მშობლების რეალური მიზანი, სინამდვილეში, საშუალებაა და როცა ისინი საშუალების არა მხოლოდ მეშვეობით, არამედ ხათრითაც იქცევიან ხოლმე მოქმედ მშობლებად.

თუმცა შედეგი ყველა შემთხვევაში ერთია: ბავშვი შემოტყუებულია სამყაროში, ყოფნაში, ცხოვრებაში... ხოლო თუ აქ მოხსნივთ „ცხოვრებას“ „ცხოვრების ჰოლა“ გადავაზუსტებ, იმასაც მიხვდებით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ანუ აქედან მხოლოდ იწყება ბავშვზე მშობლების თანგადაყოლა: ბავშვს არ შესცივდეს, ბავშვს არ მოშვიდეს, ბავშვს არ ეტკივოს, ბავშვს არ გაევიდოს, ბავშვს დაეძინოს, ბავშვი თუ ნაიქცა — მინას ვცემოთ, კარს თუ დაეჯახა — კარი დაესაჯოთ, საწოლიდან თუ გადმოვარდა — აქეთ იატაკს უფრტყაოთ და იქით ლოგინი მივჩქროვჩქროთ...

მერე და მერე მშობლებში უფრო და უფრო ძლიერდება კრეატების ცეცხლი: მოდი, ბავშვს ვაცნობოთ, რომ დილით მზე მისთვის ამოვიდა, ავუსხნათ, რომ ნაცარა ჩიტი მას უგალობს, გაუშხილოთ, რომ ეს ლამაზ-ლამაზი ყვავილი მისი თვალისა და ცხვირის საამებლად გაიშალა... და, რა თქმა უნდა, ბავშვი დავარწმუნოთ, რომ ასე გაგრძელდება ბოლომდე... იმ ბოლომდე, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც კი არსებობს...

ერთი სიტყვით, რასაც ეს ჩვენი საყვარელი მშობლები ადამიანების უბედურებისთვის შერებიან, ქაჯთა მთელი თაობები ვერ ვიზამდით, დედამინის ყველა ჭადარი ერთიანად რომ დაგვეხუნძლა და გაუგონარი წყევლა დაგვემინა მათი ტოტების ქვეშ გამოტყევილი ზღაპრული პერსონაჟებისთვის.

თუმცა ვიდრე თქვენს გულში ჩვილობის შხამიან ნესტარს შეუღლიტინებია, მოვასწრებ და გეტყვით, რომ ჩვენგან მშობლებისადმი მადლიერების მცირე განცდაც კი დიდი შეცდომა იქნებოდა. იმიტომ, რომ თვითონ მშობლები ცდებიან. მათი მიზანი, სამწუხაროდ, კეთილშობილურია, თუმცა, საბედნიეროდ, არაფერი გაეგებათ მისი მიღწევისა. ხოლო თუ თავად სწამთ — მშვენივრადაც გაგვეგებაო — მთლად უკეთესი. სწორედ ამ უაზრო რწმენის ანუ ბაჯალლო სიბრიყვის წყალობაა, ტყუილის ეს მექანიზმი უსსოვარი დროიდან დღემდე შეუფერხებლად რომ მუშაობს — იმის მიუხედავად, რომ თითოეული მშობელი ოდესღაც, არც მეტი, არც ნაკლები, თვითონვე იყო ბავშვი.

(მეწერილმანე მსმენელს დაეუზუსტებ, რომ უკვე შემოტყუებული ბავშვის მოტყუების ფუნქციებს ხშირად ინანებენ, ზოგჯერ კი დამოუკიდებლადაც ასრულებ-

ენ მშობლებზე უფრო შორი ნათესავები ან სხვა მოხალისე პირები. ამას გარდა, მშობლების მთელი მოდგმა ერთგვაროვანი როდია. ზოგი ინდივიდი გამოირჩევა ბავშვის გაზრდისა და აღზრდის ორიგინალური მეთოდებით ან, უბრალოდ, უმეთოდობით. თუმცა — მოდი, აქ მოკლედ ვიტყვი, რომ — მშობელ-გამონაცემებს სხვა წვლილი შეაქვთ ჩვენს საერთო ავსაქმეში, რომელსაც სტანდარტული მშობლების მიერ სტანდარტულად გაზრდილი ბავშვების მომავლის გამწარება ჰქვია).

ერთი სიტყვით, ეს სეგმენტი კარგად გამართული მექანიზმი, საამქრო თუ ქარხანაა. აკი მშობლები სრულიად თავისთავად არსებობენ და ჩვენ ჩაურევლადაც ღირსეულად ენევიან ასე საპატიო ჭაპანს. მაგრამ ერთი მითხარით: ის, რასაც მშობლებს დამსახურებულად ვუკარგავთ, რატომ არ უნდა დაუფასოთ სხვას... უფრო სწორად, რატომ არ უნდა დაგვფასებინა სხვისთვის — საერთოდ რომ გვახასიათებდეს, ან უბრალოდ, შეგვეძლოს მადლიერება?

მით უმეტეს, თუ ის „სხვა“ გვარიანად გაბლენძილი ტვინის (და არ არის გამორიცხული — კიდევ რამდენიმე ასეთივე სოლიდური ორგანოს) ნაჭურია, რომელიც მხოლოდ იმისთვის გადმოედინება ფურცლებსა თუ ელექტროფურცლებზე (ძირითადად), რომ უსინდისოდ და შესანიშნავად მოიტყუოს.

დიახ, ბატონებო: მშობლებისა და საკუთრივ ზღაპრების შემდეგ, ზღაპრული სისტემის მესამე იპოსტასი — მხატვრული ლიტერატურა, ხოლო უფრო მოკლედ — **ნიგნები!**

როგორც შეატყვევთ, თვისებრივად არაფერი იცვლება — მშობლების მიერ დასამუღი საწყისი წერტილიდან წამოსული წრფე წარმატებით გამოივლის ზღაპრებს, რათა ყოველგვარი გამრუდების გარეშე მოზრდილთა ბიბლიოთეკაში გაუჩინარდეს. შესაბამისად, უწყვეტია სისტემის ყურადღება აღსაზრდელი ობიექტისადმი, რომელიც სწორედ ამ წრფეზე მოუყვება. აი, ახლაც — ის მთლად არც კი მოსწყვეტია ზღაპრის ძუძუს, რომ უკვე სადილო ნიგნების თარო ეცემა თავში.

ჩვენთვის სასარგებლო ეფექტიც მხატვრული ლიტერატურისა განსაკუთრებით შთამბეჭდავია იმ ასაკში, როცა ბავშვს ეს-ესაა მოხალისე დაეწყოს, შეკითხვები გაურთულდა და, შესაბამისად, პასუხებიც უფრო დიდი ულუფებით მოშვიდა. და რა მშვენიერია, თუ ამ დროს ცხოვრების ნატურალურ პროდუქტებს ისევე არავინ სთავაზობს და შიმშილს ამჯერად უკვე ნიგნებში სწორედ დიდ ულუფებად დაფასოებული ვითომპასუხები ივლავს.

აი, ასე გადაიდება და გადაიდება რეალური ცხოვრების გაცნობა — მანამდე, ვიდრე ადამიან-მსხვერპლი ფიზიკურად არ გააბიჯებს იმედგაცრუების ნალმებით გაქმედილ ველზე, ამ ნალმების არსებობის არცოდნით აღჭურვილი და კეთილი მოლოდინების სავალალო ტვირთით დამძიმებული.

შედეგი ადვილი წარმოსადგენია. ადვილი წარმოსადგენია რეალური ცხოვრება ადამიანისა, რომელმაც ის — ცხოვრება — მშობლებით, ზღაპრებითა და ნიგნებით „ისწავლა“.

*მესამე ქაჯი ჭადარს ფოთოლს შეანყვეტს და ცხვირს მოიხოცავს. ამით ისარგებლებს პირველი ქაჯი, რომელიც აქამდე პერიოდულად ცმუკავდა, მაგრამ მონოლოგში სიტყვის ჩაკვება ხან ვერ მოეხერხებინა, ხან ბოლომდე ვერც გადაეწყვიტა.*

პირველი ქაჯი

შეკითხვა! შეიძლება? — ვიდრე მუსიკის, მხატვრობის, კინოს, არქიტექტურის, წვრილი ბიზნესისა და სამთო ქიმის სასარგებლო მავნებლობაზე გადავიდოდეთ.

მესამე ქაჯი

ვა. შეკითხვა — მაგარია, ირონია — კიდევ უფრო. გისმენ. რა გაინტერესებს?

პირველი ქაჯი

რა და — შენც იმ ჩიტო-ჩიტო-ნაცარას ამბავს ხომ არ გვიყვები, ოღონდ — უკუღმა? მშობლებიო, ზღაპრებიო, ნიგნებიო. ლამის მთელი გარემოცველი სამყარო

რო ბოროტების სასარგებლოდ მუშაობსო.

თუმცა უი — გამახსენდა, რომ ეს ფორმატი მეტ აკადემიურობას მოხვს. ამიტომ, მოდი, ნიგნებზე ვაქცენტირდები. არა, შეიძლება, ნაკითხვა ვერ მოვასწარი, მაგრამ რალაც-რალაცებისთვის ყური კი მომირავს და ყურმოკულის გამეორება ნამდვილად შემიძლია.

მაგალითად, მსმენია, რომ რამდენიმე მწერალს მშობელმა ერებმა იქით შეარქვეს თავიანთი მამები, ოღონდ არ დაუძენიათ, რომ ასე მათი ზეცრუბენტელობა დააფასეს. პირიქით — ამ მწერლებს ყველაზე აღმატებულ, კეთილშობილ, ზნემაღალ და სხვა საზიზღარ თვისება-დამსახურებათა გამო სცემენ პატივს და ზოგჯერ — თაყვანსაც კი.

„ეს რომანი ადამიანს აკეთილშობილებს“, „ამის ნაკითხვის მერე უკეთესი ხდები“, „ეს ნიგნი ჩვენი ერის სინდისია“, „ჰუმანიზმის აპოგეა“... და კიდევ რა ამაზრუნობა აღარ გამოთქმულა ნაგულისხმევ მწერალთა ამა თუ იმ პროდუქტის მიმართ!

შენ კი აქ გვიმტკიცებ, რომ ნიგნია ჩვენი მოკავშირე... ნიგნი, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს, აპუმანურებს, სინდის-ნამუსი გამოასხამს... ანუ რას გვეუბნები — რომ ჩვენი — ქაჯების მიზანიც ეს არის — ჰუმანისტი, სინდის-ნამუსიანი, კეთილშობილი ადამიანი?!

მესამე ქაჯი

დავიწყეთ იმით, რომ კინოზე და დანარჩენ სასარგებლო იდიოტობებზე ლაპარაკს აქ არ ვაპირებ — სხვა ზღაპრებისთვის გადავდეთ — აღარ დაინერება თუ რა?

ხოლო თუ მოგეჩვენათ, რომ ნიგნებს ოდნავ ზედმეტი ვუკმეი, შემიძლია, ეგ მოჩვენება ახლავე გაგიფანტოთ ფორმალური დაკონკრეტებით — რომ ეს ყველაფერი ლიტერატურის ერთ კატეგორიაზე — ზუსტად „მატყუარა ნიგნებზე“ ვთქვი, და იქვე დაეძინო — რა ჩემი ბრალია, თუ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა უმრავლესობა სწორედ ასეთია-მეთქი.

ისე, არც ის გამოჭირდება, მსუბუქ კონტრშეტევაზე გადმოვიდე — მაგალითად, სასხვათაშორისოდ აღვნიშნო, რომ ფაქტების განზოგადების შემძლე და პარალელანალოგიათა მჭკრედილი ქაჯი შეამჩნევდა, თუ საით ვითარდებოდა მხატვრული ლიტერატურის ჩემული აპოლოგია. განა მშობლების მიზნებსა და მიღწევებს შორის პირდაღებული უფსკრული მშვენიერ განსაზოგადებელ ფაქტად თუ ანლოგიის შესანიშნავ ფუქედ არ ივარგებდა?

თუმცა მე ამ ყველაფრისგან დაგინდობ და უბრალოდ გეტყვი, რომ, თუკი სხვანაირი ნიგნი საერთოდ არსებობს, მაშინ სწორედ ადამიანის გამაკეთილშობილებელი ნიგნია ნამდვილი საუნჯე, ემპაიკის საჩუქარი, ქაჯების ბრილიანტი!

დიახ, შენ წარმოიდგინე, ქაჯებს ნიგნებისგან თუ რამ გვიინდა — სწორედ ჰუმანისტი, სინდის-ნამუსიანი და კეთილშობილი ადამიანის მიღება. ოღონდ — რასაც, წესით, თვითონვე უნდა მიმხვდარიყავი — ეს შუალედური მიზანია, რომელიც მსხვერპლის კატასტროფისკენ და ჩვენი საბოლოო გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე ძევს.

მე ვლოცავ ადამიანის მიერ ფურცლიდან აკიდებულ თითოეულ ბაცილას ნდომისა — კეთილშობილი იყოს. ვლოცავ თითოეულ ფურცელს, რომლისგანაც ცუცუურაკებულნი მოზარდები თვითშეფასების კრიტერიუმებში ამ კეთილშობილებას ჩაიკვებებს ან უკვე ჩაკვებებულს საპატიოდ გამოარჩევს და შესაბამისი განხრით თავის დახვეწასაც შეუდგება.

ამის მერე დიდი მნიშვნელობა აღარცა აქვს, ნდომა შეგნებოლია თუ ქვეცნობიერი — მოზარდში ჩადებული კეთილშობილების ჩიზი გამუდმებით იზრუნებს, ნამდვილ ცხოვრებასთან მისი ყოველი შეხება ცხვირში მუშტის მოხვედრას დაემსგავსოს, და, რა თქმა უნდა, ამ დროს ცხვირად ადამიანი იგულისხმებოდეს, ხოლო მუშტად — ცხოვრება.

*აქ მესამე ქაჯი — ნათქვამის საილუსტრაციოდ — კათედრაზე ხელფრთის ბოლოს დაკრავს. აქამდე თვალბეჭდილული მუორე ქაჯი შეხტება.*



მარი სადლობელაშვილი

მიცნობა

მიცნობდეთ, მე მქვია ინანა, ბედს ვახვევ სევდიან არშიებს. თუ ვცოდავ, ხვალ ცოდვას ვინანებ და ჩემი ჭოჭმანი მაშინებს. დღეს თუკი მცვივანი ტერფებით ქოშინით ავირბენ მზის აღმართს, ხვალ ამნეზია მექნება და დავივიწყებ მისამართს მისას, ვინც გუშინ მითობდა სულის გათოშილ ლავინებს. დღეს კი ლილიტი მიხმობს და მრევს და ყველაფერს მავინყებს, როგორ ვირგებდი ფეხზე გრძნობების გამაშებს და ველარც გემოს ვიგებდი ჭისას, რომელიც დავაშრე. დღეს არა, ხვალე ვინანებ, „გუშინ“ რომ გახდა თამუსი. მიცნობდეთ, მე მქვია ინანა, ეჭვია ჩემი სამოსი.

უ-შენობა

შეხე, მორყევია იატაკი ხვალეს, ღრუბლებზე რომ მიშენებდი. ახლა იმ სიზმარეთს მილატაკებ, უხვად რომ მიმოკობდი, მიმშვენებდი.

როცა მოვახიე ყვითელგულას შენზე ორჭოფობით — სამოსელი, „არა-კიმ“ ზღაპრულად გიერთგულა და მეც სარეველა გამოვცელე.

ფრთები თეთრ ფარდაგად დაგიფინე, შენ კი დამილამე ნაფეხურით. სიტყვა ჩიტებივით დაიფრინე, გულზე დოლაბივით დამეხურე.

დღეს კი წვიმა არის ჩემი ჭერი, ხსოვნა მცვივა დამჭკნარ ფოთოლივით და მეც უშენობას შევიფერებ, ღრუბლის ხუხულამი მოყოლილი...

\*\*\*

ნასულ დღეებს ვუცქერ ისე, ვით გახვრეტილ უზალთუნებს. მომგესლა, მივექლისე, მისილაქა. ვუთათუნე ნამით — წუთებს, წუთით — წამებს, პირით — ზურგს და ზურგით — კედელს. თვალი იქით დავიბრმავე, საითკენაც გავიხედე...

\*\*\*

მომიარს უშენობა, როგორც ავი ზნე და მეც, ტმესივით, შუაზე განყვეტილი, ტკივილებს ბელტებად სხეულში ავიზელ, შენ კი ვაგრძელდები, როგორც სამწერტილი.

ბნედა რომ გამივლის, სხეულს დავასვენებ, ორლობის დედაკაცის დაღლილი ენასავით. უქვემდებარეო, პირნაკლ შემასმენელს იქნება წერტილის დასმა შემასნავლო...

\*\*\*

ზეცას აუდის წითელი სუნი, ჭინახულივით დამღრღნეს მწერებმა. ლექსი სადღაა, ზადი და წუნი აღარ მანაღვლებს, რა მენერება. იქ წავიქეცი, სადაც კი შევლა, ვით დილის ცაზე — მთვარე — ვეძიე. მეც იობივით დავკარგე ყველა, მაკმარე, ღმერთო, და შემენიე...

აჭვის ტრიოლატი

მომბეზრდა ასე უღიმღამო დღეების ყეფა, მღრღრნიან ეჭვები — გაბნეული ბაბაჭუები, რომ არ ამცდება სალაფავის მათლაფით თქველეთა, — მომბეზრდა ასე უღიმღამო დღეების ყეფა,

რომ დაოთხილი ვერ ავიცდენ მუხლების ყველფას, თითქოს სხეულში ამიფეთქდეს ეჭვის ჭურვები.

მომბეზრდა ასე უღიმღამო დღეების ყეფა, მომედვენ ტანზე აბლანდული ბაბაჭუები...

\*\*\*

მდინარე გერქვა და მისდევდი გზა-სავალს, როდესაც დიოდი შენთვის და გულმშვიდად. ზღვას რაღას ერთვოდი, რუკიდან თუ გშლიდა, ან ვინლა მიაგნებს შენს კვალს და ასავალს?!

ათასი მზის სხივი ერთ მზეზე გაცვალე, ვითომ და არ იმჩნევ შიშსა და ფორიაქს და ნატიფ სილუეტს, ზღვას სადღაც რომ მიაქვს, ენვის ხერხემალი, კალაპოტნაცვალე...

ქალაქობანა

ყველა ტკივილი ქარს გავატანე. თითქოს დავივიწყე ჰამადანი. მაინც ვერაფრით ვერ დავადარე გულის ერთი მხარე მეორეს.

დავგმე თავრიზი და ისპაჰანი. ნარსულს შავი სილა მივაყარე. ვისაც გულის კლიტე მივაბარე, აქეთ მარბიეს და მეომეს.

რომი თუ დაეცა, გრძელდებიან გზები თუ გველების ენებია, ასე რომ მგესლავენ, მედეიან, ტანზე — ჩემი მიწის ნაფლეთზე.


თარიღებს მიყოლებით ვალაგებ: აღარცა ხარაჯა და არაბი, აღარცა მონღოლი და ყალანი თვალებს მაინც შიშით ვაფეთებ.

იქით ლორეა და საინგილო, მოჭრილ კიდურთან რომ ვაიგივებ. ასე როგორ გინდა გაიღიმო, ქარებს აყოლილო ტკივილო.

აღარც ართვინი და არტანუჯი. ესეც ბეღია, რომ გადავურჩი ამდენს... ამიტომაც არ დავუჭრი ფრთებს ჩემს წითელთმიან მიმინოს.

წერილი მამას

მამი, წელს ისეთი ზამთარი მოვიდა, დარდივით, — ცრემლის გარეშე. შორს ხარ... იანვრის თოვლსაც ვერ მომიტან და უთოვლობა მავეშებს. და ასე დამყვება სუსხი ცხრაუღელი, გზადაგზა ხელმრუდედ მრთავენ. მამი, უარსადო გზებს უნდა ვუყელო, შენს მზეს შევაფარო თავი...







ბადრი სულაძე

\*\*\*

ჭადრის ხეები გადაბელებს მოურიდებლად  
და მე კი ისევ ჩემს ადგილს შევრჩი,  
ბებიჩემის თავქოჩორა შავი კრუხივით,  
ძველ საბძელში რომ გამოიწვია, —  
ძველ ადგილს შევრჩი,  
თუმცა კი ის მზე სულ არ ჰგავდა მაშინ მაცხოვარს,  
როცა გააკრეს ცხელ მინებზე მშრალი ნებოთი, —  
მზე — უსახო და უემოციო,  
მხოლოდ უდაბნოს  
ფხვიერ ქვიშას რომ მომაგონებს,  
მძიმედ დატკეპნილს, ბედუინთა  
აქლემების მრუდე ჩრდილებით...  
არადა, მწვანედ მოხასხასე ფოთლების მწკრივში,  
ქალაქის ხვატით გადალღილს და იმედდარულს,  
სულ ბოლო წამში მიპოვია ის ოაზისი,  
რაც მაცოცხლებდა, ფოთლების შრიალს აყოლილი,  
გულის ფრიალით  
როგორც ფირალი, თავს ვაფარებდი  
მწვანე ოაზისს,  
ერთი მონასმით რომ ნაშალეს  
და ცალი თვალი წამოთხარეს თითქოს შუქნიშანს,  
ის ცალი თვალი, — ხანდახან მაინც რომ შემეძლო  
მწვანეზე გავლა, ბედის მანქანით...  
ახლა კი მხოლოდ წითელს მინთებს  
ცალთვალა დილა, —  
ვეებერთელა ციკლოპის თავს რომ დაამსგავსეს  
და მეც გამყინეს უსიცოცხლო შუშის თვალივით,  
მაშინ როდესაც ცხელ მინებზე მზე გააკრეს  
მშრალი ნებოთი,  
მზე — უსახო და უემოციო,  
მხოლოდ უდაბნოს ფხვიერ ქვიშას რომ მომაგონებს...  
მაგრამ ზიუტად არ ვტოვებდი  
ბებიჩემის თავქოჩორა შავი კრუხივით,  
ძველ საბძელში რომ გამოიწვია, —  
და არ ვეძლევი დამღლელ სიყვითლეს,  
რასაც მხოლოდ სიმშრალე და სიყალბე მოაქვს,  
რუხი ფიტულის მოცივალე შუშის თვალივით...  
ვისხენებ მხოლოდ ჭადრების ქვეშ გამლილ ხალიჩას,  
ყვითელ ხალიჩას, სადაც ყოველთვის თავდახრილი  
დავაბიჯებდი, ყოველგვარი ტაშის გარეშე  
და მადლობასაც  
მხოლოდ იმ ერთს ვწირავდი მხოლოდ, —  
შემოდგომის ქარს,  
ფოთლები რომ დამიგო ფხეკევეშ, სულის სალბუნად,  
ჩემი ფიქრების ნეშომპალად რომ გადაიქცნენ  
და მეც გამზარდეს, როგორც ტყეში ველური კენკრა,  
მაშინ როდესაც ჩემთან ახლოს, ჩემი სახლის წინ,  
ჭადრის ხეები გადაბელებს მოურიდებლად  
და ცხელ მინებზე მზე გააკრეს მშრალი ნებოთი...  
მე მაინც მიწას ვამჯობინებ ნეშომპალიანს,  
რომ ეს სამყარო  
ბედუინთა კარვებივით არ წამომემხოს...  
და ვრჩები მყარად საკუთარი თავის წიაღში,  
იქ, სადაც მზეც კი თვით მაცხოვრის სინმინდით სუფევს,  
იქ, სადაც თუნდაც ბევრისმნახველ ფოთოლსაც ვგავარ,  
შემოდგომის ქარს მოთმინებით რომ ელოდება,  
ყვითელ ხალიჩის ერთ პატარა ხაოდ რომ იქცეს, —  
მანამდე, სანამ მწვანე თვალი არ გაიელვებს  
ვეებერთელა ციკლოპების  
ცივ სამყაროში....

\*\*\*

გამხმარა კომში  
და მდუმარე ჭურის თავებზე  
კომშების ნაცვლად ელვარებენ  
ნამები ყვითლად,  
ცის თვალებიდან დაღვრილ ცრემლსაც  
რომ გაგონებენ და გაქვავებენ, —  
ლოკოკინას მიწადქვეულ  
ნიჟარასავით...

\*\*\*

თონის პურივით ჩაღეჭა მყისვე  
დილა — მზე, მთიდან ამოწვერილი, —  
და მეც ეს ფიქრი ამეჭრა ისე,  
თითქოს ამომყავს  
წველა ყველივით...  
.....  
როცა ტკივილის იქცა ალაგად  
და ქარსაც ველარ აკავებს სახლი, —  
ეს ფიქრი უფრო იმას წაგავს,  
გარეთ რომ წვიმს და...  
წკავწკავებს ძაღლი...

\*\*\*

კარგად არც მახსოვს,  
(რომელიღაც მუსიკის ფონზე)  
გარეთ წვიმდა თუ — ნისლი იწვა მოსაქაფავად,  
ბედნიერება გვირიგებდა პატარა კოვზებს,  
დედა თათარას მსხლის ჩირისგან  
როცა ხარშავდა...  
აგემოვნებდა ტკბილ თათარას მეზობლის ბავშვი,  
არ ეთმობოდა თუჯის ქვაბზე ზედ მირჩენილიც, —  
და ის კოვზებიც, ნისლისა თუ ოხმივრის რკალში,  
თეფშების ზღვაში ტრიალებდნენ  
სველ ნიჩბებივით...

\*\*\*

ის რკინისაგან იყო ნაჭედი, —  
და დედამიწას არ უმძიმდა  
მისი ტარება...  
მერე კი ისე გაილია  
მისი სიყუელი,  
რომ დედამიწას  
ხიდან მოწყვეტილ ფოთოლივით  
მნატე ეჩვენა...

\*\*\*

ათასი ბრალის, ათასი ვალის  
და კიდევ მსგავსი ათასი რამის  
მიუხედავად, —  
როგორ შევძელი, გამერღვია  
აზროვნების უხეში გარსი  
და დამენახა მომცრო ადგილი, —  
გვირილების  
მზეებით  
სავსე...

\*\*\*

კაკლის მურაბა,  
ფაიფურის კრიალა ფერში,  
ისე აღიქვეს, როგორც ქვირითი, —  
და ქვით გაფატრულ თევზის მუცელს  
შეადარეს მათ სამურაბე...  
მერე კი როცა, —  
ქოთნის თიხისფერ აივანზე გადმოდგა ბაღბა,  
მათ გაახსენდათ სოფლის ორღობე,  
კალოშების ქვეშ აზელილი აყალო მინით  
და ქვის კბილებით ჩაღეჭილი ვაშლის სინითლით...  
გაახსენდათ და ბალახისფრად შეღებეს სახლი...

\*\*\*

ყველა სასახლე, საპალნე და მეფის კარეტა  
თითქოს ერთ წრეში მოაქცია დროის ფარგალმა,  
მყარად ჩაკეტილს ნიავე რომ გეფელირტავება, —  
და მერე მკედრებიც გპატიობენ ხსოვნის ართქმასაც...  
გულუბრყვილობაც პარმალთან რომ დაამუხრუჭებს,  
დღე გამოისხამს თანაგრძნობის ფშუტე ნაყოფებს, —

და კრავს შესწირავ წარმოსახვის მრავალ კუნძულებს,  
თუ ჩამავალ მზის დანატოვარ შუქზე გამყოფეს...  
გარეთ კი რჩება გაჭიმული ბადის აზარტი,  
უძირო ხახით პეპლებს რომ ნთქავს მოფარფატეებს, —  
და ცის ეკრანზე გადასასვლელ კედლის ნახაზში,  
გზა რომ იპოვო, იშველიებ ორმაგ ანტენებს...  
მაგრამ განვალეხს ცრემლიანი ვნების გორგალი,  
სარეველებში ველარ ამჩნევ ორ-სამ თავმავას, —  
მთვარეს კი ერთ დროს

ნუთობით და წლობით მბორგავი,  
გამომიგნული ღამე უდევს მოსახარშავად...  
ყველა სასახლის, ყველა მეფის მრავალ ბეგარას,  
გატყობ, დათმობ და სახვალთო წრფეთი შეიცვლი, —  
ტანზე ამოზრდილ სურვილებს რომ მალავ ველარსად,  
ცამდე აწვდენილ ჟირაფების გრძელი ყელივით...

\*\*\*

ის მარტო იყო, —  
მიტოვებული ჯარასავით,  
მაგრამ გულიდან ამოხვეული  
ჭრელი ძაფებით სიკეთეს ქსოვდა...  
ის მარტო იყო, —  
მიტოვებული ხის გობივით,  
მაგრამ სიცოცხლედ მოზელილი  
დარდის გუნდებით პურსაც აცხოვდა...  
ის მარტო იყო, —  
მიტოვებული საყდარივით,  
მაგრამ სიტყვები საგალობლად  
ამოსდიოდა ოქროს ყელიდან...  
ის მარტო იყო, —  
და მარტო დარჩა მისი ეზოც,  
რომლის სიღრმეში მიგდებული  
თონის ნატეხი, — ძირს დაგდებული  
მისი გული უფრო მგონია,  
მინის ზემოთ რომ დარჩენილა  
დაუმარხავი, —  
და ზედ მიმხმარი ცომის ნარჩენით  
ჭიანჭველებსაც ეხმარება დაპურებაში...

\*\*\*

კერიის კვამლი თუ ხორხიდან აღარ ამომდის,  
ამ ცივ სამოსში, ცეცხლის ნით როგორ ვიხუმრო?!  
ის კი არა და, — იმას ვდარდობ, ხვალ სალამომდის,  
მეც სახლთან ერთად არ ჩავიქცე, არ დავიხულო...  
სუნით დავეძებ სასიცოცხლოდ ნაცად ნიშანწყალს,  
თავი არა მაქვს არც რა დიდი დავიდარაბის...  
თან უცაბედად სიცივისგან დამზრალ ქიშკარსაც  
ჩავუარე და, — სიხარულის ძაფიც გავაბი...  
ჩამქრალ ეზოში, როცა კაცი არ ჩანს არავინ, —  
და ცივ მარანშიც სიჩუმეა... ვის ვეხუმრები?!  
.....

აქვე, ყინვისგან ჩასატკობ და ჩასაშაქრავი,  
ბებერ ხურმის ხეს შერჩენია  
მნიფე ხურმები...

\*\*\*

ჩვენ ოთხი სული ვცხოვრობდით ერთად:  
დედა და მამა... მე და ჩემი ძმა, —  
და სულ ზეპირად ვაბარებდით დედას  
ყოველდღე  
იმ უმარტივეს არითმეტიკას, —  
პურნახევარს რომ მანეთის რძე ემატებოდა,  
ხანაც კარაქი (ისიც მანეთის) და ოთხი ბოთლი  
მსხლის ლიმონათი...  
ფულსაც ვზოგავდით და ბაზარშიც არ დავყავდით  
დედას ყოველთვის, თუმცა ხანდახან,  
დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გავყოფოლებდა  
ინყებოდა:  
— დე, მე ის მინდა!..  
— დე, მე სხვა მინდა!..  
— მამას ეს ფული ამოაქვსო სიმწრით შახტიდან, —  
გვეტყოდა დედა და სიტყვებიც მშრალ ტურქებზე  
შეგვასმებოდა...  
თან გვიხაროდა, —  
პურნახევარს რომ მანეთის რძე ემატებოდა,  
ხანაც კარაქი (ისიც მანეთის) და ოთხი ბოთლი  
მსხლის ლიმონათი...  
მამა შახტიდან გვიანობამდე არ ვიძინებდით...  
მე და ჩემი ძმა მის მოსვლამდე არ ვიძინებდით...  
— მამის იმედით ვარსებობთო, — გვეტყოდა დედა,  
მისით ვსულდგმულობთ,

სულ თვალელები უნდა ვუყუროთ  
და ვუსმინოთ, როგორ სუნთქავსო...  
წვებოდა მამა, უშუქობით თვალედათხრილი,  
მინისქვეშეთმა მზის შუქსაც რომ გადააჩვია...  
და რაკი თვალეებს ვერ ვაგნებდით დანახშირებულ,  
დაღლილ სახეზე,  
მე და ჩემი ძმა ვიჯექით და  
ყურს ვუგდებდით,  
როგორ სუნთქავდა მძინარე მამა  
და გვიხაროდა, —  
პურნახევარს რომ მანეთის რძე ემატებოდა,  
ხანაც კარაქი (ისიც მანეთის) და ოთხი ბოთლი  
მსხლის ლიმონათი...

გაგრძელება

უიჰ! მგონი, ჩვენი მეგობარი გაავლევით. არადა, სიტუაციას მოუხდა. ხელფრთის მტევანს კათედრას ისევ დაჰკრავს, ოღონდ — უფრო მსუბუქად.

მეორე ქაჯი

მამ, მე რა მოსატანი ვარ იმ ექვსის ჭიასთან, ჩემში რომ გაიღვიძა, რალაცებს მედუღუნება, ლექციის ბეჯითად მოსმენაში ხელს მიშლის და მგონი, არც მომეშვება, ვიდრე მის აზრებს არ გადმოგიტარებ. პირველი ექვი ჩემმა ჭიამ მხატვრული ლიტერატურისთვის მატყუარას საპატიო სტატუსის ხელაღებით მინიჭებისთანავე გამოთქვა.

„განა შეგვიძლია, უარყოთ, რომ წიგნი მკითხველს უყვება ათასგვარ უსამართლობაზე, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ხდება? — იკითხა მან და განაგრძო, — განა მხატვრული ლიტერატურა არ შეაქნობინებს ადამიანს ადამიანისევე რთულ, წინააღმდეგობრივ, ურთიერთდაპირისპირებულ ბუნებას? განა რამდენი სიცოცხლე უნდა იცოცხლოს კაცმა იმ ყველაფრის სანახავად და გამოსაცდელად, რისი ნახვა და გამოცდაც თუნდაც ერთ მსხვილტანთან წიგნში შეუძლია? და განა იშვიათია წიგნი, რომელშიც ადამიანის მთელი ცხოვრება, რამდენიმე ადამიანის ცხოვრება, თაობების ცხოვრება, ან თუნდაც მთელი ეპოქა თავმოყრილი?“

ამას გარდა, ჩემი ჭია სულაც არ ფიქრობს, რომ ამ ყველაფრის მინოდებით წიგნი ადამიანს აკეთილშობილებს; რომ, საერთოდ, მკითხველის „გასაუმჯობესებლად“ ინერება წიგნი. მისი აზრით, მხატვრული ლიტერატურა მკითხველს, უბრალოდ, სხვადასხვა სახის გამოცდილებას ჩუქნის და ამით, შეიძლება ზრდის — ვთქვათ, ისე, როგორც ტკივილი — თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აკეთილშობილებს.

ხოლო თუ ჩვენი ზოგადი ფრაზები ვინმეს არასაკმარისად მოეჩვენება, ამ შემთხვევის გადასაზღვევად ჭია კონკრეტულ სახელსაც მკარნახობს. და არც კი მინდა, წარმოვიდგინო, რას დამართებდა ამ სახელის მფლობელის წარმოსახვა მას, ვინც გაბედავდა და მის პატრონს გაუზიარებდა თეორიას, რომელიც ლიტერატურას გამაკეთილშობილებელ მისიას აჩეჩებს.

მაშ, აბა, მითხარით, რა გავლენის მოხდენა შეუძლია მკითხველზე მარკიზ დე სადის წიგნებს, გარდა იმისა, რომ ისინი გარყვანას — ლამის პირდაპირი მნიშვნელობით? რა კეთილშობილება! რისი ჰუმანიზმი! რომელი მაღალი იდეალები!

ამ დროს, მარკიზის წიგნები ლიტერატურაა, ხოლო სადი — მნიშვნელოვანი ფიგურა ფრანგულ მწერლობაში.

მესამე ქაჯი

რაიო? ვინაო? სადაო? სადო? (მეორე ქაჯს ხუმრობით თითს დაუქნევს) რეებს კითხულობ, შე ეშმაკო!..

ჰო, რა თქმა უნდა, შემოძლია, პატივცემულ მარკიზსაც მყისიერად მივუჩინო ადგილი გამონაკლისთა მცირერიცხოვან რიგებში და წესის დამტკიცების საშუალებად გამოვაცხადო — თუ მანამდე ბუნდოვნად არ გამახსენდა, რომ გარკვეულ „მანიკერებებს“ თავისი „სადისტური იარაღით“ ეგ შენი „კრისტალურად გამყვანელი“ ავტორიც „ეგრძობს“ (იმედია, პუნქტუაციური ბრჭყალები თავ-თავის ადგილზე იგრძენი).

მაგრამ მე უფრო იმ ინტელექტუალური აღშფოთების განეიტრალება მეჩქარება, შენში რომ გამოუნვევია ფრაზას თუ „თეორიას“, რომელიც, სხვათა შორის, ჩემი არც მოგონილია და არც დიალოგში შემოტანილი. თუმცა, მოდი, აქვე დავძინოთ, რომ ჩვენს პირველ მეგობარსაც არაფერი დაუშავებია, როცა ამ ზღაპარშიც გაიმეორა საქვეყნოდ ცნობილი მოსაზრება — წიგნი ადამიანს აკეთილშობილებსო.

ამიტომ, თუ წინააღმდეგე არ იქნები, ეს — როგორც შენ უნოდ — ლექცია სასწრაფოდ და ნელ-ნელა უკან გადავახვიოთ და სიტყვა — „აკეთილშობილებს“ (მისი ესა თუ ის ფორმა) ყველგან ჩავანაცვლოთ სიტყვით — „ზრდის“ (მისი შესაბამისი ფორმებით). ასე აღშფოთება ჩაცხრება, თუმცა არსობრივად არაფერი შეიცვლება.

ღირსეულ წიგნებში ცხოვრებისეული უსამართლობების ასახვას კი, არათუ არ უარყოფ, პირიქით, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, რაც მოზრდილთა და ზრდასრულთა მხატვრულ ლიტერატურას ზღაპრებისგან და მშობლებისგან განასხვავებს.

თუკი შეიღებოსთვის ყალბი ოქროს მთების დახვევებით გართულ მშობლებს ჭკუასულ არ მოეკითხებათ, ხოლო მათივე შეთხზულ წერილობით ან ზეპირ ზღაპრებს, შესაბამისად, ჭკვიანური არაფერი მოეთხოვება, დიდებისთვის განკუთვნილ ლიტერატურას უკვე აღარ ეკადრება, შავს თეთრი უძახოს და თეთრს — რომელიმე სხვა ფერი, გარდა თეთრისა. ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურის ამ სეგმენტს, უსუსურ ჩვილთან ან თვალბედაჭყეტილ და ყურებდაცქვეტილ ღლაპთან კი არა, სრულფასოვან, შემდგარ მსხვერპლთან აქვს საქმე. და ამ საქმეს წიგნი სწორედ მაშინ ჩააფლავებდა, მკითხველისთვის მტკიცება რომ დაეწყოს — ეს სამყარო შენი ბედნიერებისთვის შექმნილია, ან — კარგად თუ მოიქცევი, ხელმწიფე ხომ გახდები და, დამატებით, ცასა და ქვეყანასაც ეყვარები გარდარეული სიყვარულითო.



ზაზა  
ბიბილაშვილი  
ზღაპარი  
ანტიზღაპარი

ასე რომ, პრობლემა, ტკივილი, ბრძოლა, უსამართლობა, ბოროტება და მისთანანი სერიოზული მხატვრული ლიტერატურისთვის, დასაშვები კი არა, აუცილებელი კომპონენტებია. და თუკი როდისმე აუტოდაფეს გავაჩაღებდი — მხოლოდ იმ წიგნების მონაწილეობით, რომელთა მთავარ გმირებს ფრჩხილიც არასოდეს სტკენიათ.

არდასანვავ წიგნებში კი, დაე, იბრძოლოს გმირმა, დაე, სტკიოდეს გმირს, ბოლოს და ბოლოს, დაე, დაიღუპოს გმირი! — ყველაზე დამანგრეველი განწმენდა ხომ სწორედ ტრაგედიას ხელენიფება.

აკი კულმინაცია მკითხველის თანაგრძნობისა, რომელსაც ავი ბედისწერისკენ მიმავალი გმირი გზადაგზა იხვეჭს (ავტორის თანაგრძნობა ისედაც თანდაპყოლია), სწორედ ტრაგიკულ ფინალს ემთხვევა. და — თუნდაც ვინმე ზერეულ მოყურადეს უცნაურად მოეჩვენოს — სწორედ ეს ტრაგიკული ფინალია ერთი მხრივ — გმირის გამარჯვება და მეორე მხრივ — დამარცხება მკითხველისა.

ჰო, ნუ დავარქმევთ ამას კეთილშობილებას, მაგრამ თანაგრძნობა თუ ჰქვია, განა ნაკლები ფასი აქვს? განა ის უმნიშვნელო ბზარია მკითხველის გულზე? განა ამ ბზარიდან არ აღწევს ადამიანში ყოველად უსარგებლო ფიქრი სხვა ადამიანის ბედზე და ამ ბზარიდან არ გაედინება დრო და ენერგია, რომელიც გულის პატრონს მხოლოდ თავისთვის უნდა დაეხარჯა? განა ამ ბზარში არ შედარდება ხოლმე შენსაზე გაცილებით უფრო მსხვილი და შხამიანი ჭია ექვისა, რათა შიგნიდან ედუღუნოს ადამიანს: „იქნებ შენ არა ხარ სამყაროს ცენტრი და მისი არსებობის გამართლება? იქნებ სხვა ადამიანიც მნიშვნელოვანიაო?“

ნუ ერქმევა კეთილშობილება. ამ დამლუპველ თანაგრძნობას ხომ სწავლობს მკითხველი იმ შენი მზრდელი წიგნისაგან?

ბარემ აქვე — ბარაქალა, თაყვანი და რესპექტი ავტორებს, როლებმაც პირველ პირში თხრობა ჯერ მოიგონეს და მერე, პრაქტიკულად, საყოველთაო გახადეს. მართალია, ამით თავიანთი საქმე გაამარტივეს — რაკი ბრძენი მწერლის ტვირთი მთხრობელ-პერსონაჟის საშუალო აიქიუზე გადაცვალეს — მაგრამ რა გვენაღვლება, თუკი ჩვენც გვახეირებს? — აკი პირველ პირში თხრობის მეთოდი ერთი-ორად აიოლებს მკითხველის გადაბირებას და ამძაფრებს მის თანაგრძნობას — მაშინაც კი, როცა გმირი კრისტალურად სუფთა არ არის.

დაიხ, არც ეს მოგყურებიათ. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

მეორე მხრივ, რამდენს დავკარგავდით, ამ პარაზიტის ლავრას მხოლოდ დიდი ზნეობითა და ღირსებებით შექმული პარტნიორი რომ აღვიძებდეს — ვინ იცის, თანაგრძნობა მხოლოდ კითხვის თანმხლებ სენადაც დარჩენილიყო — რაკი რეალურ ცხოვრებაში სათანადო გამაღიზიანებლის პოვნა შეუძლებლამდე გაჭირდებოდა. თანაგრძნობის ფანტიკოსმა კი შეიძლება ერთ

საღმარტოვანად დაგვარდებოდეს.

ტრიუმფირატის ნახნავ-ნათესი მწარე მოსავალს მსხვერპლის მოზარდობაშივე იძლევა. თუმცა ხშირად ხდება, რომ ადამიანი ვივიგლახით მინც გააღწევს ხოლმე ამ ასაკს. ზრდასრულობას კი, გვინდა-არგვინდა, გარკვეული რისკები მოჰყვება.

ამ დროისთვის ადამიანს მეტ-ნაკლებად უკვე გაუშიფრავს ზღაპრული სამების ხიბლი და რეალურ ცხოვრებასთან ცხვირით შესკდომებასაც ბევრჯერ გამოხმაურება სტრესებით, შოკებით, ჯანმრთელობის სხვადასხვა სისტემის რღვევით. ამის მერე მსხვერპლთა უმეტესობის სასიკეთოდ თითქმის აღარაფერი შეიცვლება; თუმცა არიან ინდივიდები, რომლებიც დანებებას არ აპირებენ და ჯიუტად ეძებენ გამოსავალს. გამოსავლად კი ვის გარემოსთან როგორმე ადაპტირება ესახება, ვის — საკუთარი სამყაროს შემოთხრილგალავენება და ვის — რატომ ეშმაკი არ გაიცინებს — ბოლომდე ბრძოლა.

ეს ყველაფერი ალბათ გვაძლევს თეორიულ საბაზს, საფრთხე შევიგრძნოთ და თითოეული ასეთი შემთხვევა აღვნიშნოთ მშფოთვარე კითხვით: ნუთუ აქ განწყდა ჩვენი საყვარელი სიავის ძაფი, აქ განიკვეთა შობის ნამიდან გამონელები წრე, აქ განწყდა ძლიერად ჩაღვამოსილი ჯადოსანამღავი?

ბატონებო, ტყუილად ღელავთ — საიმედო რეზერვს არ სძინავს — ის მხოლოდ თვლემს თაროებზე შემონყობილი, მინოლილი თუ მიყრილ-მოყრილი. და მას ერთხელაც — რეალური რეალობისგან სულის მოსათქმელად თუ სრულიად შემთხვევით — აუცილებლად წაეტანება ლამის გამოფხიზლებული ადამიანის ხელი.

ანუ კითხვა გრძელდება! და ეს კითხვა, წიგნისას თუ — ვეღარ, ოდინდელი ილუზიის ჭიას კი აუცილებლად გააღვიძებს და აადუღუნებს:

„აი, თუ არა... აი, თუ არავის ახსოვს სიკეთე... სიმართლე... სიყვარული... თანაგრძნობა... პატივია... თავგანწირვა... თავმდაბლობა...“

და ასე შემდეგ — ვიდრე ადამიან-მკითხველის თავში, გულში, ირგვლივ, ჰაერში, ცაში, სადღაც არ აღივლივდება იმის ილუზია, რომ ზემოჩამოთვლილ ადგილებში, ამ ილუზიის ნაცვლად, ლივლივებს თვალთ უხილავი, მაგრამ სულისთვის ადვილად შესაგრძნობი ეთერი, ტალღები, ნისლი...

ჰო, არ ვიცი, მისი შემადგენლობა, არ ვიცი, როგორია ამ შემადგენლობის ხასიათი — მატერიალური თუ პირიქით. და მით უმეტეს, არ ვიცი მისი სახელი...

უფრო სწორად, მისი ერთი და მტკიცედ დადასტურებული სახელი არ ვიცი, თორემ ისე ხან ღმერთი ჰქვია, ხან — სინდისი, ხან — სიკეთე, ხან — სიმართლე, ხან კიდევ — სხვა რამეც — გააჩნია მისთვის სახელის დარქმევის მოსურნე ადამიანის ფანტაზიას...

შესაბამისად, სახელს დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. მით უფრო, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში დაიწრდილებოდა ფუნქციით, რომელსაც ეს ეთეროვანი, ტალღოვანი, ნისლოვანი თუ სულაც პრაქტიკულად არარსებული სხეული ასრულებს.

თუმცა არა — სხეულად მის მოხსენიებას „პრაქტიკულად არარსებულის“ ნამძღვარებაც ვერ გაამართლებს. ეს უფრო განცდაა — კიდევ ერთი მატყუარა განცდა იმისა, რომ სიკეთის, სიმართლის, პატიოსნებისა და ყოველი მათი მსგავსის ერთობლიობა თავისთავადი უზენაესი ღირებულებაა, და პრაქტიკულ ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზეც რომ მარცხდებოდეს, ეცემოდეს, ითელბოდეს, ნადგურდებოდეს, სადღაც, ზემოთ, ირგვლივ, ჰაერში, ცაში მანაც გამარჯვებულია...

ნუ, თუ მთლად ვერ იმარჯვებს, ყოველ შემთხვევაში, მის მხარეს არის ვიღაც ან რალაც ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანი...

ხოლო თუ ესეც, იმავე პრაქტიკული თვალსაზრისით, ბევრს ვერაფერს წყვეტს, ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მანაც უეჭველია, რომ ეს ვიღაც ან რალაც, ყველაზე და ყველაფერზე დიადი თვალის, ყური თუ გული მას ამ ცხოვრების უსამართლო ორომტრიალშიც კი ამჩნევს და იმასხოვრებს!..

რას გაატრუნეთ? თქვენც რამე ხომ არ მოგეჩვენათ?

# მარტის კატეხი

— მოგეწონა, დედა? იქ რალაც ვერ გავიგე, რას ფიქრობდი. ისე იყურებოდი, ბუსავით.

სონა ცალი ხელით დედის მკლავს ჩაფრენოდა, მეორეთი — თაფლისფერი მომცრო ჩანთის საშუალო სიგრძის სახელურს. რა უცნაურად ან სახასიათოდ აცვიოაო, ვერ იტყვოდი, მაგრამ გულმოდგინე ადამიანი უნდა ჩანდესო, ამას აუცილებლად გაიფიქრებდი.

დაბალ ხმაზე ლაპარაკობდნენ. უფრო კი არ ლაპარაკობდნენ, შიგადაშიგ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. ძველი უბნის ქვაფენილიან აღმართს მიუყვებოდნენ. დედა ამბობდა: ისეთი მარტია, მაისი გეგონება. სონა უღიმოდა: არა, ოქტომბერი.

\*

— მეზობლები ხომ არ გყავთ ხმაურიანი? წესიერი ხალხია? ჩვენ სიმყუდროვეს ვართ მიჩვეულები, ხომ გესმით. ზოგჯერ დედა ტელევიზორს რომ აუწევს ხოლმე, ისეთი გამოვუვარდები, მოსისხლე მტრები ვეგონებთ ვინმეს. ისეთს დავკვივლებ ხოლმე.

ბინის მეპატრონე დაჟინებით აკვირდება ექსცენტრულ სტუმარს. უფრო თანაგრძობით, ვიდრე ამრეხით. არა, აქ ამის პრობლემა არ გექნებათ, არაჩვეულებრივი სამეზობლოა, ჩხუბი და დავიდარება მე აქ არ მახსოვს. ქუჩაც, ხომ ნახეთ, როგორი მყუდროა.

დედამ ბინის მეპატრონის გაფაციცებულ მზერას თვალი აარიდა და საკუთარი მზერა გერმანული პიანინოს თავზე მიყუდებულ მატისის რეპროდუქციაზე გადაიტანა.

ოდნავ მოგვიანებით, ქვაფენილიანი დაღმართი რომ თითქმის ჩათავდა, სონამ კიდევ ერთხელ დააზუსტა: დედა, იმ აივანზე ფეხს მართლა ვერ მოინაცვლებს, ხო, კაცი? დედას უნდოდა, გაპასუხებოდა, სარეცხის გასაფენად არ იქნება ცუდიო, მაგრამ იკითხა: რძიანი ყავა ხომ არ დაგველია კაფეში?

\*

წითელ სავარძლებში ერთმანეთის პირისპირ ჩასხდნენ. სონას ყოველთვის მოსიყვარულეების სურვილს უჩენდა ყოფა, როცა ამ კაფეში იჯდა, ძვირიან ყავას სვამდა. ვინ იცის, მერამდენედ, უმცირეს დეტალებში აღწერდა, როგორი იქნებოდა მისი ახალი სახლი. როგორი სკამები ექნებოდა. სად მიუჩინდა ადგილს ყვავილებს, ქოლგას. შუშაბანდიანი სახლი უნდოდა. ამიტომ გასაყიდ ბინებს მხოლოდ ძველ უბნებში დაეძებდა. სონა თითქმის ხედავდა, როგორ აბრდვლილდებოდა ივნისში მზე უფარდო შუშაბანდში და მისი მცხუნვარებისგან მოთენთილი, ასე, პირველი საათისკენ, როგორ მოიმყუდროებდა საძინებელში. როგორ ჩართავდა მუსიკას. დახუჭავდა თვალებს. როგორი იქნებოდა საძინებლის ფარდები. მძიმე და მდოგვისფერი.

\*

— რა გემოვნებით გაქვთ სახლი მონყობილი, რა კარგი ნივთები გაქვთ, როგორ მომწონს ეს ხილის თასი. ვაშლს ხომ არ დაჭრიდით? — მარცხნივ გახედა ბინის შუახნის მეპატრონეს, რომელმაც, შემცბარმა, სასწრაფოდ შეაგება: აბა, რა, დაბრძანდით!

დედა გალაქული ხის სკამის კიდზე იჯდა და მეტი დამაჯერებლობისთვის ოროჯერ იმეორებდა: მოვიფიქრებთ, მოვიფიქრებთ. მოვიფიქრებთ და დაგირეკავთ. აუცილებლად დაგირეკავთ.

სონა ვაშლს ახრამუნებდა, თან აზუსტებდა: ხო ნამდვილად არაა ეს მზიდი კედელი? რატომ გეუბნებით, ხომ ხვდებით, მე ეს ცალკე სამზარეულო სულ არ მინდა, ავიღებ, მოვანგრევ და გადასარევი დიდი ოთახი გამომივა. თქვენ არ გიფიქრიათ? რომ შემოხვალ, ასანთის კოლოფი გეგონება, არადა, თუ მონგრევი, იცოცხლე, იმისთანა გამოდის. და რატომ ყიდით ამ ბინას? ახლა არ მითხრათ, რომ რძალმა გაიძულათ.

სახლის პატრონი ქალი ღიმილით უარობდა, ტელევიზორის წინ სავარძელში პულტით ხელში ნახრილად მჯდომი მისი სავარაუდო მეორე ნახევარი შიგადაშიგ გამოხედავდა ხოლმე სტუმარ ქალებს და,

დამთვალეებლებით გაბეზრებული, ემპათიურობის არანაირ ნიშანსცალს არ ამჟღავნებდა. სონა ვაშლის კიდვე ერთ ნაჭერს ნაეპოტინა, მასპინძელმა ქალმა კივიც შესთავაზა, მაგრამ დედამ სასწრაფოდ იუარა და წამოხტა, სონას ჩანთა ჩამოხსნა სკამის სახელურიდან. სახლიდან გასვლისას მზერა კიდევ ერთხელ რომ შეაჩერეს ერთმანეთზე, მასპინძელმა ქალმა თითქოს ანკესით მიატანა დედის მთავარ სათქმელს, მუცელში ჩაბრუნებულს, და შერცხვა, მანამდე ასჯერ მაინც რომ გაიფიქრა: ნეტა როგორ აჩერებენ ამ გოგოს სამსახურში?

\*

— მოგეწონა, დედა? მე მეგონა, ეზოს გადაჰყურებდა ფანჯრები. იქ ხომ აღარ ვიტყვოდი, ქუჩის მხარე გამორიცხულია-მეთქი. მაგდენი ზრდილობა კი მაქვს.

დედა ვერ შეედავა, შუშაბანდის ხედი ფოტოებზე მართლა არ ჩანდა, ადგილზე დააზუსტეს. ოთახები კია დიდი — ერთი ეს უთხრა, მაგრამ სონა ურყევი იყო: ოთახებს რა თავში ვიხლი, თუ გარეთ გახედვა არ მომინდა. ხომ გესმის, არა? მეოთხე სართული რომ ეწერა, მეგონა, ეზოში გადავიხედავდი, რალაცას ვნახავდი. თან რა კარგი მრგვალი ეზოა, ხომ ნახე. მანდ იქნებოდა ფანჯრები, მეგონა.



საერთოდ, სონას ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი „მე მეგონაზე“ იდგა და ეს მნიშვნელოვნად ართულებდა ხოლმე საქმეს. იმდენი რამე ეგონა, მის წარმოდგენებზე ფიქრისთვის თავს დიდად არავინ იწუხებდა. მარტო დედა. ის არ აგრძობინებდა არასდროს, როგორ მოულოდნელი შექყვილებასავით შეაკრთობდა ხოლმე მისი ვარაუდები.

ახლაც ძველი უბნის დაბალი პირველი სართული ფანჯარას ქურდულად მიპარულ სონას ჯიუტად ეგონა, რომ თხელი ფარდის მიღმა უცნობი ადამიანების ყოფის ისეთ ფარულ საიდუმლოებებს ამოკენკავდა, სახლამდე სცენარს დაწერდა მათ ცხოვრებაზე. მაგრამ დედა ფხიზლობდა და სანამ ფანჯარასთან ჯერ ბინის მეპატრონის ჩრდილი ჩამოდგებოდა, შემდეგ კი ყვირილით დაიფრენდნენ სონას და მის უკან ატუზულ დედას, ზურგში მაგრად უბიძგა, წავედითო და წავიდნენ.

\*

— როგორ მოგმართოთ?  
— რუსუდანი, თქვენ?  
— მე სონა.

ალაგ-ალაგ მოყანყალეულ იატაკზე გაფენილი ორნამენტებიანი ფერდაკარგული ხალიჩა და მასიური კომოდის თავზე ჩამოკიდებული შავ ჩარჩოებში ჩასმული ქალისა და მამაკაცის სურათები ისე დამ-

თრგუნველად აისახა სონას განწყობაზე, მოუნდა დედისთვის იქვე აეტეხა ჩხუბი თავისი ძველმოდური სახელის გამო.

ბინას უფანჯრო არ ეთქმოდა, მაგრამ მაინც ბნელი იყო. თან ამ სიბნელეს სულის შეხუთვის შეგრძნება მოჰქონდა — სიმყუდროვის განცდასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

სონამ დასავლეთის მხარეს წამოყუდებულ წიგნებით გამოძევილ თაროს შეხედა. მერე ბინის მეპატრონეებს გახედა — ქალს, გაბუსულ მტრედს რომ ჰგავდა, და აწონილ ბიჭს, მუხლებგამობერილი იაფფასიანი სპორტული შარვალი რომ ეცვა. უცებ გაიფიქრა, ნეტა რას კითხულობენ ამ წიგნებიდან, ან რას უცვლით ეს წაკითხული წიგნები, რა ნუგეშს პოულობენ. წიგნიდან თავს ამოყოფენ და ისევ ჩაბნელებული იქნება ყველაფერი, თითქოს ნესტში ჩამლბალი. არადა, ნესტიანი სახლი არ ჩანს.

— მაინც რატომ დამარქვი ბებიაჩემის სახელი? — მოგვიანებით გაუხსენა კიდევ ერთხელ.

— მამაშენის გახარება მინდოდა, დედა.  
— კარგი რა, დედა, რა, ჩმორი იყავი მართლა.

— ჩმორი ვიყავი, კი, — დაზეპირებული სიცილი შეაგება დედამ.  
სონამაც კარგად დაზეპირებული გაკ-

— მოკვდა? როგორ მოკვდა?  
— გადაბრუნდა და მოკვდა.

სონას ერთი ამბავი უყვარდა ბებიას ბავშვობიდან. ყველა ნახვისას აყოლებდა. როგორ დაკარგეს ინდაურები ტატიანა ბებია და დედამისმა უამრავი წლის წინ. როგორ ელოდნენ ორ დღეს და იმედგადაწურულები როგორ შეესწრნენ უცნაურ სანახაობას.

„გავიხედეთ, ბებია და, რას ვხედავთ — გორის თავზე კამარა შეკრეს ჩვენმა ინდაურებმა და ეზოში გადმოფრინდნენ.“

კამარა შეკრეს, კამარა შეკრეს — სონას ეჩვენებოდა, რომ შელოცვას ჰგავდა ეს სიტყვები და ლამის ევედრებოდა ბებიას: მოყევი, კიდევ მოყევი, ოღონდ ზუსტად ისევე ისე.

ტატიანა ბებია თავიდან ყვებოდა და უცვლელად ამთავრებდა: „კამარა შეკრეს და ეზოში გადმოფრინდნენ.“

კამარა შეკრეს — რა ღვთაებრივი სიხარული იყო.

\*

სონას ვერ გაეგო, რატომ მოაგონდა ტატიანა ბებია მამინვე, როგორც კი ოთახს მიაშურა. ოთახში ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს საკუთარ ტყავში უნდა შებრუნებულიყო. ეს განცდა ხშირად უჩნდებოდა ხოლმე. თითქმის ყოველთვის, როცა ძველი თბილისის გასაყიდ ბინებში ვერა და ვერ აგნებდა რალაც სათავისოს. როცა გაიფიქრებდა ხოლმე, რომ რომელიმე ბინის მეპატრონე უცებ მიუბრუნდებოდა და ჰკითხავდა: სად მუშაობთ, გოგონა? და როცა ის სასწრაფოდ შეაგებებდა წინასწარ მომზადებულ პასუხს: თვითდასაქმებული ვარ. მაგრამ სონამ იცოდა, რომ ბინის მეპატრონე შეიძლება არ დამცხრალოყო და გაეგრძელებინა — მაინც როგორ ბინას ეძებთ? თუ მართლა მყიდველი ხართ, ამაზე კარგ ბინას ამ ფასში ვერ ნახავთ.

სონას ეშინოდა ამ კითხვის. „თუ მართლა მყიდველი ხართ“ — ამის მოსმენა აშიწნებდა. ეშინოდა, რომ რალაც ასეთი ხელჩასაჭიდი და საწუგეშო, ასე სახელდახელოდ აკოკოლავებული თვალსა და ხელს შუა ჩამოიშლებოდა.

სონას ისე უყვარდა ტატიანა ბებია, ისე უყვარდა, ეგონა, გული გამისკდება სიყვარულისგანო. ბებია რომ მოკვდა, სულ უნდოდა, რამენაირად შეენახა ეს სიყვარული — ლექსი ან ლამაზი ესე დაწერა, ბოლოსდაბოლოს, ჯემპრი მოექსოვა ბებიას სახელზე მისი ნაჩუქარი ჩხირებით და მისგან ნასწავლი ჩახლართული ორნამენტებით, მაგრამ ვერა და ვერ ქნა. ეს იმდენად ადარდიანებდა, დედის სიკვდილისთვის თადარიგი წინასწარ ჰქონდა დაჭერილი. ერთხელ დაჯდა და ისეთი ძვირფასი ტექსტი გამოაცხო ცხოვრების მთავარი უბედურებისთვის, თვითონვე გაუკვირდა. საგულდაგულოდ შეინახა, რამდენჯერმე დააკოპირა კიდევ, შემთხვევით არ მივაშალო ამდენ უაზრო ფაილშიო. დადგებოდა ეს დღეც და შესანიშნავი სტატუსი მზად იქნებოდა. ნკაპ, და ატვირთავდა სოციალურ ქსელში.

— დედა, არ იქნებოდა ძალიან კარგი, ერთმანეთს მარტო სიყვარულს რომ არ ვუხსნიდეთ და გადაყვარებაშიც საზეიმოდ ვუტყდებოდეთ? ესაც ხომ დიდი ამბავია, გათავისუფლებაა.

— ვინ დაგვიშალა მერე? მე არ დამეტაკო და გადამიყვარო ოღონდ.

იცინოდნენ და ეს სიცილი ძალდაუტანებელი, გადამდები და ბოლომდე საიმედო იყო. სონამ იცოდა: დედა არასდროს ეტყოდა, რას დამატარებ ამ ბინების სანახავად, მერე ვიაროთ, მუშაობას რომ დაიწყებ, ბინის ფულს რომ მოაგროვებო.

დედა არასდროს ახარისხებდა სხვების ოცნებებს. სონასაც — მით უმეტეს. მან სადაც ნასწავლით იცოდა, რომ სხვისი სურვილების გაფილტვრა არაა სამართლიანი და ყველა ოცნება იმსახურებს ოცნებად იწოდებოდეს.

მარტი უფრო თბილი და დამყოლი იყო, ვიდრე ოდესმე. მაგრამ აღგზნებული კატეხი ზუსტად ისევე ღნაოდნენ, როგორც ყველა სხვა მარტში.

სონამ დედას გაუშტერა თვალი. დაბეზრებული მოეჩვენა და ხელად გაიფიქრა: კარგი, რა, მუსიკა ღმერთო.



# თქვენი სახელია ლუიზა

— ანა, ხო?  
 — დიახ, დიახ, ანა.  
 — ცხოვრა გეხერხებათ, ანა?  
 — მიყვარს ცომი, სკოლის წლებიდან ვაცხოვრებდი ხაჭაპურს, ნაპოლეონებს.  
 — სტუმრები თუ გიყვართ?  
 — სტუმრები ძალიან. მეტი რომ არ შეიძლება, ისე.

— თვიურის წინ ხასიათის გაუარესებას ხომ არ უჩივით ხოლმე?  
 — ბატონო? — ანას ჰგონია, რომ რაღაც არასწორად გაიგო, მაგრამ თანამოსაუბრე პასუხის მოლოდინში ისე დაბეჯითებით უქნევს თავს, თითქოს გულწრფელობისკენ უბიძგებდეს და ანაც ოდნავ ყოყმანით, მაგრამ ჩქარ-ჩქარა ამბობს:  
 — რა ვიცი, ალბათ, როგორც ყველას. არაფერი განსაკუთრებული.

— ეგ კარგია, — აფასებს მასპინძელი და შოკოლადის ნატეხს იღებს ლურჯ-თეთრი სიფრიფანა ფაიფურის თეფშიდან.  
 ანა ისეთივე სიფრიფანა ფაიფურის ფინჯნიდან ყავას მოსვამს. სიჩუმე იწვლება. კიდევ ერთ ყლუპს ყავას მოსვამს, მუქ ლურჯ მძიმე ფარდებს თვალს გაუშტერებს და იტყვის: საოცრად ლამაზი სახლი გაქვთ.  
 — ძალიან ბევრი ვინვალე ამ სახლისთვის, წლები, — გაეპასუება მასპინძელი, — თქვენ კი დღევანდელ შეგიძლიათ აქ საცხოვრებლად გადმოხვიდეთ.

— შესანიშნავი იქნებოდა, — უპასუხებს ანა.  
 — ხელფასს თვის პირველ რიცხვში მოგართმევთ ხოლმე, თქვენი ოთახი შეგიძლიათ თქვენს ჭკუაზე მოიწყოთ, უნიფორმა გექნებათ, როგორც გითხარით, — კართან კიდევ ერთხელ დაუზუსტა ანას, რომელიც მზად იყო, თუნდაც ხვალღიდან გადმოზარდებულიყო ამ ნათელ, განკრიალეულ სახლში, — როგორც კი მეტყვიან, რომ მზად ხართ, მძღოლს გამოვუშვებ და ნამოციყვანთ.

— დიდი მადლობა, ქალბატონო ესმა, უდიდესი მადლობა! — დაუფარავი კმაყოფილებით უღიმოდა ანა, — სწრაფად გავემზადები, არ დამჭირდება დიდი დრო.  
 — შესანიშნავი! მაშინ თქვენს ზარს დაველოდები და კიდევ ერთი პატარა დეტალი — ალბათ, წინააღმდეგი არ იქნებით, თუ ლუიზას დაგიძახებთ, არა?

— ბატონო?! — ანას უკვე მეორედ მოეჩვენა, რომ სმენა ლალატობდა.  
 — გრძელი ამბავია, ასე ვერ ავიხნით, მაგრამ ამ სამუშაოს ნაწილია, რომ თქვენ გერქვით ლუიზა. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ როცა იქნებოდა, მოახლე მეყოლებოდა და მას ერქმეოდა ლუიზა. უბრალოდ, რადგან სხვა მნიშვნელოვანი ნაკლი არ გაქვთ, ამ პატარა დეტალის გამო თქვენი დასახლება არ იქნება სამართლიანი. შემოდის, რამენაირად დაგიხსნის, რა სახელით გამეცანით, ოღონდ ამაში თქვენც უნდა დამეხმაროთ და არაფრის დიდებით არ მომაგონოთ თქვენი ნამდვილი სახელი. დამიჯერეთ, ცოტა ხანში თვითონვე არ გამახსოვრებათ, რომ ლუიზა არ ხართ.

\*

— რამდენი ავადმყოფია, ღმერთო! — გაგულსიებული ანა ისე სწრაფად ტოვებს ეზოს, თითქოს ეჭვი აქვს, რომ ქალბატონი ესმა კვალში ჩაუდგება და იუსტიციის სახლში ნააპრონიალებს სახელის გადასაკეთებლად. აღშფოთებას ვერ იოკებს და ქალიშვილს ურეკავს: ანუ გიჟია, ხვდები? მეც არ ვიფიქრე, ამდენს რატომ იხდის-მეთქი?! რომ შევხედე, არაფერი მიეჭვია, ისე კარგად დაიწყო. მერე კი აუშვა ცოტა, მაგრამ ვიფიქრე, თავისი ნიკები აქვს-მეთქი. ახლა პირველივე შეხვედრისას ხომ არ გადამიძლიდა გულს, მოგესალმებით, მე შიზოფრენია მაქვს, გაზაფხულზე შეტევები მეწყება და მეტი არ მინდა, მუსკატის კაკალი ნაკლები მოგივიდეთ ნამცხვარში, ნამოგეპარებით უკნიდან და თავს მაგიდაზე გაფერთხინებთო?!  
 — თქვენი სახელი?  
 — ნატო.  
 — რა დასახანია!  
 — ბატონი?  
 — არა, არაფერი, ცხოვრა თუ გიყვართ?

\*

— ცხოვრა? მიყვარს, კი. მეხერხება უფრო.

— სტუმრები თუ გიყვართ?  
 — დიახ, ძალიან! ჩვენი კარი სულ ღია იყო, სუფრას არც ვალაგებდით მე და დედა. მაშინ, ხომ გახსოვთ, როგორ იყო, წინასწარ ვინ დარეკავდა, ვისაც გაუხარდებოდა, პირდაპირ მოგადგებოდა.

— მაგიტომაც მძულს სტუმრები, მაგამაზრუნევი გამოცდილების გამო.  
 ნატოს თვალები უფართოვდება. უხერხულად გაიღიმებს.  
 — ვიფიქრე, იმიტომ მკითხეთ, რომ ხშირად გყავთ სტუმრები, — ძლივს ჩამთავრდა.

— იმიტომ გკითხეთ, რომ გამეგო, რამდენად შეიძლება ჩვენი მსოფლმხედველობის თანხვედრის იმედი მქონდეს.

— გასაგებია, — თითქმის ბუტბუტით პასუხობს ნატო, რომლისთვისაც არაფერი არაა გასაგები. მეტიც, ყველაფერი ზედმინევი ბუნდოვანია და ტვინს იჭყლეტს, რამ მიიტყუა ამ გაუგებრობამდე.

„ქალაქის ცენტრში, ახალგაერმონტებულ 150 კვადრატულ მეტრ ბინაში ვეძებთ საოჯახო საქმეებში დამხმარე ქალს, რომელიც იცხოვრებს ჩვენს ბინაში. მაღალი ანაზღაურებით.“

— მე კარგი ხასიათი მაქვს. პატარა ქალაქია, შეგიძლიათ გაიკითხოთ, ვისთან მოდიხართ საშუალოდ, თქვენც ხომ უნდა იცოდეთ.

— ეჭვიც არ მეპარება! — გულითადად უდასტურებს ნატო თანამოსაუბრესაც და უფრო — საკუთარ თავსაც.

— ჩვენ თუ ყველაფერზე მოვრიგდებით, ერთი მცირე დეტალიც იქნება შესათანხმებელი. ალბათ, აჯობებს, ახლავე დავილაპარაკოთ.

— გისმენთ! — გაფაცვიცდება ნატო.

— ახირებდა ნუ ჩამითვლით და ნუ განმიკითხავთ იმის გამო, რომ განცხადებაში ამის თაობაზე მინიშნება არ ყოფილა. ეს საკმაოდ დელიკატური საკითხია. ვერბალურად სხვანაირად აუხსნი ადამიანს. აი, ნერილობით, ალბათ, სასაცილოც კი მოგეჩვენებოდათ. საქმე ისაა, რომ ამ მოზიციანზე თუ ვინმეს ავიყვან, მას უსათუოდ ლუიზა უნდა ერქვას. ასე მქონდა თავიდანვე გადამწყვეტილი, მაგრამ რთულია ასე, სახელის მიხედვით, ადამიანის პოვნა. თან, მოგესხენებათ, არც ისე ხშირი სახელია.


— ანუ ვერ ამიყვანთ? — მხოლოდ ამის კითხვას მოახერხებს მოსმენილით გაშტერებული ნატო.

— არა, მაგის თქმა არ მინდოდა. აგიყვანთ, თუ შევთანხმდებით, რომ ამიერიდან ლუიზა ხართ.

— ალბათ ხუმრობთ, ხო? — ნატოს სიცილი უტყდება, — დამიჯერეთ, მართოდანერული კი არა, მოსმენილიც ძალიან სასაცილოა, რასაც მეუბნებით.

— არავითარ შემთხვევაში! გთხოვთ, ისე შეხედოთ, რომ ეს მოთხოვნა საქმის ნაწილია და ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა პუნქტები, მაგალითად, ის, რომ საქმის მომზადებისას თმა უნდა შეიკრათ და ილიები მუდამ გაპარსული უნდა გქონდეთ.

— დიდი ბოდიში, თქვენ, სავარაუდოდ, ძალიან მოცლილი ხართ და ერთობით ამ პროცესით, მაგრამ მე, პირადად, გასართობად ნამდვილად არ მცხელა და თქვენ ადგილზე აუცილებლად შემრცხვებდა გაჭირებული ადამიანის გაპამპულაგების გამო. კარგი ცხოვრება მართლა აგიყვებს ეტყობა ხალხს!  
 — თქვენ ვერ გამიგვთ...



მაკა

ანდრეს სტინავს. ლუიზა ელოდება და კარშივე აგებებს: თქვენი საყვარელი ბლანები მოვამზადე. ესმა ცხვირს აიბზუებს და განაცხადებს: არ მშია, ჩაის დავლევ. გულჩვილ რატის ცოლის მაგივრად მოერიდება და გამეტებით დააძლება ბლანებს.

ეს ფიქრები ესმას ღიმილს გვრიდა. ქმრის ახალი სამსახურიც ახარებდა და მიზანსცენებიც ენაცვლებოდა ერთმანეთს დიდი, თეთრად შეღებილი, მზით და ნახატებით სავსე სახლის კადრები. დიდ და ნათელ სახლზე ჯერ დიდხანს ოცნებობდა, მერე დაჟინებული ბრაზი დასჩემდა.

ქარმა ნამოუბერა და პატარადაა ააცახცახა ფანჯარაზე. ესმა, დაღლილობისგან თითქმის ნაშლილი, ერთ ნერტილს მისჩერებოდა და უცებ ნამოძახა: ლუიზა, ფანჯრები, ლუიზა!

\*

— ქალბატონო ესმა, რუსუდანი ვარ, თქვენთან ვიყავი გასაუბრებზე. იცით, ვიფიქრე და არ მაქვს პრობლემა, შეგიძლიათ, დამიძახოთ ლუიზა. მშვენიერი სახელია. თუ არავინ აგიყვანიათ, მე თანახმა ვარ.

— შესანიშნავია, როცა მზად იქნებით, შემატყობინეთ და მძღოლს გამოგიზავნით. იქამდე ოთახს მოგიზავნებთ.

— დიდი მადლობა, ქალბატონო. ესმა, ძალიან დამავალბებ.

— შეხვედრამდე. და დონა ესმა დამიძახებთ, გეთავყა.

## დიდიდან მარცხენა ფეხზე

— გულისა დეიდა, გულისა დეიდა! — თითქმის ყვიროდა, თან თეთრად შეღებილ რკინის კარზე ბრაზუნს აგრძელებდა. მერე გაჩერდებოდა და მიაყურადებდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. შორიხლოს ბელურები ნიოკობდნენ და ეგ იყო.

ცოტა ხანს კიდევ მოიცადა და კარის მეზობელთან დარეკა ზარი. ათ წელზე მეტი იყო, ისინიც მისი კლიენტები იყვნენ. ნონამ გამოიხედა, ასე, ორმოცდაათი წლის ქალმა. ყვითელი სარაფანი ეცვა ულიფოდ. მსუქანი საერთოდ არ იყო, მაგრამ ილღიე-



ცხველიანი

პირვეტებულ თითქმის ციკაბო კიბეზე. ყველა სართულზე სკამს უდგამდნენ და ასვენებდნენ. გული უფარდებოდა და ყელს იღერებდა, რომ უკეთ ამოესუნთქა თვალებდახუჭულს.

\*  
სოფო კორეულ ენას სწავლობდა და კვირაში ორ საღამოს ინგლისურში ამეცადინებდა ერთ-ერთი თეატრის ექვს მსახიობს ქალს მათივე თეატრის პიარმენეჯერის კაბინეტში. როგორც თვითონ კი არ სჭირდებოდათ, თავიანთთვის უნდოდათ — მაგალითად, ევროპაში გასტროლებზე რომ გამრიალდებოდნენ, მაღაზიაში თამამად რომ მოეთხოვიათ არასტადარტულად მალელებისთვის განკუთვნილი ორი იქს-ელი ან ადგილობრივების ერთი-ორი კომპლიმენტი შეეფერებინათ ლამაზად, ხელოვან ხალხს რომ ეკადრება, ისე.

— სწავლობენ რამეს? — ეკითხებოდა ბებია და იქვე ამბობდა, — მაგათი ნასწავლი არ გაიშვა ამ სიბერეში!

— როგორ არ სწავლობენ! — იცინოდა სოფო და მხრებამდე ჩამოშლილ მონაცრისფრო ბულულა თმას უფარცხნიდა ბებიას.

გულისა ბებიას ეჯავრებოდა ასაკში შესული ქალები თმას მოკლედ რომ გადაიკრეჭენ ხოლმე. ეს მისთვის სიბერის გამოცხადებას ნიშნავდა.

ნათელა ტოლმას ახვევდა. შიგადაშიგ გასახებდა ხოლმე დედას, რომელიც სერიოზულს ჩაჯდომოდა.

— რა? სად წაგიყვანო?  
— ბოსფორზე, სიმინდები ვჭამოთ.  
— სიმინდებს ეტყოდა, ბლითებივით როა, მაგათი.

— არაფერი ბლინები არ უთქვამს.  
— რა ბლინები, კაცო!

ნათელა აპროტესტებდა დედამისის შენელებულ რეაქციებს, არათანმიმდევრულობას, შესამჩნევად დაქვეითებულ სმენას — უკან-უკან სვლის ყველა გამოვლინებას, რომელიც უცებ ხდებოდა შესაჩნევი და ზაფხავდა — ანწლებიდან მოულოდნელად გამოსრიალბული გვეულბივით.

— შენ ტოლმას რას უკეთებ, ნათელა?  
— ხმელ ქონდარს, ჩვეულებრივად ვაკეთებ, არაფერს არ ვამატებ უცხოს.

— ქონდარს რა უნდა ტოლმაში, გოგო?!

— შენ რას უკეთებ, აბა, ასე არ აკეთებ მთელი ცხოვრება?  
— ქონდარი უნდა ჩიხირთმას, სულ გასულელდი შენ!

\*  
ნათელა და სოფო ერთად ცხოვრობდნენ, გულისა — ცალკე. შეეძლო, გადმოსულიყო, თავისი ოთახი ჰქონოდა, მაგრამ არ მოინდომა. თავისი სახლი უნდოდა. საკუთარი სამზარეულო და სარკინი ტუმბო, ზეგ ჩამოკონწიალებული მძივები. ბორდოსფერი ხავერდის ფარდები. ქმრის ფოტოსურათები პიანინოზე.

ბაბუა რომ გარდაიცვალა, ნათელა და სოფო კაი ხნით გულისასთან გადავიდნენ. მერე სახლში დაბრუნდნენ, მაგრამ სოფო ხშირად რჩებოდა ხოლმე.

ბაბუა აღარ იყო, მაგრამ სოფოს ისევ მათი საწოლის შუაში ეძინა, ბებიასზე მიხუტებულს. ვითომ მარჯვენა მხარეც დაკავებული იყო.

მეორე კურსზე გადავიდა. იმ ზაფხულს გაიცნო ბათუმში კოსტა, დარეხილი ფოტოგრაფი, რომელიც უღებდა და უღებდა ფოტოებს და რომელთანაც ისე გადაეშვა სიყვარულში, თვითონაც ვერ გაიგო. სიყვარული, სხვათა შორის, ვერ აღმოჩნდა მაინცდამაინც ადვილი გრძნობა. განსაკუთრებით მაშინ რთულდებოდა, ფოტოგრაფი კოსტა ტელეფონს რომ გამორთავდა და მთელი კვირით გაქრებოდა ხოლმე. მაგრამ მერე ისევ ჩნდებოდა — უცნაური და სიგაჟემდე მომხიბვლელი. მოგრძობა ჩალისფერი თმით. სოფოც ორ წამში პატიობდა. დედამ არაფერი იცოდა. ბებიამ იცოდა ყველაფერი. იმ პერიოდში ღირსების გრძნობაზე ზოგადი ხასიათის საუბრებს უმატა. სოფომ იცოდა, რომ ეს ბებიამისის პროტესტი იყო.

ერთხელ შუალამისას დარეკა ტელეფონმა, სოფომ ფეთიანივით უპასუხა და რამდენიმე წამში ფეხკარგვით გაიპარა ოთახიდან, რომ ბებიას არ გაეღვიძებინა. აბაზანიდან გამოსულს კართან ბებიას დახვდა.

— თუ მე გიყვარვარ, არ წახვალ!

სოფო არ ელოდა, უცებ ხმა ვერ ამოიღო მოულოდნელობისგან. მერე უთხრა: შენ უნდა გამიგო, მთელი ცხოვრება ასეთ სიყვარულზე არ მელაპარაკებოდი?

მეორე დღეს კოსტა ისევ გაქრა თითქმის ათი დღით. ბოლოს გამოჩნდა, ვილაპარაკოთ. შეხვდნენ და სხვა შემთხვევად, უთხრა. კაფის ვერანდაზე ისხდნენ, მეორე სართულზე. შენ გაცილებით უკეთესს იმსახურებ, იმის ილუზიაც არ მაქვს, რომ შენ ვინმე გაჯობებსო და კიდევ რაღაცები. ნაღდი, უთხრა სოფომ. თვითონ ეგონა, რომ სკამს დააკვდა და სამუდამოდ ასე დარჩებოდა. კოსტა წამოდგა, ლოყაზე აკოცა და ყურთან უჩურჩულა: გთხოვ, ფეხით არ წახვიდე სახლში, რა... ეგრე მიდიან ხოლმე მიტოვებულები. მხიარულად იყავი, რა.

\*  
ნათელას უთხრეს, რომ გულისას მარტობის ემინოდა. სოფო ლექციებზე მიდიოდა, მერე ბებიასთან ბრუნდებოდა და ლიფტში უკვე ასკდებოდა მთელი დღის შეგუბებული ცრემლები. ლაპარაკობდნენ უამრავს. სოფო უსასრულოდ ტიროდა. მერე სასაცილო ამბებს იხსენებდნენ, იცინოდნენ და მერე სოფო ისევ ტიროდა. ბებიას არასდროს ელევოდა თანაგრძნობის მარაგი. უსმენდა, უსმენდა. შენ მელაპარაკე — ეტყოდა მერე სოფო. როგორც ბავშვობაში.

— სიყვარულის უნარი გენეტიკური ნივთიერებაა, სოფო. ყველა არაა დაჯილდოებული ამ შესანიშნავი გრძნობის სრულყოფილად აღქმის ნიჭით. ზოგი ისე მოკვდება, რაღაცას ზედაპირულად თუ იგრძნობს. ზოგს კიდევ, სულ არავინ შეხვდება, ისე ჩაივლის მისი მატარებელი.

— ნეტა რა მოაქვს ამ სიყვარულს სიმწრის მეტი? — ეკითხებოდა სოფო, — დედაჩემის გამოცდილება მაინც არ მქონდა.

\*  
სოფოს ახსოვდა ახალი წლის დღეებში ნათესავებთან სტუმრობისას ქურქებში გახვეული დედა და ბიცოლები. ნანეტებულ ფრჩხილებზე სადაფისფერი ლაქი და ყურებზე ასეთივე ფერის ქალებივით კონწიალა საყურები. კიდევ ახსოვდა, დედა შუებს რომ აცხობდა. შორივით რომ ასხამდა კრემს. ამ დროს მამა უკნიდან მიუახლოვდებოდა, ტრაკუნ ვითომ შემთხვევით უჩქმეტდა და ორივენი ხმადაბლა, შეთქმულებით იცინოდნენ. სულ სიცილი და სიხარული ჰქონდათ, სანამ ეს რუტინა შეიმდგრა. ცხრა წლის იყო.

იმის მერე ნათელას წლები დასჭირდა, რომ ქრონიკულ ფორმაში გადაეყვანა მწვავე მონატრება — სიყვარულის რემისია რომ მოეხერხებინა. ამაზე არასდროს არავისთან ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ არსებობს დანაკარგი, რომელსაც ვერასდროს შეეგუები. აი, მშობლების ნაჩუქარი ეს შესანიშნავი ბინა რაიმე მიზეზით რომ დამეკარგა, ძალიან მძიმე იქნებოდა, მაგრამ რამენაირად გადავიტანდი, რამე საშველი გამოჩნდებოდაო, უფიქრია. ბოლოსდაბოლოს, ახალ სახლზე ოცნება მაინც გვექნებოდა. მაგრამ ნუგეშის პოვნა თეორიულადაც კი უჭირდა იმ შემთხვევისთვის, როცა კარგავ გულს, რომლის სინქრონულად საკუთარ გულისცე-

მას ძილის წინ კბილების გახეხვასავით მიეჩვიე. როცა თენდება და ყველაფერი უცვლელია, მაგრამ დახუჭულ თვალებზე ალარავინ გკოცნის. ნათელა კანონზომიერებას ვერ უძებნიდა იმას, რომ ერთად ჭამთ, იცინით, გეგმავთ, ერთმანეთს ეალერსებთ, ორნი ხართ და უცებ მეორე თავისით ჩაეხსნება ამ ყველაფერს — თითქოს არც არაფერი.

\*  
— ბებო, რას ამბობ ხოლმე, როგორი უნდა იყოს ადამიანი?  
— როგორი უნდა იყოს და საიმედო, ბებო.

— ჰოდა, საიმედო რომ ვარ, მოგიტანე ჟურნალი.

ლამის თავიანდაკე ჩამძვრალიყო. კითხულობდა სოფოსთვის აქამდე შეუმჩნეველი გულამოსკვნილი გაფაციცებით. მდოგვისფერი ანგორის გრძელი ყაკეტი ეცვა. წელთან გამოჩრილი მილი ფეხებთან გამჭვირვალე პაკეტი სრულდებოდა. ისიც მდოგვისფერი, მღვრიე სითხით იყო საყვ.

უმეტესად თანმიმდევრულად და ზოგჯერ ოდნავ აცაბა, მაგრამ ისევ გატაცებით ლაპარაკობდა ხოლმე სიყვარულისა და ერთგულების ხელოვნებაზე.

— ქალებს ჰგონიათ, თუ მამაკაცებს ყველა სურვილს უყოყმანოდ აუსრულებენ, ამით რაღაც გარანტიებს მიიღებენ. არადა, კაცები ასეთ ქალებს უფრო კოხტად ტოვებენ.

სოფო ბებიამისის ხელებს დაჰყურებდა — ისევ ლამაზი ხელები ჰქონდა, მერე რა, რომ გაბუტულებივით დაბერვოდა ძარღვები. ტელევიზორის ისეთი ალტაცებით მისჩერებოდა, სოფომ აუხსნელი უხერხულობა იგრძნო და თვალი აარიდა. ვითომ ვერ გრძნობდა, რომ თვითონ სამშვიდობოს იყო, ბებიას კი გულისმომკვლევად უძღურა. ვითომ უაკეტიდან გამოჩრილი გამჭვირვალე პაკეტის შემყურეს ერთდროულად არასდროს მოსძალებია კმაყოფილებისა და სინდისის ქენჯნის ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები, რომლებიც დაახლოებით ამ სიტყვებზე დეკლარირდებოდა: შენ ცოცხალი ხარ. შენ სუნთქავ. შენ ტელევიზორის წინ ზიხარ და როცა მომინდება, შემოგხედავ.


მერე უცნაურმა ფიქრმა გაურბინა: მამას დედა რომ არ მიეტოვებინა და ახლა აქ ერთად გვეცხოვრა, ნეტა ინატრებდა, მალე მომეპოვებოდა ბებიჩემი? არანაირი სამართლებრივი საფუძველი ამ ეჭვის მხარეს არ იყო, მაგრამ ერთგვარ შევებას გრძნობდა, ასე პრეტენზიულად რომ ფიქრობდა, ეჭვმიტანილი რომ ჰყავდა.


იმასაც ფიქრობდა, დილიდან მარცხენა ფეხზე გავივიციე.

ნათელა ხახვს ჭრიდა სამზარეულოში. მგონი, თვითონაც აღარ ახსოვდა წლების განმავლობაში ქუჩაში ყველა გასვლისას როგორ ეჩვენებოდა, რომ შეკუმშული ჰაერი მოულოდნელი შეხვედრის შესაძლებლობაზე მიანიშნებდა.

სოფო ლოგინზე მიწოლილიყო და კორეულ ტექსტს ბუტბუტით იმეორებდა. გვერდით ოთახიდან ბებიამ გამოსძახა:

— სოფო, როცა მოიცლი, ღმერთზე ვილაპარაკო, ბებო. ღმერთიც საკმაოდ მნიშვნელოვანია.





### შორაული ნოემბრის დილას

შორენა ლებანიძის ნიგნის გადაფურცვლისთანავე ნაზი შამანაურის ფოტო შემომეფეთა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნიგნი ემოციურად უმძიმესი ნასაკითხი იქნებოდა, ნაზი შამანაური ხომ ჩემთვის ყველაზე მტკივნეული აღმოჩენა იყო.

დავიბადე და გავიზარდე ნუცუბიდის N18-ში, საიდანაც ასათიანის ფსიქიატრიული კლინიკა სულ ორი ფეხის ნაბიჯზე მდებარეობდა. როდესაც ნაზის ამბავი გავიგე, ერთი უბრალო ძველი შენობა ჩემს გონებაში უდიდესი ბოროტების სიმბოლოდ გადაიქცა. სულ მიკვირდა, როგორ შეიძლება იყო ეს კლინიკა კვლავ აქ მდგარიყო და ყოველ დილას სკოლაში, შემდეგ კი უნივერსიტეტში ნასვლისას უდრტვინველად და უტიფრად შემომგებებოდა. ხოლო უდიდესი იმედგაცრუება მაშინ განვიცადე, როდესაც გავაცნობიერე, რომ ნუცუბიდის ქუჩის ბევრმა მაცხოვრებელმა, იმ ადამიანებმა, რომლებმაც აქ მთელი ცხოვრება გაატარეს, ნაზი შამანაურის მკვლელობის ამბავი არც კი იცოდნენ (ზოგი მათგანი დღესაც საბჭოთა ყოფას მისტორის). უცნაურია, მაინადაც შეექცეოდნენ 20 კაპიკიან „კატლეტებს“ და არ იცოდნენ, რომ გვერდითა შენობაში ადამიანს კლავენ. ნაზი შამანაურის ხმას საბჭოთა პროპაგანდა საგულდაგულოდ ახშობდა, თუმცა ეს ხმა მაინც სრულყოფილად მისწვდა თანამედროვე მწერლის სმენას. შორენა ლებანიძის ნიგნშიც წლების წინ გასაღები ყვირილი, წლების წინ განცდილი ტკივილი გაცოცხლდა და მკითხველსაც თითქოს უკვე მკაფიოდ ჩაესმის წლების წინ წარმოთქმული საბედისწერო „расстрелять“.

„თუ საჭიროა, გათქმევენებთ“, შეიძლება ითქვას, სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება. თითოეულ თავში საბჭოთა რეჟიმის ერთი სისხლიანი ისტორიაა წარმოდგენილი და თითოეული ამბიდან უამრავი გაუბედურებული ადამიანის პორტრეტი გვიყურებს. ეგვიპტეში მიქელანჯელო და მისი განადგურებული ოჯახი, ნაზი შამანაური და მისი უიმედოდ დარჩენილი დედა, სამედიცინო უნივერსიტეტი და მისი კორუმპირებული მმართველები, ქრთამი და ლალატი — აი, ამ უმძიმეს მოვლენებზე მოგვითხრობს შორენა ლებანიძე. რაც მთავარია, ყოველი ფაქტი რეალურია — ყოველი სიტყვა დადასტურებულია საარქივო მასალითა და მსხვერპლთა ახლობლების მოგონებებით. დაკითხვისა და დახვედრების ოქმები თუ ფსიქოლოგთა დასკვნები ნიგნში შეულამაზებლად წარმოდგენილი. მწერალი მოვლენების საკუთარ შეფასებას არ გვახვევს თავს, ნიგნში ყოველი განსხვავებული მოსაზრება ჟურნალისტური ეთიკის დაცვითაა წარმოდგენილი. ასე რომ, მკითხველს აქვს შესაძლებლობა, თავადვე განსაჯოს და გააანალიზოს საბჭოთა ხელისუფლების თითოეული ქმედება.

შორენა ლებანიძის ნიგნში ასახულია საბჭოთა კავშირის კარნავალური ყოფა, სადაც არავინ იცოდა, მოლიმბარი ნიღბის მიღმა მეგობარი იმალებოდა თუ ჯალათი,

სადაც პომპეზური მუსიკისა და ფასადის უკან შეუბრალებლად ხვრეტდნენ, ასამარებდნენ და ასახლებდნენ ადამიანებს. უდიდესი ფარსი, სადაც „მწერლობის მოთვინიერება“ სცადეს და მუსიკის ჰანგებისთვისაც გადაწყვიტეს ბორკილების დადება. მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან ადამიანთა მესხიერებაში სამუდამოდ დარჩა მავსტროს ხატი, რომელიც ნაშენისას სახის მაგივრად ყურებზე იფარებდა ხელებს.

და მაინც, ნიგნის კითხვისას არ მასვენებდა ერთი კითხვა — რა უფრო ტრაგიკული იყო: უსამართლო სიკვდილი თუ სიკვდილზე უფრო უფერული სიცოცხლე? ევგენი მიქელანჯელოს დახვედრა უფრო მძიმე იყო თუ მისი მეუღლის სიცოცხლე, რომელიც სინამდვილეში სიკვდილამდე გაცილებით ადრე, „შორეული ნოემბრის ერთ უფერულ დილას ამოიწურა?“ ნეტავ მთელი ჩვენი ინტელიგენციის ამოხოცვა უფრო საზარელი იყო თუ ინკუბატორის წინილებით ერთმანეთის მსგავსი, ტვინგამორეცხილი საბჭოთა მოქალაქეთა ყოფა, რომლებიც მაღიანად შეექცეოდნენ 20



ანი ჯავახიშვილი

## უფრო ჩქარი კულსაცია

კაპიკიან „კატლეტს“ და სინდისის ქენჯნის გარეშე ასმენდნენ ოჯახის წევრებსაც კი? ალბათ, ისევე იმ პროპაგანდის ბრალია, რომ დღეს ჯერაც მიგტირით საბჭოთა ყოფას და ისიც ვერ გაგვირკვევია, რომ ქვეყანა, რომელმაც ლამისაა ყველზე შემოგვახვიოს მავთულხლართები, ჩვენი მეგობარი არ არის.

შორენა ლებანიძის ნიგნი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მკვლევლებისა და დახვედრების ისტორია 1937 წელს არ დამთავრებულა და საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებამდე ასამარებდა ადამიანებს (როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად). ამის ნათელი მაგალითია ნაზი შამანაური (1940-1983), რომლის ტრაგიკული სიტყვებიც — „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“ — ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მისწვდა ყველა ქართველის გონებას... ამიტომ, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა თაობამ ნაიკითხოს შორენა ლებანიძის ნიგნი, რათა სანდო წყაროს მეშვეობით მეოცე საუკუნის ტრაგიკულ-დრამატული ეპიზოდების პერსონაჟები უკეთ გაიცნოს.

### ეულად დარჩენილი ველური კალმები

არსებობს ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა კითხვის დროსაც გიჩნდება განცდა, თითქოს ნიგნის პერსონაჟები უფრო რეალურები არიან, ვიდრე თავად შენ. ირღვევა ზღვარი ფიქციასა და რეალობას, გამოწვავს და სინამდვილეს შორის. ასეთ დროს ფიქრობ, ლიტერატურა იქმნება რეალობის მიხედვით, თუ პირი-

ქით — თავად ცხოვრება ბაძავს ლიტერატურას? სწორედ ამგვარი რომანია **უილიამ ფოლკნერის „ველური პალმები“**, რომელშიც ყოველი ადამიანური გრძნობა იმდენად მკაფიოდაა დახატული, რომ თითქოს საკუთარ სხეულზე გრძნობ პერსონაჟთა მიერ განცდილი სიხარულსა და უბედურებას, სიყვარულსა და სიძულვილს, ნეტარებასა თუ ჯოჯოხეთურ ტკივილს... კითხვის პროცესში ხშირად გახსენდება შენ მიერ გადატანილი განცდებიც, რომლებიც გეგონა, რომ სამუდამოდ მიაზარე ქვეცნობიერს... ფოლკნერი ქმნის რაღაც ისეთს, რაც „თავის კუთვნილ ადგილს ითხოვს პაერშიც და წყალშიც, ხოლო როცა ძირს გივარდება თავად არ ტყდება, შენ გტეხავს ფეხებს.“

არაქრონოლოგიური თხრობა, ცნობიერების ნაკადი, შინაგანი მონოლოგი, მონტაჟის პრინციპი, მოულოდნელობის ეფექტი, უჩვეულო კომპოზიცია, რაც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს მკითხველს — ერთი სიტყვით ყველა ის სიახლე, რაც XX საუკუნეში მოიტანა ლიტერატურაში, ერთდროულად იყრის თავს „ველური პალმებში“. თითქოს რომანს კი არ კითხულობ, არამედ შეიგრძნობ და კადრებად ხედავ პერსონაჟთა ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს: ვენიან ღამეებს, ველურ სამყაროსთან ბრძოლის სცენებს... ხედავ მათ გამჭოლ მზერას, დაკოჟირულ ხელებს, ნანამებ სხეულს და შეიგრძნობ მათ აუტანელ ტკივილსა და აუტანელ სიყვარულს

„ველური პალმები“ ინგლისურიდან **ზაზა ჭილაძემ** თარგმნა, ზაზა ჭილაძეს ნათარგმნი აქვს ფოლკნერის სხვა რომანებიც: „დროშები მტვერში“, „ავვისტოს ნათელი“, „გვამის შემგინებელი“ და „დაუმარცხებლები“.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოების კომპოზიცია. რომანი შედგება ორი განსხვავებული, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი

სიუჟეტისგან. პირველ მათგანში, რომელსაც „ველური პალმები“ ჰქვია, გადმოცემულია ახალგაზრდა წყვილის, ჰარისა და შარლოტის, აკრძალული სიყვარულის ისტორია. მეორე ნაწილში კი, რომლის სათაურიცაა „ბერიკატი“, აღწერილია ციხის პატიმრის ამბავი, რომელიც 1927 წლის წყალდიდობისას ნავში უცნობ ქალთან ერთად აღმოჩნდა. თხრობა პარალელურად მიმდინარეობს, მაგრამ სიუჟეტები არასდროს კვეთს ერთმანეთს. რამდენიმე ამერიკულმა გამომცემლობამ ეს ორი ისტორია ცალ-ცალკე რომანადაც კი გამოაქვეყნა, მაგრამ ფოლკნერისთვის ეს ორი ამბავი ერთი დასრულებული მხატვრული ჩანაფიქრი იყო.

ვფიქრობ, ის, რაც ორ სრულიად დამოუკიდებელ სიუჟეტს აერთიანებს, ესაა დესტრუქციული სამყარო, რომელშიც ფოლკნერის პერსონაჟები ცხოვრობენ. გულგრილი საზოგადოება, რასიზმი, კონსერვატორიზმი, უკიდურესი გაჭირვება და უიმედობა გამეფებული ორივე ამბავში. ამ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს არასდროს უნდებათ ისეთი რამ, რასაც გეგმად ვერ დაისახავენ, გულგრილი არიან ყველასა და ყველაფრის მიმართ, ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ უფერული და რუტინული ცხოვრებისგან გაქცევას აღარც კი ცდილობენ. მათ დაივიწყეს მთავარი — მათ დაივიწყეს საკუთარი ოცნებები. ალბათ, სწორედ ამას უსვამდა ხაზს რომანის ერთ-ერთი სახელწოდება — „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო“ (If I Forget Thee, Jerusalem), რაც 136-ე ფსალმუნის სიტყვებია. იერუსალიმი სულიერი საწყისის — კაცობრიობის მარადიული ოცნებების სიმბოლოა, ხოლო თუ ადამიანი ივიწყებს ოცნებას და ეგუება ირგვლივ გამეფებულ ქაოსს, ის, ალბათ, ადამიანის სახესაც კარგავს. ამას გვიმომშობს ფსალმუნის სიტყვებიც:

„თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა. მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გავიხსენო, თუ არ დავაყენო იერუსალიმი ჩემი მზიარულების სათავეში.“


ნაწარმოების ორი სიუჟეტი გამოხატავს ცხოვრების ორ პოლუსს: პირველი მათგანი სამყაროს შეცვლისკენ, ჩაკეტილი წრიდან გაღწევასკენ, თავსმოხვეული დოგმებისა და ფსევდო-იდეოლოგიისგან გაქცევას, ოცნების უფლებების დაბრუნებას ცდილობს, მეორე კი პირიქით — აზვირთებულ ტალღებთან შეჭიდება მისთვის ტანჯვასა, პატარა ნაწი წყალი კვლავ ნოეს კიდობანით დაათრევს აქეთ-იქით, მაგრამ თანამედროვე ნოე მთელი ცხოვრება მხოლოდ დანებებაზე ოცნებობს. შარლოტისა და ჰარის ველური, თითქოს პირველყოფილი სიყვარული მატერიალიზმისგან გაქცევის საშუალებაა, მაგრამ ის მაინც ბნელში ერთი პატარა გაელვება აღმოჩნდება.

რატომაა ორივე გზა დამლუპველი? ბრძოლა და უბრძოლველობა რატომ მოიტანა ერთი და იგივე შედეგი? სად არის ხსნის გზა, თუ ველური პალმები გისოხებს მიღმა რჩება, თუ ადამიანი ცაში აღარ იყურება, თუ კიდობანს წარღვნასთან ბრძოლის სურვილი აღარ აქვს და თუ დაგივიწყეთ შენ, „იერუსალიმო“? აი, კითხვები, რომლებსაც ფოლკნერის რომანი გვიტოვებს და რომლებსაც, ალბათ, თითოეულმა მკითხველმა თავად უნდა გასცეს საკუთარი პასუხები.

### ჩემი, შენი, ჩვენი ვეფხისტყაოსანი

მინისქვეშა გადასასვლელებში ბუკინისტთა თაროებზე გასაყიდად გამოტანილი თუ სოფელში ბებიების ძველ კარადებში თვლემამწერელი და მტვერდადებული ნიგნები უამრავ მოგონებას ინახავს. ისინი ადამიანთა სიხარულის, ტკივილის, სიყვარულის, განშორებისა თუ უიმედამო დღეების მონმენი არიან და ამ ნიგნების გადაშლასთან ერთად ჩვენ სხვა ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდებსაც ვფურცლავთ.

სწორედ ეს საინტერესო მოტივი აირჩია ქართველმა პოეტმა და ენათმეცნიერმა, **დიანა ანფიმიადიმ** თავისი ნიგნის — **„ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“** ქარგად და უძველესი ხელნაწერებისა თუ ნიგნების მი-



ნაწერები საინტერესო ამბებზე გააცოცხლა. გასაკვირი არაა, რომ მან ამისთვის რუსთველის „ხელის-ხელ საგომანები“ პოემა, ყველასათვის საყვარელი „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა მკითხველმა ოდითგანვე შეიყვარა. ალბათ ამიტომ ვერ დაეცა პოემის ტექსტი ფურცლებზე და გრაფიკების ტექნიკაში და მალევე გადაინაცვლა ზეპირსიტყვიერებაში, სასიყვარულო ბარათებში, კლდეში ნაკვეთი მონასტრების კედლებზე, ნახატებსა და მინიატიურებზე, ხალიჩებზე, კანფეტების შეფუთვებზეც კი. „ვეფხისტყაოსანი“ შორეულ ფერეფანშიც გაჰყვა იძულებით გადასახლებულ ქართველებს და მათ საიმედო მეგობრად იქცა. ამავე მიზეზითაა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გადამწერები გულგრილად ვერ ტოვებდნენ რუსთველური შაირის სტროფებს და ხელნაწერთა ფურცლებზე საკუთარ განცდებსაც აღბეჭდებდნენ — ზოგი მათგანი აღფრთოვანებას გამოხატავს, ზოგი დაკარგულ სიყვარულს მისტარის და ზოგიც „რუსთველს პატარა, ჩხუბისთავი ბიჭვით ევგვიმბა“.

„ვეფხისტყაოსანი“ ბეჭდური გამოცემები უკვე მკითხველთა განცდებსა და ფიქრებს ინახავს, მათ ბედნიერებასა და უბედობას გვამცნობს, მაგალითად: „უფალო ღმერთო, მშვიდობითა მოახმარე ამის პატრონსა“, „ვიტორეთ ყოველთა მოყვასთა გლახ მყოფი მარტო გოგია“.

„ვეფხისტყაოსანი“ მინაწერები გვიქმნიან განწყობას, აღგვიძრავენ ფიქრებს. თითქოს ვხედავთ ფრაგმენტებს სხვისი ცხოვრებიდან, მაგრამ როგორ შეგვიძლია, ფრაგმენტები ისტორიებად ვაქციოთ? როგორ გავიგოთ ის, რაც უკვე დროსთან ერთად სამუდამოდ გაქრა? პასუხი ერთია — უნდა გამოვივლიოთ. დიანა ანანიადი ასეც მოიქცა. მან „ვეფხისტყაოსანი“ მინაწერების საფუძველზე შექმნა ცოცხალი და საინტერესო ამბები, რომლებიც მოხდა ან არ მოხდარა... უფრო სწორად, შეიძლება მომხდარიყო. და, ალბათ, ლიტერატურაც სწორედ ესაა. ამგვარად იხატება ჩვენ თვანწინ მანანა ზედგინიძისა და ერეკლე მეფის სიყვარულის ისტორია, ბარბარე ჯორჯაძის დაუდგრომელი ცხოვრება; ასე ცოცხლდება XV საუკუნეში მცხოვრები ვანის დედათა მონასტრის მონაზვნები თავიანთი იმედებითა და მოლოდინებით; ვეცნობთ იმ ადამიანებსაც, რომელთათვისაც „ვეფხისტყაოსანი“ ფურცლები ოჯახის ხარჯთაღრიცხვისა და ვალების ჩამოსაწერად ადგილად ქცეულა.


როგორც დიანა ანანიადი ამბობს, არსებობს „გზები, რომლებსაც მხოლოდ ჩვენ გავივლით, მხოლოდ ჩვენი ურთიერთობა ნიგნითან, მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება, მხოლოდ ჩვენი შთაბეჭდილებები, საიდუმლო ფანჯარა, რომელსაც მხოლოდ ჩვენ შევალბათ...“ ნიგნის არშიებზე დარჩენილი მინაწერები კი უცხო ადამიანების მიერ დატოვებული ღია დაჩენილი ფანჯარებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, სხვისი თვლით დანახული ამბები, სხვისი განცდები და სხვის მიერ შექმნილი სამყაროს ანარეკლი დავინახოთ, ანუ ვიხილოთ სხვისი „ვეფხისტყაოსანი“... დიანა ანანიადის ჩანაწერები და სოფო კირთაძის ნახატები, რომლებიც ტექსტის განუყრელი ნაწილია, ამ ძველისძველ ლან-

დებს აცოცხლებს და გვამოგზაურებს „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა სამყაროში.

### „ყველა, ვისაც შეიყვარებ...“

გიფიქრიათ, უკიდევანო კოსმოსში სადმე შორს, ათასეული სინათლის წლით დაშორებულ პლანეტაზე სხვა ცივილიზაცია რომ არსებობდეს და ამ ცივილიზაციისთვის ადამიანთა მოდგმის არსის, ჩვენი მიზნებისა და ოცნებების ახსნა რომ მოგინიოთ, რას ეტყობოდა? მე ვეტყვოდი, რომ მთელი ჩვენი კაცობრიობის არსი ღმერთისა და უკვდავების ძიების გზაა. გამოქვაბულის ეპოქიდან თანამედროვეობამდე — პირველყოფილი რიტუალებიდან უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებამდე ადამიანი ერთადერთ კითხვაზე ეძებს პასუხს: არის თუ არა ჩვენი რაიმე არამატერიალური? არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? პარადოქსია, მაგრამ კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი კულტურა, ყველა რელიგია, მეცნიერება თუ ფილოსოფია აზრს დაკარგავდა ამ კითხვაზე პასუხის მიღებისას. კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში უამრავი განსხვავებული ახსნა მოუძებნა სამყაროს საიდუმლოებებს. ვფიქრობ, ჩვენი ცხოვრებაც მით უფრო საინტერესოა, რაც მეტ პასუხს ვიღებთ მარადიულ შეკითხვებზე. **ზურაბ გურულის „სპილო წყვდიადში“** სწორედ შეუცნობლის ამოხსნის, კოსმოსის, ადამიანის არსისა და სულის რაობის გარკვევის ცდაა. რომანი სამყაროს დაფარული არის ამოხსნის უმშვენიერეს ალტერნატივას გვთავაზობს, სადაც მისტიკა, ფილოსოფია, რელიგია და მეცნიერება ერთობლივად მოქმედებენ წყვდიადში დანთქმული საიდუმლოების ამოსახსნელად (სწორედ ამ საიდუმლოების მეტაფორაა ძველინდური მითში აღწერილი წყვდიადში დამწყვდეული სპილოც).

ზურაბ გურულის რომანი მოგვითხრობს 90-იან წლებში ამერიკაში ჩასულ ქართველ ექიმზე, რომელიც საქართველოში მძიმე პირად ტრავმადიას გაეცა, თუმცა სიკვდილის ლანდებშია გმირი არც შორეულ ნიუ ორლეანში დატოვებს. სიმონი (საიმონი) ტიპური ქართველი პერსონაჟია: სამართლიანი, ემოციური, ტემპერამენტისა და შეყვარებული. ის ამერიკაში სხვადასხვა ეროვნების ადამიანს ხვდება: ამერიკელი, პორტუგალიელი, ინდოელი თუ გერმანელი ადამიანები იქცევიან მის მეგობრებად და ასე ერთიანდება ერთ ნიგნში მთელი მსოფლიო. ამერიკაში ჩასვლისთანავე საიმონი უძველესი ვუდუს კულტის საიდუმლოებებით მოცულ დეოფალს გაადაყვრება, რითაც ქართველი პერსონაჟისთვის პარალელური სამყაროს უხილავი კარი იხსნება. საინტერესო თავგადასავლები, ვუდუს კულტმსახურები, მისტიკური რიტუალები, მეგობრობა, სიყვარული, რწმენა, ნოსტალგია, შიში, სიკვდილის ლანდები და სასაფლაო — აი, რა ელოდება საიმონს შორეული ამერიკის მინაზე.




ალსანიშნავია, რომ რომანის ყოველი თავი იწყება ცნობილი აღმოსავლელი ან დასავლელი მოაზროვნის სიტყვებით (ჯალალ ად-დინ რუმი, დანტე, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ედგარ ალან პო, ვხვდებით ციტატებს სახარებიდანაც...), ყოველი თავის იდეა სწორედ ამ ეპიგრაფებშია გამჟღავნებული. ასე რომ, ნიგნში აღმოსავლური და დასავლური სიბრძნე ხელიხელჩაკიდებულნი ცდილობენ სამყაროს მისტიკური ბუნების ჩანვდომას — სიკეთისა და ბოროტების მიღმა გაღწევას. არცაა გასაკვირი, რომ ეს ყველაფერი ქართველი მწერლის ნახელავია, რომლის ქვეყანაც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს.

უზომოდ საინტერესო სიუჟეტთან ერთად ქართველი მკითხველი ნიუ ორლეანის ცხოვრებასაც ეცნობა. უნდა ვთქვა, რომ ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, მეც მრავალჯერ მოოცნებია ამერიკაში წასვლაზე... უცნაურია, მაგრამ ნიგნის კითხვისას მართლა მეგონა, რომ ოცნება ავიხდინე. ერთია, დამაჯერებლად აღწერო მკითხველისთვის ოცნებადქცეული ქალაქის მიდამოები, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს თუ შეუძლიათ, მკითხველს შეაგრძნობინონ უცნობი ქალაქის ცხოვრების რიტმი, მისი ხმაური, მუსიკა, ნაწილობრივი სურნელიც კი... რომანის პასაჟებს ნიუ ორლეანული ჰანგები თითქოს ფილმის საუნდტრეკით გასდევს. ალბათ, კიდევ უფრო ნარმოუდგენელია ისე გადმოსცე ემიგრანტის მიერ განცდილი ნოსტალგია, რომ საქართველოში მყოფი მკითხველს საქართველო მოახატრო. არ იფიქროთ, რომ აქ რაიმე პათეტიკურს ვგულისხმობ, პირიქით, მძულს გულზე მჯილის ცემა და ეგრეთ წოდებული სადღეგრძელოს პატრიოტიზმი (სამწუხაროა, დღეს უმეტესობა მხოლოდ ასე გამოიხატავს ქვეყნის სიყვარულს). უდიდესი ნოსტალგია ჩანს საიმონის მოგონებებში, სადაც ბებიის ღიმილი, ბაბუის ლოცვა, ბავშვობის მეგობრები, თბილისის ქუჩები და შავი ზღვის ტალღები ირევა ერთმანეთში... და ბოლოს, ნიგნში აღწერილი შროდინგერის ექსპერიმენტი შეიძლება, მართალი იყოს, რადგან ყუთში დამწყვდეული კატა შეუძლებელია, ერთდროულად ცოცხალიც იყოს და მკვდარიც, მაგრამ კვანტური ფიზიკის კანონები ზოგჯერ ადამიანებზე არ ვრცელდება... „სული ნაწილ-ნაწილ ტოვებს ამ სამყაროს. ყველა, ვისაც შეიყვარებ, წასვლისას თან წაიღებს შენი სულის ნაწილს“ — ყოველ აუხდენელ ოცნებას, ყოველ დაკარგულ სიყვარულს და ყოველ მტანჯველ მოგონებას ჩვენი სულის ნაწილი მიაქვს მოუსაველეთში, სამშობლოც სულის ნაცვლაცს მოითხოვს საფასურად. ასე იქცევა ცოცხალი ადამიანი ნახევრად მკვდრად... და ცოცხალ-მკვდარი ადამიანებიც უიმედოდ ვუფათურებთ ხელებს უკუნეთ წყვდიადში დამწყვდეულ სპილოს, ანუ თავად ცხოვრებას... მრავალი მეცნიერი თუ ფილოსოფოსი მიიყვანა მწარე რეალობის გასწვრივებამ თვითმკვლელობამდე, მაგრამ ზურაბ გურულის რომანი საინტერესო ალტერნატივას გვთავაზობს — იქნებ მზის გადაღმა, ცის დასალიერში, მთვარის ჩაბნელებულ მხარეს ან ოკეანის მიღმა არსებობს ადგილი, სადაც მზე გამუდმებით ბრწყინებს და ყველა ჩვენი ოცნება იქ უკვე ახდა? როგორ? — ამაზე „სპილო წყვდიადში“ ჩემზე უკეთ გაგეცემთ პასუხს.

### მოცლილების საქმი

გუსტავ ფლობერის ნიგნი, რომელსაც თამამად შეგვიძლია, ლიტერატურული ექსპერიმენტი ვუწოდოთ, შედგება ანბანური წესით დალაგებული, სრულიად განსხვავებული შინაარსისა და კონოტაციის მქონე სიტყვების ავტორისეული, სუბიექტური განმარტებებისაგან. ფლობერის ლექსიკონში მოცემული დეფინიციები არც პროფესიული ხასიათისაა და არც ლექსიკოგრაფიული. ყველასათვის ცნობილი სიტყვების განმარტებისას ფლობერი ამჟღავნებს ირონიულ და სარკასტულ დამოკიდებულებას საყოველთაოდ მიღებული კლიშეებისადმი. გამოჩენილი ისტორიული ფიგურების — მწერლებისა თუ მეცნიერების — ვინაობაზე საუბრისას კი ის ამკარად მათი შემოქმედებისა და ცხოვრების კომიკ-



ურ ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას. ამით ფლობერი მიგვითითებს, რომ დროა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში დასრულებულ ავტორიტეტების განდიდების ხანა, ხოლო საზოგადოება გაათავისუფლდეს ღრმად ფესვგამდგარი, თავსმოხვეული დოგმებისა და სტერეოტიპებისგან.

ფლობერის „საყოველთაოდ მიღებული აზრების ლექსიკონი“ (1911) სახალისო და სასიამოვნო ნასაკითხია. ნიგნში საუბარია მრავალი ისეთი შეხედულებისა თუ ცრურწმენის შესახებ, რომლებიც დღესაც გავრცელებულია საზოგადოებაში. შეგვიძლია, მოვიხსნოთ რამდენიმე მაგალითი: სახეზე გამოიყვანა ბედნიერების საწინდარია, ძილი სისხლს ასქელებს, მცენარე კი ადამიანის იმ ნაწილებს კურნავს, რომელსაც ის ჰგავს... — ამ ყველაფრის ერთად წაკითხვა-გააზრებისას ხშირად საკუთარ თავზეც გველიძება, რადგან, ალბათ, ერთხელ მაინც ყველა ჩვენგანს გაუთვალისწინებია ამ ცრურწმენათა ნაწილი მაინც.

ფლობერი ასევე გვაძლევს რჩევებს, რომლებითაც შეგვიძლია, ხალხს თავი განათლებულ და სოლიდურ ადამიანებად მოვაჩვენოთ. ამ შემთხვევაში ლექსიკონი ნათელყოფს ფსევდო-განათლებული ადამიანის კომიკურ ბუნებას. ამავე მიზნით, ავტორი დასცინის ეგრეთ წოდებულ მაღალ სოციალურ ფენებში გავრცელებულ სნობიზმს, რომელიც, ალბათ, ვარკვეული დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს. „საყოველთაოდ მიღებულ აზრთა ლექსიკონში“ განსაკუთრებით საინტერესოა მსოფლიო ისტორიისა და ხელოვნების გამოჩენილი ფიგურების შეფასება. ფლობერისეული ჰომეროსი მხოლოდ თავისი დამახასიათებელი სიცილითაა ცნობილი (ჰომეროსული სიცილის გაშარჟება), ალკიბიადე, რომელმაც თურმე სახელი მხოლოდ თავისი ძაღლის კუდით გაითქვა (გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ალკიბიადემ საკუთარ ძაღლს კუდი მოაჭრა) და მრავალი სხვა გამოხატავს ფლობერის დამოკიდებულებას ავტორიტეტების მიმართ. მათი ირონიული შეფასებით, ვფიქრობ, ფლობერი მიგვითითებს, რომ არ შეიძლება ადამიანის გაკერპება, თუნდაც ის გენიოსად მიანდეს კაცობრიობას. ამავე მიზეზით ფლობერი ირონიას არ იშურებს საზოგადოების დიადი ფასეულობების — რელიგიისა და სამშობლოს ცნებების მიმართაც. მისთვის ყოველივე ამაღლებული ირონიის საგანია, რადგან ამაღლებული ღირებულებები გარკვეულწილად ზღუდვენ ადამიანის ინდივიდუალობას და საყოველთაო ნორმებს ადგენენ. ამგვარი მიდგომით ფლობერი გვევლინება მოდერნისტული მსოფლმხედველობის წინამორბედად.


და ბოლოს, ფლობერის ლექსიკონი შეუდარებელია იმითაც, რომ მწერალი ბუნებრივად, თითქოს გულუბრყვილოდ, საკუთარი თავის მიმართაც აველენს ირონიას და მკითხველსაც იმავესკენ მოუწოდებს. თვითირონია კი, ვფიქრობ, სამყაროს ნათელ ფერებში დანახვის, ჩარჩოებისგან გაათავისუფლებისა და ლალი ცხოვრების დაწყების საუკეთესო საშუალებაა.

ჰოდა, ჩვენც თამამად დავეთანხმობთ ფლობერს, რომ ლიტერატურა მხოლოდ „მოცლილების საქმიანობაა“ და ყველანაირი ლექსიკონი „მხოლოდ უვიცებისთვისაა შექმნილი“!



ანი ჯავახიშვილი


# უფრო ჩქარი კულსაცია



## ჯადოსნური სამყარო მონტერეის ქუჩაზე

ოდესმე წარმოგიდგენიათ სამყარო, სადაც ადამიანი შეიძლება, გამათბობლის ქვაბში ცხოვრობდეს, ხოლო ამ ქვაბის მიღებს დღიურად აქირავებდეს ტურისტებზე? სამყარო, სადაც ფულის ერთეული ცოცხალი ბაყაყებია, ხოლო მხატვრები ნახატებს ქათმის ბუმბულისა და თხილის ნაჭუჭებისგან ქმნიან? თუ ამ გულთბილი, მზიანი და უცნაური ადგილის ნახვა გნებავთ, მაშინ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ **ჯონ სტაინბეკის „კონსერვის რიგი“**.

„დაწერე რაიმე სახალისო, რაც ომს არ შეეხება, დავიღალეთ ამდენი ომით“ — როგორც ჯონ სტაინბეკი იხსენებს, სწორედ ასე მიმართეს მას მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა და მწერალმა „კონსერვის რიგი“ შექმნა. წიგნი 1945 წელს გამოიცა, მაგრამ მასში საერთოდ არ ჩანს ომის ქრონიკა. კონსერვის რიგის ქუჩა თითქოს მონყვეტილია ისტორიულ დრო-სივრცეს და აქ მხოლოდ სახალისო ამბები ხდება. მაგრამ მიუხედავად დიდი მხიარულებისა, ნაწარმოებში მაინც იგრძნობა სევდიანი განწყობა და ყოველი მოღიბარი პერსონაჟი სინამდვილეში მაინც მარტოსულია. წიგნი გამოირჩევა იმით, რომ უკიდურესი გაჭირვება, კულტურის დაღმასვლა და სოციალური პრობლემები იუმორითაა გადმოცემული.




ეს არ არის ცინიზმი, არც ირონია ან მწარე სარკაზმი, პირიქით სევდანარევი იუმორით თითქოს ავტორი ცდილობს, კაცობრიობას ყოველდღიურობის დარდი შეუმსუბუქოს. ეს ყველაფერი **თაკო ჭილაძის** თარგმანშიც ზედმიწევნით ზუსტად იგრძნობა.

სტაინბეკის რომანი მოგვითხრობს მონტერეის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქუჩის ამბავს. „მონტერეიში კონსერვის რიგი ლექსიცაა, მყარალი სუნიც, ჭრაჭუნის უსიამოვნო ხმა, თავისებური ფერი, სტილი თუ ჩვევა, მონატრება თუ ოცნება“ — ცხადია, რომ აქ ვერაფერს ვნახავთ ამალღებულსა და ტრანსცენდენტურს, კონსერვის რიგის მცხოვრებლები ხომ „ჩათლახები, სუტენიორები, გემბლერები და ნაბიჭვრები“ არიან. ეს არის 1940-იანი წლების კალიფორნია, ანუ დიდი დეპრესიის ეპოქა, როდესაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა და ადამიანები განუწყვეტლივ ცდილობდნენ საკუთარი ცხოვრებისაგან გაქცევას, უკეთესი სამყაროს მოძებნას. სტაინბეკისთვის კი იდეალი სადმე შორს, მიუწვდომელ სივრცეში არ არის, პირიქით, მისი რომანი გვარწმუნებს, რომ ყოველივე საოცარი ჩვენ გარშემოა და თუნდაც თევზის კონსერვის ქარხანასთან მდებარე ერთ უბრალო ჭუჭყიან ქუჩაზეც კი შეიძლება ჯადოსნური, სიკეთით სავსე სამყაროს და ნახვა, აქ მცხოვრებ უბრალო ადამიანებში კი — წმინდანებისა და ანგელოზების ამოცნობა.

რომანი განსაკუთრებით გვხიბლავს უცნაური და გულუბრყვილო პერსონაჟთა გალერეით. მხოლოდ „კონსერვის რიგში“ თუ შევხვდებით მენავებს, რომელსაც წყალში შესვლისა და კი ემინია, ცოლ-ქმარს, რომელიც ფარდებს ყიდულობს, მაგრამ მათ სახლს ფანჯრები არ აქვს, მანანალეებს, რომლებიც ფილოსოფოსებს ჰგვანან და ბორდელში მომუშავე ქალებს, რომლებიც ბევრ დიასახლისზე უფრო პატიოსნები არიან და ქველმოქმედებასაც კი ეწევიან... მხოლოდ კონსერვის რიგის ქუჩაზე ჰქვია ბორდელს „დათვის დროშა“, ხოლო უსახლკარო ბიჭების საცხოვრებელს — „მანანალეების სასახლე“. მარტივად რომ ვთქვათ, ამ მხიარულსა და ფათერაკებით აღსავსე ქუჩაზე ყველა დამთხვეულსა და გადარეულს ერთად მოუყრია თავი.

...ყველაფერი კი თითქოს საფინანსო ინტრიგაში იყოს თავს: საინტერესოა, რა მოხდება კონსერვის რიგის ქუჩაზე, როდესაც მისი ყველა თავზეხელაღებული გმირი გადაწყვეტს, რომ ერთი დიდი ფართი მოაწყონ დოკისთვის — ყველასთვის პატივსაცემი და საყვარელი პერსონაჟისთვის?



## ამირან ფაჩუაშვილი

# დიდი პერაფერი

ახალდაბადებული ნესტანი რომ შეუყვანეს პალატაში გასუფთავებული და ქათქათა სამოსში გამოწყობილი, დედამ ხელში დაიჭირა, შეხედა და გაიფიქრა, რა ლამაზიაო, მაგრამ მაშინვე მეორე აზრი გაუჩნდა, ყველა მშობელს ხომ საკუთარი შვილი ყველაზე ლამაზი ჰგონიაო და ჩათვალა, რომ ეს სილამაზე მხოლოდ მისი, როგორც მშობლის, სუბიექტური აღქმის შედეგი იყო. მას შემდეგ არც უფიქრია და, მით უმეტეს, შვილისთვის არ უთქვამს, რომ ის ლამაზი იყო.

ორი წლის ნესტანი, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, სრულიად გამართულად ლაპარაკობდა, ბევრი სიტყვა იცოდა და აზრებსაც, თავის თანატოლებთან შედარებით, უფრო ცხადად და გარკვევით აყალიბებდა. დედას რამდენჯერმე უთხრეს, როგორი ნიჭიერი და ჭკვიანი ბავშვია, ნამდვილი ვუნდერკინდიაო. დედას თავიდან სიამოვნებდა, მაგრამ მერე დაფიქრდა, ალბათ მეპირფერებიან, თორემ ეს რა ვუნდერკინდობააო. მას შემდეგ არც უფიქრია და, მით უმეტეს, შვილისთვის არ უთქვამს, რომ ის ნიჭიერი ან ჭკვიანი იყო.

თხზი წლის ნესტანმა, რომელსაც ხატვა საბავშვო ბაღში ასწავლეს, დედა დახატა ფერადი ფანქრებით და ნახატი დედას მიუტანა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედამ ნახატს დახედა, არ იყო ცუდი — ლამაზი, ფერადი, საინტერესო ფორმები. მოეწონა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, მხატვრობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

ექვსი წლის ნესტანმა, რომელსაც წერა სკოლაში ასწავლეს, დედა მიყვარხარო — დიდად დაწერა ფერად ფურცელზე და დედას მიუტანა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედამ ფურცელს დახედა, თბილი სიტყვები ფურცელზე ლამაზად ეწერა, მოეწონა, გული გაუთბა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, კალიგრაფობა არ მოუნდესო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

რვა წლის ნესტანმა, რომელსაც ფორტეპიანოზე დაკვრა მუსიკალურ სკოლაში ასწავლეს, დედას სიმღერა დაუწერა და ის მოასმენინა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, სასიამოვნო მელოდია იყო, მოეწონა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, კომპოზიტორობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

ათი წლის ნესტანმა, რომელსაც უყვარდა მოთხრობების კითხვა, დედას ნოველა დაუწერა, მიუტანა და დედას წაუკითხა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, საინტერესო ნოველა იყო, მოეწონა, მაგრამ

მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, მწერლობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

თორმეტი წლის ნესტანმა, რომელსაც ლექსების კითხვა უყვარდა, დედას ლექსი დაუწერა, მიუტანა და დედას წაუკითხა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, მშვენიერი ლექსი იყო, მოეწონა, მაგრამ, მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, პოეტობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

თოთხმეტი წლის ნესტანმა, რომელსაც ფოტოაპარატი აჩუქეს, დედას ფოტოები გადაუღო, დიდ ფორმატზე დააბეჭდინა და დედას მიუტანა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, ფოტოებზე მართლაც კარგად გამოსულიყო, რაკურსებიც საინტერესო იყო, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, ფოტოხელოვანობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

თექვსმეტი წლის ნესტანმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ცეკვა და სიმღერა, საყვარელი ჯგუფის სიმღერის ტექსტი ისწავლა, ცეკვა მოიფიქრა, ჩართო ის სიმღერა, დედას უმღერა და უცეკვა. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, სიმღერაც მოეწონა და ცეკვაც, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, თავში არ აუვარდეს, მომღერლობა ან მოცეკვავეობა არ მოინდომოსო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

თერამეტი წლის ნესტანს ერთი ბიჭი შეუყვარდა, არც ის იყო გულგრილი მის მიმართ. ერთ დღეს ეს ბიჭი დედას მიუყვანა და გააცნო. მოგწონსო? — ჰკითხა. დედა დაფიქრდა, ბიჭი კი მოეწონა, მაგრამ იფიქრა, თავში არ აუვარდესო და უპასუხა — დიდი ვერაფერიო.

ნესტანმა სკოლა გაჭირვებით დაამთავრა, უნივერსიტეტში ვერ ჩააბარა, დედის რჩევით პროფესიულ სასწავლებელში კერვა ისწავლა, არც გათხოვილა და უკვე დიდი ხანია, მუშაობს გლდანის მე-5 მიკრორაიონში მდებარე კორპუსის პირველ სართულზე, ეზოს მხარეს გახსნილ ატელიე „ლიაში“, სადაც, ძირითადად, ტანსაცმლის გადაკეთებით არის დაკავებული. დედა ახლა ყოველთვის ეუბნება, რომ მისი შვიკერილი ყველაფერი ლამაზია და ნესტანსაც უხარია...

**შედეგი ნომერი გამოვა ერთ კვირაში — 25 ივნისს**

**ლიტერატურული გაზეთი**  
 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**  
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**  
 ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
 9 772346 794004